# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 29 იანვარი 2000 №15 (1037) | ფასი 50 თეთრი


**2** ლიტვა და რუმინეთი კვიპროსზე დაგვხვდებიან

საქართველოს ნაკრების მეტოქეებმა რჩეულები დაასახელეს

**4** აიაქსი ქინქლაძით ხელის მოთხოვნას აპირებს

**6** გლენ ჰოდლის დაბრუნება



ინგლისის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა „საუთჰემპტონი" ჩაიბარა

**7** ბუნდესლიგა: გვაჩუქეთ მსოფლიო!

ლაიპციგში ახალი, 120 მილიონად ღირებული სტადიონის საძირკველში პირველი აგური დადეს

**10** გვარჯილა ჩემპიონატის სასუქიცაა

ღარიბი ქართული კალათბურთი ნატურალურ მეურნეობაზე გადადის


**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრთა სააღრიცხვო ბარათის მოსაწესრიგებლად და ახალი მოწმობის მისაღებად, გთხოვთ, მობრძანდეთ ასოციაციის ოფისში (რუსთაველის 42. ტელ. 99-08-22, 99-94-09). თან იქონიეთ ორი ფოტოსურათი.

*საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*


# ქართველებმა ქართველს შეუნდეს

## ზაზა ჯანაშია ნაკრებში გამოიძახეს, გუნდი კი ორად გაიყო

საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელისგან, ჰოლანდიელ იოჰან ბოსკამპისგან შერისხული საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი ზაზა ჯანაშია ეროვნულ გუნდში ბრუნდება. ის კვიპროსის ტურნირში ითამაშებს.

გეხსომებათ, ჯანაშიამ ნორვეგიაში გამგზავრებამდე, ოსლოში მატჩისწინა თბილისურ შეკრებაზე ჩამოსვლა სამი დღით დააგვიანა და ბოსკამპმაც თბილისშივე დატოვა, ბერძნებთან თამაშისთვის მოემზადეო, დაუბარა. ოსლოდან დაბრუნებული ნაკრების პირველივე ვარჯიშზე კი მწვრთნელმა, აქაოდა, ზარმაცობო, ჯანაშიას იმხელა ულრიალა, დამსწრეთ პირი ღიად დარჩათ — აქაურობას გაეცალე, ჩემმა თვალებმა არ დაგინახოსო — დაახლოებით ასე გადმოქართულდება ბოსკამპის მაშინდელი სიტყვები. ჯანაშია ნაკრებიდან მოიკვეთა. ბოსკამპი ერთსადაიმავეს გაიძახოდა — სანამ მწვრთნელი მე ვარ, ჯანაშია საქართველოს ნაკრებში არ ითამაშებსო.

ჰოლანდიელის ქართული დროება სექტემბერში დასრულდა. დეკემბერში ეროვნულ გუნდს ახალი მწვრთნელები დაუნიშნეს, ახლა, იანვარში კი ზაზა ჯანაშიას კვლავ უხმეს ნაკრებში. შვიდი თვის შემდეგ მოსკოვის „ლოკომოტივის" ფორვარდი ნაკრებში ბრუნდება.

ასე გადაწყვიტეს რევაზ ძოძუაშვილმა და დავით ყიფიანმა. ჯანაშიაც პორტუგალიიდან, სადაც მისი „ლოკომოტივი" ემზადება, დღეს ან ხვალ გამოემგზავრება და თბილისში ჩამოვა. ეს ცნობა უცხოურმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს, ეს ჯანაშიას ოჯახობამაც გვითხრა მოსკოვიდან, და კიდევ, ეს ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა, რევაზ ძოძუაშვილმა დაგვიდასტურა — დიახ, ჯანაშია გამოძახებულია და კვიპროსზე ჩვენთან ერთად იქნებაო.

საკითხავი ისღაა, როგორ სათამაშო ფორმაშია ფეხბურთელი? როგორც შევიტყვეთ ჯანაშიას წონა ჰქონდა მომატებული და პორტუგალიაში ორი ამხანაგური მატჩიც გამოუტოვებია. მესამეში კი მხოლოდ ტაიმი ითამაშა, ამბობენ, კარგადო... თურმე წონაშიც ნელ-ნელა იკლებს და უახლოეს მომავალში, ალბათ, ჩვეულ ფორმაშიც იქნება.

იხილეთ მეორე გვერდი



1999 წლის 2 ივნისი. ზაზა ჯანაშია იოჰან ბოსკამპმა ნაკრებს მოკვეთა

# ქენიას არ ეშინია



REUTERS

ევგენი კაფელნიკოვი

გუშინ ავსტრალიის ღია პირველობაზე უკანასკნელი — კაცების ნახევარფინალი გაიმართა. წინა დღეს ანდრე აგასისა და პიტ სამპრასის ეპიკური მატჩით ნასიამოვნებ პუბლიკას ამჯერად იმედი გაუცრუვდა: მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ევგენი კაფელნიკოვმა გამოუცდელ შვედ მაგნუს ნორმანს მოკლე და მწარე საჩოგბურთო გაკვეთილი ჩაუტარა და ხვალ ფინალში აგასის ეთამაშება. პარასკევს ყველაზე უსიამოვნო სიურპრიზი ქალებში პირველს, მარტინა ჰინგისს ელოდა წყვილთა ფინალში...

იხილეთ მეცხრე გვერდი

# გუნდი ორად გაიყო

დასაწყისი პირველ გვერდზე

ეს, რაც შეეხებოდა ზაზა ჯანაშიას ნაკრებში დაბრუნებას.

წუხელ კი რევაზ ძოძუაშვილმა იმ ორი გუნდის შემადგენლობები ჩამოგვითვალა, დღეს დილის საწვრთნელ ბაზაზე ერთმანეთს რომ შეხვდება. მწვრთნელებს საკვიპროსო 18-კაციანი სია ჩამოწერილი კი აქვთ, მაგრამ მოსალოდნელია, რამდენიმეს შინ დარჩენამ მოუწიოს და მათ ნაცვლად ტურნირზე დღევანდელ მატჩში თავგამოჩენილებმა ითამაშონ — დღევანდელ „ორკარს" მწვრთნელთა საბჭოს წევრებიც დაესწრებიან, მერე ცოტას ვითათბირებთ და ზუსტ, 18-კაციან შემადგენლობასაც გეტყვითო — განგვიცხადა ძოძუაშვილმა.

დღეს ერთ გუნდში ესენი ითამაშებენ: ლომაია — აბრამიძე, დიდავა, ხვადაგიანი, გ. ჩიხრაძე — სიჭინავა, გ. შენგელია, ანჩაბაძე, ა. სახვაძე — წიტაიშვილი, ალექსიძე (ალბათ ვაშაკიძეც).

მეორე გუნდი: გრიშიკაშვილი — ქემოკლიძე, ნემსაძე, ხიზანეიშვილი, საჯაია — გ. ქორიძე, გ. კვარაცხელია, ხაჭაპურიძე, იონანიძე — ძოძუაშვილი, ხუროძე (ალბათ ხიზანიშვილიც).

ამათგან თითოეულს აქვს კვიპროსზე გამგზავრებისა და იქ დახვედრილ ლეგიონერებთან ერთად თამაშის შანსი.

ნაკრები თბილისიდან 31 იანვარს ჩარტერული რეისით გაემგზავრება.

კობა ინასარიძე

ვაჟა ქურციკიძის ფოტო




ორი ძოძუაშვილი: ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი რევაზი და მისი რჩეული „ლოკომოტივის" ახალწვეული მერაბი

# ლიტვა და რუმინეთი გაემზადნენ

რუმინეთისა და ლიტვის ნაკრებები, მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქეები იქნებიან მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მერვე შესარჩევ ჯგუფში. იქამდე კი, სანამ ციკლი დაიწყება და ჩვენებურებს მათთან გაჯიბრება მოუწევთ, გამორიცხული არ არის, ან ერთს, ან მეორეს ქართველი ფეხბურთელები კვიპროსშიც ეთამაშონ. კუნძულზე დაგეგმილ საერთაშორისო ტურნირზე ხომ საქართველოს გარდა მასპინძლებს რუმინეთი და ლიტვაც დაუპატიჟებიათ.

ქვემოთ კი იმ ფეხბურთელთა გვარებია ჩამოთვლილი, რუმინეთისა და ლიტვის ნაკრებთა მწვრთნელებმა — ემერიხ იენეიმ და სტასის სტანკუსმა კვიპროსის ტურნირში სათამაშოდ რომ შეიგულეს.

**რუმინეთი**

*მეკარეები: ბოგდან ლობონტი (რაპიდი, ბუქარესტი), ფლორინ პრუნეა (უნივერსიტატეა, კრაიოვა);*

*მცველები: ფლორენტინ დუმიტრუ (ასტრა, პლოეშტი), კორნელ ბუტა, ვალენტინ ნასტასე (ორივე დინამო, ბუქარესტი), ფლორინ ბატრინუ (უნივერსიტატეა), დორელ მუტიცა, ჯულიან კრიჰაცი, მუგურ ბოლოჰანი (ყველა — რაპიდი);*

*ნახევარმცველები: ფლორენტინ პეტრე, იონუტ ლუპესკუ, კატალინ ჰილდანი (ყველა — დინამო), ლაურენტიუ როსუ (სტიაუა, ბუქარესტი), ჰომილიუ სტოიჩა (ასტრა), ნარცის რადუჩანი, მარიუს მალდარაშანუ (ორივე — რაპიდი);*

*თავდამსხმელები: ადრიან მიხალჩეა, მარიუშ ნიკოლაე (ორივე —დინამო), ბოგდან მარა (არჯეში, პიტეშტი), რადუ ნიკულესკუ (ნაციონალი, ბუქარესტი).*

მწვრთნელი ემერიხ იენეი 31 იანვარს ბუქარესტში მერვე შესარჩევი ჯგუფის თამაშების კალენდარს შეათანხმებს დანარჩენი ოთხი გუნდის მწვრთნელებთან და მეორე დღესვე დავით ყიფიანთან ერთად ჩაფრინდება კვიპროსზე.

ამჯერად იენეის თავის ნაკრებში გამოცდილ-სახელოვანი ფეხბურთელები არ მოუწვევია, არც ლეგიონერები. ახალგაზრდების გამოცდა სურს. მწვრთნელის საკვიპროსო სიაში ექვს-ექვსი ფეხბურთელია ქვეყნის ჩემპიონ ბუქარესტ „რაპიდიდან" და ბუქარესტისვე „დინამოდან".

ზემოჩამოთვლილთაგან სპეციალისტები დინამოელებს — მცველ ვალენტინ ნასტასესა და თავდამსხმელ ადრიან მიხალჩეას გამოარჩევენ.

კვიპროსზე რუმინეთის ნაკრები პირველ მატჩს 2 თებერვალს, ქალაქ პაფოსში გამართავს. მათი მეტოქე ლატვია იქნება.

**ლიტვა**

*მეკარეები: მარიუს პუშკუსი (სოკოლი, რუსეთი), ვიტის პადმუნსკასი (ჟალგირისი, კაუნასი);*

*მცველები: ტომას ჟვირგჟდაუსკასი (პოლონია, პოლონეთი), მარიუს სკინდერისი (გკს, ბელხატოვი, პოლონეთი), აურელიუს შკარბალიუსი (ბრონდბიუ, დანია), დეივიდას შემბერასი (დინამო, რუსეთი), ანდრიუს ტერეშკინასი (სკონტო, ლატვია), როლანდას ჯიაუკშტასი (დინამო, კიევი, უკრაინა), დენიუს მლანადსკასი (შახტარი, უკრაინა), იმანტას დაიდურასი (ჟალგირისი, კაუნასი);*

*ნახევარმცველები: დონატას ვენცევიჩიუსი (კოპენჰაგენი, დანია), ტომას კრაჟიუნასი (სპარტაკი, რუსეთი), აუდრიუს კშანავიჩიუსი, ვიტალიუს დანიავიჩიუსი (ორივე — ჟალგირისი, კაუნასი), რაიმონდას ჟუტაუტასი (მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი), ორესტას ბუიტკუსი (სკონტო)*

*თავდამსხმელები: არტურას ფომენკა (სპარტაკი, რუსეთი), რიმანტას ჟვინგილასი (ტორპედო, რუსეთი).*

ლიტვის ნაკრები კაუნასიდან ხვალ აბარგდება და ვარშავამდე ავტობუსით იმგზავრებს, საიდანაც კვიპროსს ორშაბათს ეწვევა. ლეგიონერებიც, ერთი-ორი კაცის გარდა, გუნდს ლიმასოლში დახვდებიან. ლიტვის ნაკრებს სხვადასხვა მიზეზით ძირითადი შემადგენლობის ექვსი ფეხბურთელი დააკლდება: მეკარე გინტარას სტაუჩეს თავისი კლუბი, გერმანული „დუისბურგი" არ უშვებს, ბელგიურ „ბრიუგედან" ესპანეთის „რეალ სოსიედადში" ახლახან გადასული თავდამსხმელი ედგარას იანკაუსკასი, რუსეთის „ურალანის" ნახევარმცველი არტურას მიკალაიუნასი და შვეიცარიული „ლოზანას" ნახევარმცველი ტომას დანილევიჩიუსი ტრავმირებული არიან, „ალანიას" მცველ დარიუს ჟუტაუტასს კი რაღაც სავიზო პრობლემები შექმნია.

მწვრთნელმა სტასის სტანკუსმა ნაკრებში არ დაუძახა ჰოლანდიური პსვ-ს ნახევარმცველ ანდრიუს შკერლას. ცუდ ფორმაშიაო — განაცხადა სტანკუსმა და დაამატა, ნაკრების თამაშის სტილის შეცვლას ვაპირებ, გუნდს შემტევი ფეხბურთი უნდა ვათამაშოო.

ლიტვაც, საქართველოსა და რუმინეთივით, პირველ მატჩს 2-ში გამართავს. ისინი ლიმასოლში მასპინძლებს დაუპირისპირდებიან, ჩვენები კი ლარნაკაში, „პაპადოპულოსის" სტადიონზე, სლოვაკებს შეხვდებიან.

კობა ინასარიძე

# ჯანელიძე უარყოფს

„ჯერ ვერაფერს გეტყვით. გადაწყვეტილი არაფერია. ისიც არ ვიცი, გავაგრძელებ თუ არა გუნდში მუშაობას" — გვითხრა თბილისის „არსენალის" ახალდანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა ჯონი ჯანელიძემ, რომელსაც ავლაბარში „ისნის" სტადიონზე ვესტუმრეთ.

ჯანელიძემ ისიც გვითხრა, მართალია, გუნდს ვავარჯიშებ, მაგრამ მწვრთნელი ჯერჯერობით არ ვარ. მეც და კლუბის ხელმძღვანელობასაც ერთად მუშაობის სურვილი გვაქვს, თუმც პირობებზე ჯერ არ შევთანხმებულვართო. ბატონმა ჯონიმ, რომელიც ამავდროულად საქართველოს მოყვარულ ფეხბურთელთა ნაკრებსაც თავკაცობს, ვერც ის გვიპასუხა, გუნდში დარჩენის შემთხვევაში ვინ დაეხმარება „არსენალის" გაწვრთნაში. მან უარყო ხმები, თითქოს კლუბში მოყვარულთა ნაკრების წევრების მიყვანას აპირებდეს. ჯანელიძის თქმით, ყველა მათგანი დაკავებულია, მათ თავიანთ კლუბებთან კონტრაქტები აკავშირებთ.

როგორც ჯონი ჯანელიძემ „სარბიელთან" საუბრის ბოლოს აღნიშნა, ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

მართალია, ჯანელიძემ უარყო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — გუშინ „არსენალმა" მორიგი ვარჯიში ჩაატარა, რომელიც ორმხრივი თამაშით დასრულდა. ფეხბურთელებს მითითებებს ჯონი ჯანელიძე, მალხაზ კობიაშვილი და თემურ ცერცვაძე აძლევდნენ. ცერცვაძე ჯანელიძის მისვლამდეც „არსენალში" მუშაობდა, კობიაშვილი კი ქართულ საფეხბურთო სამყაროში მსაჯობითაა ცნობილი. მას არაერთი მნიშვნელოვანი მატჩი განუსჯია. კობიაშვილი ცოტა ხნის წინ ჩამოშორდა ამ საქმიანობას ასაკის გამო. ახლა კი, როგორც ჩანს, მწვრთნელობას შეუდგა.

ვანო ოქროპირიძე

# შუქი, წყალი და ფეხბურთი

ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდების უმრავლესობამ კარგა ხანია, ვარჯიში დაიწყო და მეორე ეტაპისთვის სერიოზულად ემზადება. ზოგს უჭირს, ზოგს ულხინს. ცხადია, ყველაფერი შედარებითია, თორემ დალხენილი კლუბი საქართველოში სადაა.

სწორედ გაჭირვებულ კლუბთა შორის უნდა მოვიხსენიოთ დღეს ხობის „კოლხეთი" და ამაში მხოლოდ ფინანსური მხარე არ იგულისხმება. დღეს ხობის „კოლხეთს" ყოველმხრივ უჭირს: არა აქვს მყარი ფინანსური შესაძლებლობები, არ ჰყავს გამოცდილი და სტაბილური ფეხბურთელები, ახლახან გაათავისუფლეს კლუბის ხელმძღვანელები, გუნდი თექვსმეტგუნდა ჩემპიონატში ბოლოსწინა, მე-15 ადგილზეა, მისი სტადიონი სეზონის ბოლომდე დისკვალიფიცირებულია.

ასეთია დღეს ხობის მდგომარეობა.

ახალი წლის წინა დღეებში, როცა სტკ-მ ხობის სტადიონზე მომხდარი ინციდენტი განიხილა, ხობის გამგებლებმა და კლუბის პრეზიდენტმა ანგული მიქავამ განაცხადა, რომ ამის გამო კლუბის ხელმძღვანელობა გაათავისუფლა. იმის მერე ანგული მიქავაც გადამდგარა დაკავებული თანამდებობიდან. კლუბის ახალ პრეზიდენტად კი ყოფილი ფეხბურთელი, ენუქი თევზაძე დაუნიშნავთ. ანგული მიქავა კი, როგორც გამგებელი გუნდს ყოველმხრივ დაეხმარება და ხელს შეუწყობს.

პრეზიდენტყოფილმა თბილისში სტკ-ს სხდომაზე ნათქვამი კვლავ გაიმეორა. სამტრედიელებთან მატჩისას მომხდარი ინციდენტი მართლაც საზარელი იყო და შეცდომად კი არა დანაშაულად მიმაჩნია. სამართლიანად დავისაჯეთ, მაგრამ ეს ყველაფერი რატომ მოხდა, ეს არის გამოსაძიებელიო. თანაც დასძინა პირველ ჯგუფში ერთადერთი გუნდი დარჩა სამეგრელოს და ამასაც სწირავენო. ამაში იმ ავადმოსახსენიებელი მატჩის კომისარი მალხაზ ლაცაბიძე იგულისხმა, რომელმაც სტკ-ზე განაცხადა, კიდევ კარგი, რომ ხობში ვთქვი, თბილისელი არა ვარ, ხაშურიდან ვარო, თორემ ცოცხალი ვერ გამოვასწრებდიო.

ახლა კონკრეტულად მეორე წრეზე და მოსამზადებელ ეტაპზეც ვთქვათ.

კლუბის ახალი პრეზიდენტი ენუქი თევზაძე: დღეს „ხობი" მართლაც მძიმე მდგომარეობაშია. ფინანსურად ყველას უჭირს, მაგრამ ასეთი პატარა ქალაქი, როგორიც ხობია, კიდევ კარგად ართმევს თავს ყველაფერს. დღეს რომ კონკრეტულად დავისახელოთ ფეხბურთელები, რომლებიც წავიდნენ ან მოვიდნენ, შეცდომაში შეგიყვანთ. წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია. მე და ბატონი ანგული ხვალ თბილისში მივემგზავრებით. იქ რამდენიმე პიროვნებას უნდა შევხვდეთ. მათზე ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული, იქ დავსხდებით და ვითათბირებთ, შევძლებთ თუ არა ბრძოლის გაგრძელებას ჯგუფში დასარჩენად. ისე არ მიიღოთ, თითქოს ჩემპიონატის მიტოვებას ვგულისხმობდე; უბრალოდ თუ ფინანსური გარანტიები იქნება, ფეხბურთელთა ძირითად ბირთვს შევინარჩუნებთ და ახლის შემატებასაც ვეცდებით, თუ არა, ისევ ადგილობრივი ფეხბურთელებით ვეცდებით ფონს გასვლას.

**— ფრიდონ გოცირიძის თანამდებობიდან გადაყენებაზეც იყო ლაპარაკი.**

— დღეს გუნდის მთავარი მწვრთნელის ადგილი თავისუფალია. თბილისური შეხვედრის მერე გადაწყდება, არც ისაა გამორიცხული, კვლავ ფრიდონ გოცირიძე დაბრუნდეს. ისეთი დიდი ღვაწლი მიუძღვის ადგილობრივი ფეხბურთის განვითარების საქმეში, რომ მისი დავიწყება შეუძლებელია. ნებისმიერი სხვა მწვრთნელის მოსვლის შემთხვევაშიც მისთვის გუნდში ადგილი ყოველთვის გამოინახება. ასევე ითქმის ვიცე-პრეზიდენტ ლევან ლემონჯავაზეც.

**— კონკრეტულად ფეხბურთელებზე რას იტყვით?**

— ადგილობრივ ახალგაზრდებს ფრიდონ გოცირიძე უკვე კარგა ხანია ავარჯიშებს, მაგრამ შარშანდელი შემადგენლობიდან მეკარეები — ნიქაბერიძე და ბაბუაძე, აგრეთვე მალხაზ თორია, რომეო გოგიტაძე, ზაზა კვეკვესკირი არ ჩანან. ისინი ხობში ჯერ არ ჩამოსულან. ეს ალბათ ჩვენი ბრალიც არის, ჯერ თავადაც გაურკვევლობაში ვართ და ჩამოსულ ფეხბურთელებს რას მოსთხოვ. ერთი რამ კი ცხადია, ლევან კვაზავა და როინ ონიანი ალბათ ჩვენთან არ დარჩებიან. ისინი მოლდავეთში, კერძოდ „ზიმბრუში" ვარჯიშობენ და, როგორც შევიტყვეთ, იქ ითამაშებენ.

**— სტადიონის დისკვალიფიკაციაც გაქვთ.**

— ესეც დიდი პრობლემაა. აუცილებლად გუნდს შინაც უჭირს თამაში და ნეიტრალურ მოედანზე... რას იზამ, ზუგდიდში ვაპირებდით თამაშს, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციამ ნება არ დაგვრთო. სენაკსა და ფოთს შორის მოგვიწია არჩევანის გაკეთება.

ბატონი ანგული ფოთელებთან შეთანხმდა და ალბათ საშინაო მატჩებს იქ ჩავატარებთ.

ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო. ღმერთმა ქნას, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანონ და მრავალჭირნახულ რეგიონს ფეხბურთი მაინც შერჩეს. ანგული მიქავამ თქვა, შუქი არ გვაქვს, წყალი არ გვაქვს, გასართობად ერთადერთი ფეხბურთი დაგვრჩა და ამას მაინც მოვუაროთო.

თენგიზ ქოჩუა ხობიდან

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

მიხეილ მესხის ტურნირზე აკრედიტაციის მსურველმა ჟურნალისტებმა 31 იანვარს მიაკითხონ ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურს.

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური*



გურამ ფოლიაშვილის ფოტო

რატი ალექსიძე (მარჯვნივ) საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩისას

ალექსიძის თემა ამჟამად პოსტსაბჭოური პრესისთვისაც აქტუალურია. უცვლელად, ფაქტობრივ შეცდომებიანად გთავაზობთ გუშინდელ რუსულ გაზეთ „სპორტ ექსპრესში“ დაბეჭდილ წერილს.

# გულიტის, ვიალის მეგობარი და სტალონეს ნაცნობი

ᲘᲒᲘ 20 წლისაა, ფორვარდი. ამ სეზონში შეეძლო „ალანიას“ ფეხბურთელიც გამხდარიყო, მაგრამ რუსეთის ჩემპიონატს ინგლისისა ამჯობინა, „ალანიას“ — „ჩელსი“ და თვეზე მეტი ინგლისის დასაქმების დეპარტამენტის ნებართვას ელოდა.

### ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲔ „ᲩᲔᲚᲡᲘᲡ“ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ?

არისტოკრატული კლუბის მზვერავებმა მისი თამაში სამი წლის წინ, საქართველო — ბულგარეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩისას ნახეს. გავიდა თვეზე ოდნავ მეტი და ფორვარდი ლონდონს გაემართა ორკვირიან სტაჟირებაზე.

— ამ ორი კვირის განმავლობაში სამი მატჩის გამართვამ მომიწია და მათში ორი გოლის გატანა მოვახერხე — იგონებს ქართველი — უნდა ვივარაუდოთ, რომ „ჩელსის“ მესვეურებზე კარგი შთაბეჭდილება მოვახდინე, ამას ლონდონელთა მაშინდელი მწვრთნელის, რუუდ გულიტის გულახდილი დამოკიდებულებაც მაფიქრებინებს. ასე რომ, გარკვეული ხნის შემდეგ ჩემს თბილისურ ბინაში გაისმა ტელეფონის ზარი და გულიტმა კვლავ მიმიწვია თავის კლუბში, ამ შემთხვევაში გაცილებით დიდი ხნით — საუბარი ექვსთვიან სტაჟირებას ეხებოდა. ცხადია, დავთანხმდი. ყველაფერი მეტი რომ არ შეიძლება, ისე კარგად წარიმართა. ყოველდღიური ვარჯიშები „ჩელსის“ ძირითად გუნდთან, კვირაში ერთი თამაში კლუბის რეზერვისტებში... სხვათა შორის, ცუდად როდი მიმდიოდა საქმეები — ექვს თვეში თორმეტი ბურთი გავიტანე.

ეს ის ხანა იყო, როცა ცხოვრებას ფართოდ გახელილი თვალებით შევცქეროდი. წარმოიდგინეთ — ვიალისთან და ძოლასთან ერთად მიწევდა ვარჯიში, გულიტი კი რჩევებს მაძლევდა. ისინი ჩემთვის უბრალო ადამიანები კი არა, ცოცხალი ლეგენდები იყვნენ.

სახლი, რომელშიც მე ვცხოვრობდი, ლონდონის პრესტიჟულ უბანში იდგა. ერთხელაც ვარჯიშის წინ სეირნობისას ქუჩაში სილვესტერ სტალონეს შევეფეთე. თავდაპირველად ვიფიქრე, შემეშალა-მეთქი. სტალონე ჩვეულებრივი, საშუალო სიმაღლის ახალგაზრდად უფრო მომეჩვენა, ვიდრე ჰოლივუდური ბლოკბასტერების გმირად. მერე, როცა უკეთ, ახლოდან დავათვალიერე, მივხვდი — ჩემს წინ სწორედ როკი და რემბო იდგა.

ყველაფერი ოდესმე მთავრდება და ჩემმა ინგლისურმა ექვსმა თვემაც თვალის დახამხამებაში გაირბინა. ექვსი თვის თავზე თბილისს დავუბრუნდი.

ძალიან მალე იგი თბილისის „დინამოს“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი გახდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში წუთითაც არ მოჰკლებია „ჩელსის“ აგენტების ყურადღება. დღემდე ასე იყო და მხოლოდ ახლა ჩათვალეს ლონდონელებმა საჭიროდ მისი გუნდში მიწვევა. ფიქრობენ, რომ ქართველი ფორვარდი უკვე მომწიფდა პრემიერლიგისთვის. ერთადერთი, რაც ხელს უშლიდა ინგლისს გადაბარგებაში, ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტის თანხმობა გახლდათ. ახლა კი ეს პრობლემაც მოგვარდა.

თიერთობა მაინც მიჭირდა. ისინი როგორღაც ზემოდან მიყურებდნენ, მაგრამ ჩემთვის ეს გასაგები იყო და არ ვბრაზდებოდი. ვარსკვლავები ძირითადად ასეთები არიან. თუმცა ამას ვერ ვიტყვი იტალიელებზე. ჩემი „ჩელსიში“ ყოფნის მანძილზე არც ვიალის, არ ძოლას, არც დი მატეოს არასდროს უგრძნობინებიათ თავიანთი უპირატესობა. „ვარსკვლავის ავადმყოფობა“ მათთვის უცხო სენი იყო — ამიტომაც ძალიან მალე დავუახლოვდი აპენინელებს. ისინი რაღაცით ჩვენ, ქართველებსაც გვგვანან — ხალისიანები, ენაწყლიანნი და გულგახსნილები არიან.

### ᲛᲔ ᲛᲖᲐᲓ ᲕᲐᲠ!

იგი უკვე ჩელსელია, მაგრამ ამისთვის მორალურადაც უნდა იყოს მზად. მან უნდა იცოდეს, რომ პირველ ხანებში სათადარიგოთა სკამზე უფრო ხშირად იჯდება, ვიდრე ითამაშებს. პერსპექტივა არცთუ სახარბიელოა, მაგრამ ეს არ აშინებს ფეხბურთელს.

— დარწმუნებული ვარ, მაინც უამრავ რამეს ვისწავლი — მხოლოდ იმის ცქერითაც კი, თუ როგორ ეპყრობიან ბურთს ძოლა, უაიზი, ლებეფი. დამიჯერეთ, ყველაფერს ვილონებ იმისთვის, რათა „ჩელსის“ ვარსკვლავების ფონზე არ დავიკარგო. ღვთის წყალობით, მეც მალე გამიცნობს ინგლისი, ისევე, როგორც ჩემი მეგობარი გიორგი ქინქლაძე გაიცნო.

ქართველი ფორვარდი უკვე ჩელსელია.

### ᲛᲔ ᲓᲘ ᲛᲐᲢᲔᲝᲡ ᲓᲐ ᲫᲝᲚᲐᲡ ᲕᲒᲐᲕᲐᲠ!

საკითხავია, დადგება თუ არა მის წინაშე პოსტსაბჭოური ქვეყნების ფეხბურთელთათვის აგრერიგად ნაცნობი ენობრივი ბარიერის პრობლემა?

— არა, ეს საფრთხე არ მელის. დედაჩემი პედაგოგი გახლავთ. იგი კი ყოველთვის თვლიდა, რომ სკოლის უმნიშვნელოვანესი საგანი ინგლისური ენაა. ამიტომაც იყო, მთელ დღეებს ზმნის უღლების წესებისა თუ წერის ნორმების ზუთხვაში რომ ვატარებდით. ამ დროს ჩემი უბნელები ეზოში ბურთს დასდევდნენ, ანაც გოგონებს დასტრიალებდნენ თავს — გამიგებთ, ცოტა ძნელი იყო ამ დროს შინ ჯდომა.

შესაბამისად, ქართველმა ფორვარდმა ინგლისური უკეთ იცის, ვიდრე რუსული. ქართული კი, ცხადია, ყველაზე კარგად.

— მიუხედავად იმისა, რომ ენის პრობლემა არ მქონია, ინგლისელებთან ურთიერთობა მაინც მიჭირდა.

ასეთია იგი — შეუპოვარი და თავდაჯერებული. ვის-ვის და რატი ალექსიძეს ხასიათს ვერავინ დაუწუნებს.

„ᲡᲞᲝᲠᲢ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘ“



# დიალოგი აქტუალურ თემაზე

ᲠᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐ, ძმიშვილო, იცი? დაბერდი კაცი და ერთ კითხვას ვერ ვუპასუხე დღემდე — რატომაა ბედი და ყისმათი ნებისმიერ სიხარულს ცხვირში ძმრად რომ ამოადენს კაცს? გიხარია ერთ დღეს, მეორე დღისთვის უკეთესს ელოდები, გგონია ასე გაგრძელდება პატარა ხანს მაინც, მაგრამ ჩაგერევა განგება და ისეთს მოგაჭიტლაყებს, კაი ხნით გადაგავიწყდება, რაც გიხაროდა. ერთი სიტყვით, ზუსტად ისეა, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

კითხვა-პასუხს შევეშვათ, ძმაო და შვილო, რაც მე ვერ გავიგე, ეს სხვებისთვისაც გაუგებარია და მაგაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, თუ კაცი ხარ და ჩემი მოსმენა შეგიძლია, ამ ჩემს ჩაშხამებულ სიხარულებზე ვისაუბროთ ცოტა.

„ჩელსის“ ამბავი მიხაროდა, გითხარი ადრეც. ვფიქრობდი, გააკეთებენ გასაკეთებელს ინგლისელები — გამოსაშვებ სისხლს გამოიშვებენ, გასაცემს გასცემენ და ამ ჩვენს ბიჭსაც პატრონი გამოუჩნდება-თქო. ვინ დაგაცალა — „ჩელსი“ და პრემიერლიგა კი არა, ესენგეს ტურნირი გაგვიხდა სანატრელი — „ვარზობი“, კაცოო, დუშანბეს „ვარზობი“...

ნუ მიკეთებ გულს, ბიძიკო, თორემ დაცინვაში ჩამოგართმევ, იცოდე. რა ისწავლეს, ვინ ისწავლა, სად, როდის. თურქმენების და ტაჯიკების ნასწავლი ფეხბურთის რა მითქვამს, ტაჯიკებმა როგორ უნდა ისწავლონ იმდენი, რომ თბილისის „დინამოს“ ბურთის თამაშში მოუგონ. არ ვიცი, არ მესმის და ვერც ვერასდროს გავიგებ — უეჭველია ეგ. შენ, შვილო, რა გგონია, ფეხბურთში ტრადიციების გარეშე ვინმეს რამე გამოუვა? მეტი არაა ჩემი მტერი. დუშანბეს „პამირი“ რა ოქროს ვენახი გამოდგა ისეთი, რა იბარტყა ამისთანა უსაშველო, რომ ქართველებს მოგვიგო მის ფესვებზე ამოსულმა „ვარზობმა“.

ნეტა აწი რას იტყვიან, რით გაიმართლებენ თავს. ან ექნება კი ფასი თავის გამართლებას. დაცემულია დონე, ბიძიკო, უკან მიდის საქმე და ასეთ დროს მართლები არა და მტყუანები კი უნდა მოიძიო კაცმა. თავზესაყრელადაა ასეთი ხალხი ჩვენს ფეხბურთში, მახარია, და მალე უნდა ჩამოვაცილოთ საკეთებელს, თუ ქართული ფეხბურთის სიკეთე გვინდა. გაგონილა? ჯერ ესენგეს ტურნირი რაა და ახლა იმის მეორე ლიგას რომ ვერ აცდები, არ გაგისკდება კაკალი გული?

მერე აიჩემეს ეს ხაზზე დაცვაში თამაში. პროგრესული რომაა და კარგი, ეს მეც ვიცი, ბიძიკო, მაგაზე დავა-კამათი სულელების საქმეა, მაგრამ როცა ვერ ასრულებ ამ ახალს და კარგს ისევე ძველი არ სჯობია? ეგ, ბიძიკო, ერთი შეხედვით ჩანს ადვილად საკეთებელი, თორემ მინდორზე შესრულება ჩვენს ფეხბურთელებს კი არა, გერმანელებს, ინგლისელებს და იტალიელებს უჭირთ. რომ გააკეთო, ჯერ უნდა ისწავლო და მერე ათასჯერ გაიმეორო ვარჯიშზე, გონებაში, შინ, გარეთ — ე, მერე მოიმკი ნაყოფს.

ფეხბურთელებზეც შენ უნდა შემოგჩივლო ბიძიკო. აზრი არა აქვს? კაცო, შენ ამ ბოლოს ყველაფერზე მასე იძახი და სხვებმაც რომ მხარი აგიბან, მოგვეწყობა საქმე. რას არა აქვს აზრი. მახარია, აზრების გაცვლა-გამოცვლას? არ მითხრა მეორედ ეგ. ჰოდა, იმას გეუბნებოდი ფეხბურთელებიც სხვანაირები გახდნენ, ბიძიკო, ხანდახან ვფიქრობ, ამდენი უთავმოყვარეო რამ შეყარა ერთად-მეთქი. არა, ყველა ერთი ჯოხით არ გაიდენება, მაგრამ ერთმა ტალახიანმა ღორმა ასი გასვარაო — ხომ გაგიგია. კაცო, ადრე ჩვენი გუნდი რომ წააგებდა, სირცხვილით გარეთ გამოსვლას ვერიდებოდით, ხალხის გვრცხვენოდაო — ისეთ ფეხბურთელებს უთქვამთ, მათი ფეხის ფრჩხილად რომ არ ღირს ბევრი ახლანდელი „ვარსკვლავი“ და ამათ რა შუბლი აქვთ ასეთი, რა ძარღვი, ამდენი წაგება გაგონილა და როგორი ხითხითით ხვდებიან ყველაფერს?!

რაო, იმუნიტეტიო? ერთი მაგ სიტყვის მომგონი მანახა და ახლანდელი ქართული ფეხბურთის ცქერაში ამოვაძრობდი სულს — სხვა სასჯელი არ დასჭირდებოდა იმას. ცუდი რამის იმუნიტეტი არ გამიგია მე, ძმიშვილო, არ გაიკარო მასეთი აზრი აწი მაინც.

ხო-ხო-ხო, რა გუნდებთან დაიწყეს ისე წაგება? ნორმალურმა და ჭკუადამჯდარმა კაცმა არც უნდა აიშალო ნერვები — „ვარზობები“ და „ირტიშ-ბასტაუები“ რომ „დინამოს“ შეაჯანჯღარებენ, იმ „დინამოს“ რა ვუთხარი მე. ასეთ რამეზე მარტო სიცილი შეიძლება, ბიძიკო, მაგრამ ჩვენ ისე ვართ მიჩვეულები, სიცილი ტირილში გადაგვდის-ხოლმე და მორიგი სიცილ-ტირილის პერიოდიც ეს იანვარი იყო ნამდვილად.

არ ვიცი, არ ვიცი, კიდევ თუ ეშველება ამ ჩაოხრებულ საქმეს, მახარია. რავა ღარიბი გლეხის ყანას დაემსგავსა ეს ჩვენი ნაქები ქართული ფეხბურთი, ხედავ? მალე ჯოხით დავიწყებ ყანყალს, ბაბა, და რატომ თუ იცი, ვინმე რომ იტყვის ფეხბურთში კარგად გვაქვს საქმეო, ავდგები და ჩავცხებ თავში. იცინე შენ და თუ არ ვიზამ, ნახავ მაგასაც.

„ჩელსი“ და ინგლისი კი ნამეტანი ცოტა ნუგეშია. მალე გადამავიწყებს ეგ. რა მჩელს-მეინგლისება, ძმიშვილო, ფეხბურთი აღარ გვაქვს საერთოდ, გუნდს ვერ მოძებნი ნორმალურს ამ დაქცეულ ქვეყანაში. დავეწიოთ და გავუსწოროთ რომ იძახიან ერთი შტერი გენსეკივით — ვის თუ იცი, მახარია, ვისთვის აპირებენ გასწრებას? ასე თუ იარეს კი, დაუშვენდებათ ცხვირი მაგათაც და მაგათ მაყურებლებსაც.

სხვა კი შენ იცი. გამოიარე-ხოლმე ვილაპარაკოთ ხან „ჩელსიზე“, ხან „ვარზობზე“. მეტი რა შეგვიძლია ჩვენ.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

# ჩალაძე შახტარსაც მოუნდა

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ თასზე კარგი თამაშის შემდეგ რიგის „სკონტოს“ ქართველ ფორვარდ დავით ჩალაძეს დონეცკის „შახტარის“ სელექციონერებმაც მიაპყრეს ყურადღება. 24 წლის ქართველმა, რომელიც ტანმაღალ თავდამსხმელებს განეკუთვნება (185 სანტიმეტრია), მათზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

მოსალოდნელია, რომ „შახტარი“ „სკონტოსთან“ მოლაპარაკებას ისრაელის შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ წამოიწყებს. ამ ორ კლუბს შორის საქმიანი ურთიერთობა ადრეც ყოფილა, შტოლცერსი „შახტარში“ სწორედ „სკონტოდან“ გადავიდა. ამჟამად ვიქტორ პროკოპენკოს განკარგულებაში რამდენიმე თავდამსხმელია, მათ შორის მიხეილ ფოცხვერია და იტალიიდან დაბრუნებული სერგეი ატელკინი.

„შახტარის“ გამოჩენამდე კი ჩალაძის გადაბირებას ესპანეთის სეგუნდა დივიზიონის „კორდობა“ ცდილობდა. ჩალაძე საკვიპროსოდ ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული.

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲔ

# რეხვიაშვილმა შეიძლება თავი კიევში ამოყოს



ᲠᲘᲒᲘᲡ „სკონტოს“ ქართველმა გამთამაშებელმა ალექსანდრე რეხვიაშვილმა შეიძლება თავი კიევის „დინამოში“ ამოყოს. მოსკოვში თანამეგობრობის თასზე მას ერთობ მოუხიბლავს უკრაინული საკლუბო ფეხბურთის ფლაგმანის სელექციონერები. „სკონტოში“ რეხვიაშვილი რუსთავის „გორდადან“ რევაზ ძოძუაშვილმა წაიყვანა და ქართველმა ამ ბალტიისპირული ქვეყნის რამდენიმე უმაღლესი საფეხბურთო ჯილდოც მოიგო. 26 წლის რეხვიაშვილს ბუქარესტის „რაპიდიც“ ეპატიჟებოდა. ახლა კი კიეველები გააქტიურდნენ, რომელთაც ქართველთან ერთად „სკონტოს“ ფორვარდის, 20 წლის ვლადიმირ კოლესნიჩენკოს გადაბირებაც განუზრახავთ. ამ ფეხბურთელმა თანამეგობრობის თასზე კიევის „დინამოს“ დუბლშემადგენლობას ოთხი გოლი გაუტანა.

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲔ

# წიკლაურს სერბები ჩემპიონებისთვის გააქვს

ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲖᲔ მყოფმა „კრილია სოვეტოვმა“ საკონტროლო მატჩი დიდი ანგარიშით მოუგო იუგოსლავიის ჩემპიონ ბელგრადის „ობილიჩს“. იუგოსლავიელთა კარში „კრილიამ“ სამი გოლი გაიტანა. პირველი მამუკა წიკლაურის ანგარიშზეა. მის გარდა თავი მიტინმა და კონოვალოვმა გამოიჩინეს. წიკლაურის გარდა, „კრილიაში“ 90 წუთს ითამაშა საქართველოს ნაკრების მეკარე დავით გვარამაძემ, ბოლო 20 წუთი მცველმა ზურაბ ფოფხაძემ.

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აიაქსი ცდილობს, გიორგი ქინქლაძე ძვირად გაყიდოს

## ამსტერდამელებს არ სურთ, ქართველის ტრანსფერში იზარალონ

იმ დროს, როცა ყველასგან მივიწყებული გიორგი ქინქლაძე ნელ-ნელა შედის ჩვეულ ფორმაში და „დერბი ქაუნთის" ლიდერიც ხდება, გააქტიურდა ფეხბურთელის მფლობელი კლუბი ამსტერდამის „აიაქსი". ჰოლანდიელები ცდილობენ, ქართველის გაყიდვით არ იზარალონ. დღეს ისინი აღარ აცხადებენ, ოღონდ ქინქლაძე გაიყიდოს და დავისვენებთო, როგორც ეს რამდენიმე თვის წინ იყო. „აიაქსი" ეშმაკურად ამარაგებს სატრანსფერო ბაზარს ახალი ინფორმაციებით ქინქლაძის შესახებ.

შეგახსენებთ, რომ გიორგიმ 1998 წელს „აიაქსთან" 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და იგი „აიაქსს" 2003 წლამდე ეკუთვნის. ჰოლანდიელებმა ინგლისის „მანჩესტერ სიტის" ქართველში კლუბისთვის სარეკორდო თანხა — 5,5 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. ქინქლაძის ერთი კვირის ანაზღაურება კი, არაოფიციალური მონაცემებით, 30 000 დოლარს აღემატებოდა.

ვერსიებზე, თუ რატომ ვერ შეეწყო ქინქლაძე „აიაქსს", ბევრი დაიწერა და ამაზე აღარ შევჩერდებით. უკვე 1999 წლიდან მოყოლებული ჰოლანდიელები ყველანაირად ცდილობდნენ ქინქლაძის გაყიდვას. თავიდან ქინქლაძის ფასი 4-4,5 მილიონ გირვანქას შორის მერყეობდა, რამაც დააფრთხო „ევერტონი" და „ლივერპული". შემდეგ „აიაქსმა" ფასი 4 მილიონამდე შეამცირა, თუმცა ქინქლაძე მაინც ეძვირათ „ბრედფორდს", „მანჩესტერ სიტისა" და გლაზგოს „სელტიკს". 3,8 მილიონზე „აიაქსმა" ვერც „პორტსმუთი" და ქინქლაძის ძველი მეგობარი და მწვრთნელი ალან ბოლი დაითანხმა, „ლიდს იუნაიტედმა" კი ბოლო მომენტში შეაჩერა მოლაპარაკება.

დაბოლოს, 3,5 მილიონი და „შეფილდ იუნაიტედი". ვაჭრობა „აიაქსსა" და ამ პირველდივიზიონელს შორის თითქმის თვენახევარი გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე ჰოლანდიელებმა ჯერ 3-მდე, შემდეგ კი 2,5 მილიონამდე დააგდეს ქინქლაძის ფასი. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ „შეფილდი" ქინქლაძის რეალური მყიდველი სულაც არ იყო, რამდენიმე ცნობილი აგენტი ამით „აიაქსს" აიძულებდა, ფეხბურთელი რაც შეიძლება ნაკლებად დაეფასებინა. როგორც კი ეს ცნობილი გახდა „აიაქსმა" ქინქლაძე 3 მილიონამდე გააძვირა, ბოლოს კი კომპრომისზეც წავიდა და 2000 წლის ივნისამდე იჯარით გაუშვა „დერბიში".

დღეს „აიაქსის" პოზიცია და ქმედებები სრულიად განსხვავებულია. ეს პირველ ყოვლისა, განპირობებულია სურვილით, კლუბი ქართველის შეძენა-გაყიდვით ზარალში არ დარჩეს (არადა, მოსალოდნელი ზარალი თითქმის 2,5 მილიონი გირვანქა იყო), ამიტომაც ჰოლანდიელებმა სხვა ხერხს მიმართეს.

ქინქლაძემ გუშინ გაიმეორა, რომ სურს, „დერბი ქაუნთისთან" მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმოს. ქართველი ფორმას იბრუნებს და ამიტომაც მას მხარს უჭერს „დერბის" მენეჯერი ჯიმ სმიტიც. „გიოს ძალიან სურდა ინგლისში თამაში, რაც ჩვენს ინტერესებშიც შედის" — აღნიშნა გუშინ სმიტმა.

თუმცა უკვე დღეს აშკარაა, რომ „აიაქსი" ფორმაში შესულ ქინქლაძეს 3 მილიონ გირვანქად აღარ დათმობს. „დერბისთან" შეთანხმება კი სწორედ ასეთი იყო, ინგლისელები ივნისამდე გამოსცდიდნენ ქართველს და შემდეგ მას 3 მილიონ გირვანქად გამოისყიდიდნენ.

გუშინ ამ თვეში უკვე მეორედ გაჩნდა ინფორმაცია, რომ გიორგი ქინქლაძის შეძენა კიევის „დინამოს" განუზრახავს. უკრაინელები მოლაპარაკებას აწარმოებენ „აიაქსთან" და მზად არიან, ჰოლანდიელებს 3 მილიონი გირვანქა გადაუხადონ". ეს ინფორმაცია თავიდან სააგენტო „უკრაინსკი ფუტბოლმა" გაავრცელა, „აიაქსის" ხელმძღვანელობასთან დაახლოებულ პიროვნებაზე დაყრდნობით. გუშინ კი უკვე „აიაქსმა" განაცხადა, რომ „დინამო" ქინქლაძეში 6 მილიონ ჰოლანდიურ გულდენს იხდის, რაც დაახლოებით 3,7 მილიონი გირვანქაა.

ქინქლაძის სურვილსა (დიდხანს, თუ არა სამუდამოდ, დარჩეს ინგლისურ ფეხბურთში) და კიევის „დინამოს" მცდელობას (გადაიბიროს ქართველი) შორის დიდი შეუსაბამობაა, რომლის უკან აშკარად ჩანს „აიაქსის" ბუნებრივი პოზიცია — არ დარჩეს ზარალში.

2000 წლის ივნისამდე ასეთი განცხადება და ინფორმაციები ალბათ კიდევ იქნება და თუ ქინქლაძემაც შეუწყო ხელი (კვლავ ძველებურად ათამაშდა), არ არის გამორიცხული, „აიაქსმა" ქართველი 5 მილიონ გირვანქაც დააფასოს.

**სიმონ მენაბდე**



გიორგი ქინქლაძე

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ტორპედო *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი), ჩხაბერიძე (თავისუფალი აგენტი) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი) | იზმითსპორი (თურქეთი) 5:0 |
| დინამო *ოთარ კორღალიძე* | აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (სპარტაკი, ვარნა, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გოგიაძე, ს. გოგიაძე (კრივბასი, უკრაინა) | გოგიჩაიშვილი, ქებაძე (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ლობჟანიძე (უეფას მიერ დისკვალიფიცირებული იყო), გადელია (ბათუმი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), ჩხეიძე (?) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველოს U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ ბასტუუ (ყაზახეთი) 5:2 |
| კოლხეთი *გია ტყებუჩავა* | ჭოხონელიძე (თსუ), ტრაპაიძე (შერიფი, მოლდოვა), დავითნიძე (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ბულუხია (თამაში მიატოვა), მელაძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა) | |
| ბათუმი *ჯანი კარნეჯელი* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვე (?) | ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), გ. ნოზაძე (საუ), კაკაბაძე (ცხუმი) | |
| ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (ლოკომოტივი) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი, ახალაძე (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო), ვ. კაკაშვილი (თბილისი) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0 |
| სიონი *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი), ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (?) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი) | ვიტ ჯორჯია 0:1 |
| დილა *მერაბ კოქლაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი) | | ვიტ ჯორჯია 0:1 |
| იბერია *ხოხო გრუიძე* | | | |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი, ქებაძე (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), დ. ჯანელიძე, დოლაბერიძე (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), რ. ახალკაცი (მუმენი, ბულგარეთი), გამცემლიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), დ. გოდერძიშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ჯულელი (მეტალურგი, ლიპეცკი, რუსეთი) | დინამო 2:1, მერანი 2:2 |
| გორდა *იასონ ალადაშვილი* | | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია) | |
| თსუ *თენგიზ კაცია* | მერლანი, ახალაძე (ვიტ ჯორჯია), ნინუა (?) | ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია 4:6 |
| მერანი *სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი) | კოშკაძე, ავალიანი, მელიქია, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), ქოიავა (არაგვი), თ. დოლიძე, მოსულიშვილი (?) | ლოკომოტივი 2:2, ცხუმი 6:0, ვიტ ჯორჯია 0:0 |
| თბილისი *რამაზ შუძლაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია) | გონჩაროვი (არსენალი), ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი) | |
| სამგურალი *იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა) | |
| ხობი *უმწვრთნელოდ* | ონიანი, ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?) | | |
| არსენალი *ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | |

**შენიშვნა: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის**

# რიგგარეშე



№12

[illegible] ქერიშვილი

## გთხოვთ, გაგვრიცხოთ!

დეტალებზე ქვემოთ ვისაუბროთ, მანამდე კი გაგაცნობთ 1990 წლის 20 სექტემბრის №324 წერილს, რომელიც „საქართველოს სსრ ეროვნული საფეხბურთო პირველობის ფედერაციას“(?!) ცხინვალიდან გამოუგზავნეს:

„სამხრეთ ოსეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი და ოლქის ფეხბურთის ფედერაცია გთხოვთ ცხინვალის „ლიახვი“ გარიცხოთ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მომდევნო თამაშებიდან, რადგანაც ფინანსურ სიძნელეთა გამო ვერ ვახერხებთ გუნდის შენახვას“. ხელს აწერენ სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ი. სლანოვი და ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე კ. თედეევი...

ამ დროისთვის უკვე ჩავლილია ეროვნული ჩემპიონატის 26 ტური, მაგრამ ცხინვალში, უსაფრთხოების პრობლემათა მომიზეზებით, არ გამართულა არცერთი მატჩი. ახლა, ოფიციალურ წერილში, უარის მიზეზად ფინანსები სახელდება. არადა, ცხადია: მთავარი მიზეზი პოლიტიკაა — ცხინვალი ცალკე „სახელმწიფოს“ მშენებლობას იწყებს.

რა ქნას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ — დაუყვავოს თუ დაუყოვნებლივ გარიცხოს? მეორე ვარიანტი ამჯობინეს და „ლიახვს“ ხელი დაუქნიეს.

## მე უფროსი, შენ უმცროსი

ახლა ისიც ვნახოთ, რა ვერ გაიყვეს, რატომ წაკინკლავდნენ ფეხბურთის ფედერაცია და საქართველოს უზენაესი საბჭო.

1990 წლის დეკემბერში ფედერაციის პრეზიდიუმი ადგენს: ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 18-ის ნაცვლად 20 გუნდი ითამაშებს, მატჩები „შემოდგომა-გაზაფხულის“ სისტემით გაიმართება. პრეზიდიუმის ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებს ფედერაციის საექსპერტო კომიტეტი. მოტივი: დაირღვა პირველი ეროვნული ჩემპიონატის დებულება, მისი უმნიშვნელოვანესი მუხლი (იგულისხმება მე-4 თავის მე-5 მუხლი: „1990 წლის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდები 1991 წელს გადაყვანილი იქნებიან პირველ ლიგაში, ხოლო პირველ ლიგაში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები გადავლენ უმაღლეს ლიგაში“).

პრეზიდიუმი უარყოფს პროტესტს და საექსპერტო კომიტეტს უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებს. თავის მხრივ, საექსპერტო კომიტეტი განცხადებით მიმართავს უზენაეს საბჭოს. განათლების, კულტურისა და მეცნიერების, ჰუმანიტარული და სოციალური საკითხების მუდმივმოქმედი კომისიების გაერთიანებული სხდომა (არ მოიწვიეს ფედერაციის არცერთი წარმომადგენელი) ადგენს: „მიჩნეულ იქნეს საქართველოს 1990 წლის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დებულების მეოთხე თავის მეხუთე მუხლის დარღვევის ფაქტი სფფ-ის პრეზიდიუმის მიერ. დაევალოს სფფ-ის პრეზიდენტს და პრეზიდიუმს დებულების დაცვა და არ დაუშვას მისი დარღვევა“ (სტილი უცვლელია). მოკლედ, ფედერაციას ავალდებულებენ გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება და ამის შესახებ „წერილობით აცნობოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს“.

18 იანვარს იმართება ფედერაციის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომა. ნოდარ ახალკაცი კითხულობს უზენაესი საბჭოდან მიღებულ დოკუმენტს, სადაც ასეთი რამეც წერია: „ახალკაცმა, მიუხედავად საექსპერტო კომიტეტის არაერთგზის მითითებისა, უხეშად დაარღვია ეროვნული ჩემპიონატის დებულება, რაც წარმოადგენს კანონის უხეშ დარღვევას“.

ახალკაცი განმარტავს: „ჯერ ერთი, ფედერაცია კანონებს არ გამოსცემს, მაშასადამე — ვერც დაარღვევს. მეორეც — ჩემპიონატის ახალ სტრუქტურაზე გადასვლის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო არა ფედერაციის პრეზიდენტმა, არამედ პრეზიდიუმმა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. ჩვენ შევცვალეთ შარშანდელი დებულება, მაგრამ არ დაგვირღვევია წესდება. წესდების ძალით, დებულების შემუშავება და დამტკიცება სწორედ პრეზიდიუმის კომპეტენციაში შედის... ჩვენს საქმეებში ჩარევის უფლებას არავის მივცემთ. ფედერაცია ანგარიშვალდებულია მხოლოდ ყრილობის წინაშე“.

ოპოზიცია იმდენს ახერხებს, რომ 1991 წლის 15 მარტს ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა ინიშნება. იხილავენ ერთადერთ საკითხს — პრეზიდიუმის დეკემბრის გადაწყვეტილებათა მართლზომიერებას. ახალკაცი დამაჯერებლად აბათილებს ყველა ბრალდებას, უზენაესი საბჭოს დეპუტატი ალექსანდრე ჟღენტი კი ტოვებს საექსპერტო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს. ყრილობის დადგენილების პირველ პუნქტში ნათქვამია: „ყრილობა მთლიანად უჭერს მხარს სფფ-ის პრეზიდიუმის შემადგენლობას, სფფ-ის პრეზიდენტს ნ. ახალკაცს და მოითხოვს მათგან მუშაობის შემდგომ გაგრძელებას“.

ყრილობა კი მოითხოვს, მაგრამ ეშმაკს არ სძინავს.

1991 წლის ზაფხულში საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ბრძანებით „ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობაში შექმნილი ვითარების და შემოსული საჩივრების განსახილველად“ იქმნება სპეციალური ათკაციანი კომისია.

რა ბრძანებაა, საბაბი ერთობ სერიოზული ჩანს, მიზანი — ფრიად კეთილშობილური. ახალშექმნილი სამინისტროს ახალდანიშნული მინისტრი ფეხბურთში „შექმნილ ვითარებას“ შეუწუხებია და კომისიის შექმნა უნებებია, კომისიას კი აი, რა დაუდგენია: „დღევანდელ ქართულ ფეხბურთში შეიქმნა მეტად საგანგაშო მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს არსებული სიტუაციის მკვეთრ გამოსწორებას“. და კიდევ: „არ იგრძნობა პოზიტიური ძვრები კორუფციის, პროტექციონიზმისა და სხვა მანკიერებათა აღმოსაფხვრელად“. კომისია, თურმე „გადაუდებელ აუცილებლობად მიიჩნევს სამთავრობო დადგენილების მიღებას“ (ხელს აწერს კომისიის 8 წევრი. ორნი, ანატოლი ნორაკიძე და ალექსანდრე ჩივაძე დასკვნას არ იზიარებენ).

უფრო მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საქმეებით დაკავებული მთავრობა, ცხადია, ჯერჯერობით, ფეხბურთისთვის ვერ მოიცლის. მაშასადამე, ახალკაცის დასამხობად წამოწყებული მორიგი იერიშიც განწირულია.

## თამაშის წესები

მაგრამ იერიშებს ბოლო არ უჩანს, თანაც, თამაშის წესები უკვე არავის ახსოვს — წვრილმან „ეშმაკობებს“ ვინ ჩივის, ფეხის დადებასაც აღარ თაკილობენ. ახალკაცმა ძლიერი მოკავშირე დროზე თუ არ დაიგულა, ვინ იცის, იქნებ მის სკამს ახალი კაცი დაეპატრონოს. ამ სკამს, თურმე, ბევრი შეჰნატრის და ოღონდ მომენტი ჩაუვარდეთ, რიგით თუ რიგგარეშე ყრილობათა შედეგები არცკი გაახსენდებათ. მერე რა, რომ ამ ყრილობებზე ახალკაცს ერთხმად დაუჭირეს მხარი... სამაგიეროდ, ქართული ფეხბურთის ნამდვილი „ჭირისუფალნი“ სწორედ ესენი არიან.

ახალკაცი სხვაგვარად ფიქრობს და ციურიხისკენ მიმავალ ახალ გზებს ეძებს. ფიფაზე ძლიერ, მდიდარ და ერთგულ მფარველს ვერსად იპოვი, მაგრამ ფიფა ზვიადია და მიუდგომელი. ფიფას გულის მოსაგებად ახალკაცის თავგამოდება ცხადია, საკმარისი არ არის. აი, ნახეთ იოზეფ ბლატერის მორიგი პასუხი ახალკაცის მორიგ თხოვნაზე: „ვადასტურებთ 16 სექტემბერს გამოგზავნილი ფაქსის მიღებას. თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია შემდგომი განხილვისთვის აღმასრულებელ კომიტეტს გადავეცით. რაც შეეხება თქვენს თხოვნას 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის შესახებ, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ თქვენი ფედერაცია ფიფას წევრი გახდება. ჩვენი წესდებისა და დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ველოდებით თქვენი ქვეყნის სტატუსის განსაზღვრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ (4.X.1991წ.)“.



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ვიცეპრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე

ამ დროისთვის საქართველოს პოლიტიკური არჩევანი უკვე გაკეთებული აქვს (1991 წლის 9 აპრილს, რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, უზენაესმა საბჭომ აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა), მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციები არ ჩქარობენ სამოქალაქო ომის პირისპირ მდგარი ქვეყნის აღიარებას.

მით უმეტეს, არ ჩქარობს ფიფა.

არადა, სოცბანაკის ქვეყნებში იმგვარი ამბები ტრიალებს, მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდება, ყოველ ახალ დღეს იმდენი სიახლე მოაქვს, ადვილი შესაძლებელია, ხვალ ფიფამაც და სხვამაც აზრი იცვალოს და გადააწყვეტი უცბად გადაწყვიტოს. მეტიც: შეიძლება ამას არც დასჭირდეს საგანგებო ძალისხმევა იმ ეროვნული ფედერაციებისა, რომლებმაც ცალკე ყოფნა ისურვეს და ავლანჟთან აუდიენციას ითხოვენ.

ახალკაცი მაინც აქტიურობს. შუა ოქტომბერში საქართველოს დელეგაცია სტუმრობს ლიტვასა და ლატვიას, ხელშეკრულებას აფორმებს ამ ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებთან. მხარდაჭერის თხოვნით, ფაქსები იგზავნება იტალიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ბრაზილიაში... ოქტომბერშივე, უკვე მერამდენედ, ახალკაცი წერილობით მიმართავს ვიაჩესლავ კოლოსკოვს: „საბჭოთა ფეხბურთის ფედერაცია ჯიუტად არ სცნობს საქართველოს რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციას, რომელიც უკვე რიგით მესამე ჩემპიონატს და სხვა რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო დონის ტურნირებს მართავს. კიდევ ერთხელ გაძლევთ წინადადებას, დაასწროთ პოლიტიკურ მოვლენებს და სცნოთ ჩვენი ფედერაციის დამოუკიდებლობა. თქვენგან გადადგმული ამგვარი ნაბიჯი საწინდარი გახდება კეთილდამოკიდებულებისა და ურთიერთთანამშრომლობისა“.

კოლოსკოვს სხვა საზრუნავი აქვს. საბჭოთა კავშირი და მისი ფეხბურთის ფედერაცია, ფაქტობრივად, აღარ არსებობს; ვერ გაამართლა კოლოსკოვისვე ინიციატივით შეკოწიწებულმა [illegible] ფეხბურთის ფედერაციამ. რაღა დარჩა? სასწრაფოდ შე[illegible] რუსეთის ფეხბურთის ფედერაცია! საბჭოთა და საერთაშორისო ბიუროკრატიაში ჭიპმოჭრილ ჩინოვნიკს, აბა, წინ ვინ დაუდგება: 1992 წლის 8 თებერვალს მოსკოვში გამართულ სრულიად რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელ ყრილობაზე კოლოსკოვს პრეზიდენტად ირჩევენ. ყრილობაზევე ცხადდება ახალი ფედერაციის უპირველესი და უმთავრესი ამოცანა — ფიფაში გაწევრიანება! კოლოსკოვი იქვე ამატებს: ფიფას ვიცეპრეზიდენტის უფლებამოსილებას გამოვიყენებ და თანამეგობრობის ქვეყნებსაც დავეხმარებიო.

გუშინ ხელს უშლიდა, ხვალ — დაეხმარება.

## გიხაროდენ, გეშველათ!

მაგრამ კოლოსკოვი ვის სჭირდება. ციურიხში უკვე დაფაცურდნენ და ახალ ფედერაციებს წერილები დაუგზავნეს: გიხაროდენ, გეშველათ, თქვენს აღიარებას ველარაფერი შეაფერხებს, ოღონდ ერთი თხოვნა შეგვისრულეთ და აუცილებელი დოკუმენტები (სრული ინფორმაცია, სპორტული ინფრასტრუქტურის აღწერილობა, წესდება) დაუყოვნებლივ მოგვაწოდეთო.

ეს შეტყობინება თბილისში 19 თებერვალს მოვიდა, ერთი კვირის თავზე, 25 თებერვალს კი „ფრანს პრესმა“ ამგვარი ინფორმაცია გაავრცელა: „ფიფამ თავის სხდომაზე, სამშაბათს, დროებით წევრებად მიიღო უკრაინის, საქარველოს, ხორვატიისა და სლოვენიის ფეხბურთის ფედერაციები. ამით ამ ქვეყნების საკლუბო გუნდებს და ეროვნულ ნაკრებებს საშუალება მიეცათ ითამაშონ საერთაშორისო ოფიციალური მატჩები ფიფას კონგრესამდე, რომელიც 3 ივლისს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ფიფამ დროებითი წევრის სტატუსი ადრე მიანიჭა ლიტვის, ესტონეთისა და ლატვიის ფეხბურთის ფედერაციებს“.

დროებითიდან მუდმივ წევრობამდე ორიოდ ნაბიჯია.

აპრილის პირველ რიცხვებში ციურიხში ჩადიან ნოდარ ახალკაცი და ალექსანდრე ჩივაძე. თან მიაქვთ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის წერილი:

„ფიფას პრეზიდენტს, ბატონ ჟოაო აველანჟს,

ფიფას გენერალურ მდივანს, ბატონ იოზეფ ბლატერს

ღრმად პატივცემულო ბატონებო! უპირველეს ყოვლისა, მადლობას მოგახსენებთ, რომ თქვენი თანადგომით საქართველოს საფეხბურთო გუნდებს საერთაშორისო სპორტულ არენაზე დამოუკიდებლად გამოსვლის უფლება მიეცა.

საქართველოში, რომელსაც სახემწიფოებრიობის 26-საუკუნოვანი ისტორია აქვს, ფეხბურთს, როგორც სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობას, თამაშობენ 1900-იანი წლებიდან. ამავე პერიოდში შეიქმნა პირველი საფეხბურთო გუნდები.

საქართველოს რესპუბლიკის წამყვანი გუნდი თბილისის „დინამო“ (დღევანდელი „იბერია“) საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი და ორგზის თასის მფლობელია. 1981 წელს თბილისის „დინამომ“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიპოვა.

1990 წელს შეიქმნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მხოლოდ მისი იურიდიქცია ვრცელდება რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამავე წლიდან ორგანიზებულად ტარდება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 100-ზე მეტი გუნდი მონაწილეობს. საქართველოს საზოგადოებრიობა ღრმად არის დარწმუნებული, რომ პირადად თქვენი შემწეობით უახლოეს პერიოდში სფფ (საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია) ფიფას სრულუფლებიანი წევრი გახდება, რაც უდიდეს სტიმულს მისცემს ჩვენს რესპუბლიკაში ფეხბურთის შემდგომ პოპულარიზაციას და განვითარებას“.

ახალკაცსა და ჩივაძეს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის კიდევ ერთი წერილი მიაქვთ, ოღონდ — ბერნში, უეფას ოფისში. შევარდნაძე უეფას პრეზიდენტს ლენარტ იუჰანსონს და გენერალურ მდივანს გერჰარდ აიგნერს გეოგრაფიაში „ავარჯიშებს“ და საქართველოს ევროპულ კუთვნილებას ასაბუთებს.

პრინციპში, უეფას საბუთი არც მოუთხოვია — საქართველო ისედაც „სათავისო“ ქვეყნად მიაჩნია.

გასარკვევი სხვა რამ არის: დაუშვებენ თუ არა საქართველოს გუნდებს უეფას 1992-93 წლების საკლუბო ტურნირებში.

განაცხადი შეტანილია, პასუხი იგვიანებს.

## იტალია

თასის მეოთხედფინალი.
II წრე

**ინტერი 1:1 მილანი (3:2)**

0:1 შევჩენკო (35), 1:1 ბაჯო (37)
ინტერი: ფერონი, პანუჩი, სიმიჩი, ბლანი, კორდობა, კოე (მორიერო 64), დი ბიაჯო (იუგოვიჩი 46), ზეედორფი, ხ. ძანეტი, რეკობა, რ. ბაჯო (ვიერი 46)
მილანი: როსი, შამოტი, კოსტაკურტა, მალდინი, გატუზო, ამბროზინი (ჯუნტი 80), დე აშენტისი, სერჟინიო (გულიელმინპიეტრო 80), ბობანი, ბირჰოფი (ხოსე მარი 58), შევჩენკო
გაფრთხილება: კოსტაკურტა, შამოტი, კოე, კორდობა, როსი
მსაჯი: ტრეოსი

მარჩელო ლიპის მიერ შერისხულმა რობერტო ბაჯომ მილანის „ინტერი" ზედიზედ მეორე შეხვედრაში იხსნა, როდესაც იტალიის თასის გათამაშებაში თანაქალაქელ „მილანს" გოლი გაუტანა და მომდევნო ეტაპის საგზური მოუპოვა. შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა, ორი მატჩის ჯამში კი „ინტერმა" 4:3 მოიგო.

ანგარიში 35-ე წუთზე გაიხსნა. „მილანის" ხორვატმა ლეგიონერმა ზვონიმირ ბობანმა თანაგუნდელ ანდრეი შევჩენკოს ზუსტი საგოლე პასი გადააწოდა, ეს უკანასკნელი კი „ინტერის" სათადარიგო მეკარე ფაბრიციო ფერონს გასცდა და თავისიანები დააწინაურა. ფერონი „ინტერის" ძირითადი გოლკიპერის, ანჯელო პერუცის ნაცვლად თამაშობდა.

ფორმალურმა მასპინძელმა, „ინტერმა" ანგარიშის გათანაბრებას მხოლოდ ორი წუთი მოანდომა. ჰოლანდიელმა კლარენს ზეედორფმა მშვენიერი გარღვევა განახორციელა და ბურთი ბაჯოს გადასცა, რობერტომ თანაგუნდელს გარჯა დაუფასა და გოლი გაიტანა. ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მთავარი მწვრთნელი მარჩელო ლიპი ძალიან უსამართლოდ ექცევა, როდესაც ძირითად შემადგენლობაში არ აყენებს.

ამის შემდეგ ანგარიშის გაზრდის შანსი „მილანს" მიეცა. ანდრეი შევჩენკოს დარტყმული მეკარე ფერონმა საკმაოდ ეფექტურ ნახტომში მოიგერია, ხოლო გუნდის ახალწვეულის, არგენტინელი ხოსე ანტონიო შამოტის თავური კარს ოდნავ ასცდა.

მარჩელო ლიპიმ შესვენების შემდეგ ერთბაშად ორი ცვლილება განახორციელა: ლუიჯი დიბიაჯო ვლადიმირ იუგოვიჩით შეცვალა, ხოლო გოლის ავტორ რობერტო ბაჯოს მაგივრად, მოედანზე კრისტიან ვიერი შეუშვა, რომელმაც, სხვათა შორის, თავი ვერაფრით გამოიჩინა.

მეორე ტაიმში „მილანი" გააქტიურდა — მას ხომ ეს შედეგი ხელს არ აძლევდა. ბირჰოფის ნაცვლად შეცვლაზე შესულმა ხოსე მარიმ ფერონს საკმაოდ ახლო მანძილიდან დაურტყა, მეკარემ კი თავისი გუნდი კიდევ ერთხელ იხსნა. თავის გამოჩენა ბობანსაც შეეძლო, მაგრამ მისმა თავურმა ხარიხას ზემოდან გადაუფრინა.

ბოლოსკენ კი შევჩენკომ ვერ ივარგა — მან ფედერიკო ჯუნტისგან მიღებული ბურთი მაინცდამაინც ფერონს გაარტყა. დარჩენილ წუთებში ანგარიში აღარ შეცვლილა და შეხვედრაც ფრედ 1:1 დასრულდა.

გაირკვა, რომ მილანის „ინტერი" ნახევარფინალში „რომას" მძლეველ „კალიარის" დაუპირისპირდება. მეორე წყვილში კი „ლაციო" და „ვენეცია" იბრძოლებენ.

## ისრაელი

ლიგის (ტოტო) თასის
ნახევარფინალის წილისყრა
მაკაბი (ჰაიფა) — ირონი; მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) — აშდოდი
მატჩები გაიმართება 1 თებერვალს

## ბრაზილია

სან პაულუს ტურნირი
A ჯგუფი

**ფლამენგო 1:2 ბოტაფოგო**
0:1 ლუიზი (46), 1:1 რეინალდო (48), 1:2 ზე კარლოსი (66)

B ჯგუფი

**ვასკუ და გამა 2:1 ფლუმინენსე**
1:0, 2:0 რომარიო (23, 27), 2:1 მაგნო ალვეში (81)

**კორინთიანსი 2:1 პალმეირასი**
1:0 აუგუსტო (7), 1:1 ეულერი (35), 2:1 ფერნანდო ბაიანო (37)

# გლენ ჰოდლის დაბრუნება



გლენ ჰოდლი

დაიბადა 1957 წლის 27 ოქტომბერს ჰაიესში, მიდლესექსის საგრაფო.
1974 ჩაირიცხა „ტოტენჰემის" საფეხბურთო სკოლაში
1975 გახდა პროფესიონალი ფეხბურთელი
1976 გახდა „ტოტენჰემის" სასტარტო შემადგენლობის მოთამაშე
1979 ბულგარეთის წინააღმდეგ პირველად ითამაშა ინგლისის ნაკრების რიგებში
1981 „ტოტენჰემთან" ერთად მოიგო ფეხბურთის ასოციაციის თასი
1982 მეორედ მოიგო ასოციაციის თასი. იმავე წელს „ტოტენჰემი" ლიგის თასის ფინალშიც გავიდა.
1987 ასოციაციის თასის ფინალში (რომელიც „ქოვენთრიმ" 3:2 მოიგო) ბოლოს მოირგო „ტოტენჰემის" მაისურა. „მონაკომ" ჰოდლში 750 ათასი გირვანქა გადაიხადა
1988 გახდა საფრანგეთის ჩემპიონი. ბოლოჯერ ითამაშა ინგლისის ნაკრებში.
1991 გადავიდა „ჩელსიში" (კონტრაქტის გაუფორმებლად). იმავე წელს გახდა „სუინდონის" მოთამაშე მწვრთნელი.
1993 გაიმარჯვა პირველი დივიზიონის პლეი ოფში და „სუინდონი" გადაიყვანა პრემიერლიგაში, რის შემდეგაც დაბრუნდა „ჩელსიში" მოთამაშე მწვრთნელად.
1994 ასოციაციის თასის ფინალში „ჩელსიმ" 0:4 წააგო „მანჩესტერთან".
1995 წავიდა „ჩელსიდან"
1996 ევრო 96-ის შემდეგ ინგლისის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ტერი ვენებლზი შეცვალა
1997 ინგლისის ნაკრები გაიყვანა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე
1998 მაისი: ნაკრებიდან გარიცხა პოლ გესქოინი; ივნისი: მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისი პენალტებით დამარცხდა არგენტინასთან.
აგვისტო: გამოსცა წიგნი „მსოფლიოს ჩემპიონატის დღიურები". წიგნში აღწერილი ამბების გამო ბევრ ფეხბურთელთან გაიფუჭა ურთიერთობა.
1999 30 იანვარს „ტაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჰოდლმა თქვა: „ინვალიდები წინა ცხოვრებაში ჩადენილი ცოდვებისთვის ისჯებიან". ამ ფრაზამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. სამი დღის შემდეგ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ჰოდლი ნაკრების მწვრთნელობიდან გაათავისუფლა.
2000 28 იანვარს ინიშნება „საუთჰემპტონის" მწვრთნელად.

ინგლისურმა „საუთჰემპტონმა" ახალი მწვრთნელი მიიწვია. რომ არა ახალმოსულის ვინაობა იქნებ ამ ფაქტისთვის ნაკლები ყურადღება დაგვეთმო, გლენ ჰოდლის ფეხბურთელობაც გვახსოვს და ინგლისის ნაკრების მწვრთნელობისას მისი თბილისში სტუმრობაც. ბოლოს მან შეურაცხმყოფელი რამ თქვა, რისთვისაც კარი მიუჯახუნეს. გუშინ კი გლენ ჰოდლი პრემიერლიგას დაუბრუნდა.

ჰოდლის მოსვლამდე „საუთჰემპტონში" დევიდ ჯონსი მუშაობდა. ჯონსის გუნდიდან გაშვება ორმა გარემოებამ განაპირობა. მათგან უმთავრესი არასაფეხბურთო ხასიათისაა. ყოფილ მწვრთნელს, ვისი კლუბიც პრემიერლიგის მე-17 საფეხურზე იმყოფება, ლივერპულის სასამართლოში საქმის გარჩევა ელის. ბრალდება მეტად მძიმეა. ჯონსს 80-იან წლებში ბავშვთა სახლში სოციალურ აგენტად მუშაობისას 17 სხვადასხვა სახის დანაშაული ჩაუდენია — ამბობენ გამომძიებლები — მას ბავშვებისადმი არაკორექტულ მოპყრობაში ვამხელთ. სასამართლომდე ჯერ დიდი დროა დარჩენილი — ის 27 ნოემბერს შედგება. თუმცა კლუბის პრეზიდენტმა რუპერტ ლოუმ მწვრთნელის განთავისუფლება ახლავე გადაწყვიტა. ის ამბობს: „დევიდს ორი საათი ვესაუბრე. არ მჯერა, რომ ოთხი შვილის მამა ბავშვების წინააღმდეგ ძალას იხმარდა. დევიდიც გულდაწყვეტილია. მას უამრავი კარგი იდეა აქვს და ვფიქრობ, გუნდის ფსკერიდან ამოყვანა შეუძლია. თუმც სჯობს რეალისტები ვიყოთ. ამ ამბავმა ჯონსს შესაძლოა ფეხბურთელებში ავტორიტეტი დაუკარგოს. საზოგადოებრივი აზრიც „საუთჰემპტონის" წინააღმდეგ იქნება. ამიტომ სამართლიანი გადაწყვეტილება მივიღე. აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი მორალური კომპენსაციის სახით კლუბისგან ერთი წლის ხელფასს მიიღებს". რუპერტ ლოუმ ეს სიტყვები პრესკონფერენციაზე თქვა და ასპარეზი გლენ ჰოდლს დაუთმო.

ჰოდლის განცხადებით, ერთწლიან დასვენებას მასზე უარყოფითად არ უმოქმედია. „ფიქრისთვის საკმარისი დრო მქონდა — ამბობს ჰოდლი — ბევრი რამ ახლებურად გავიაზრე. ახლა ბატარეები გამოვცვალე და ახალი ენერგიით დამუხტული პრემიერლიგას ვუბრუნდები. მსურს, კვლავაც დავამტკიცო, რომ მაღალი კვალიფიკაციის მენეჯერი ვარ. „საუთჰემპტონში" ძალიან კარგი ფეხბურთელები თამაშობენ. მუშაობის სწორედ წარმართვის შემთხვევაში, რასაც აუცილებლად შევძლებ, გუნდი ჯილდოებისთვის ბრძოლას შეძლებს".

კლუბმა ახალ მწვრთნელთან ჯერჯერობით 12-თვიანი კონტრაქტი გააფორმა. შემდეგ ყველაფერი ჰოდლისეული გუნდის შედეგებზე იქნება დამოკიდებული. ჰოდლმა კლუბში მოსვლისთანავე ძველი მეგობარი გაიხსენა. მას ასისტენტობას ჯონ გორმანი გაუწევს. ისინი ინგლისის ნაკრებშიც ერთად მუშაობდნენ. ეს ადრე იყო, სანამ ჰოდლი უმუშევარი დარჩებოდა, გორმანი კი მეორე დივიზიონის ერთ-ერთ აუტსაიდერ „რედინგს" ჩაიბარებდა.

**გიორგი დარჯანია**



**ესპანური** „რეალ ბეტისის" მთავარი მწვრთნელი კარლოს გრიგუოლი შიშობს, რომ პრიმერადივიზიონის მორიგ ტურში „მალაგასთან" დამარცხებამ მას შესაძლოა სამსახური დააკარგვინოს. „თანამდებობის დაკარგვა ყოველთვის შეიძლება და ზუსტად არავინ იცის, როდის, მაგრამ თუ კვირას „მალაგასთან" წავაგეთ, დარწმუნებული ვარ, რომ პოსტს დავტოვებ" — განუცხადა არგენტინელმა ფეხბურთის სპეციალისტმა ესპანურ სატელევიზიო არხ „CANAL SUR"-ს. „ბეტისი" პრიმერადივიზიონის ცხრილში მე-14 ადგილზეა, ბოლო 8 შეხვედრიდან გუნდი 6-ში დამარცხდა, შეგახსენებთ, რომ გრიგუოლმა „ბეტისი" სეზონის დასაწყისში ჩაიბარა, როცა ხავიერ კლემენტე შეცვალა.

**ესპანური მადრიდის „რეალის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა სავიომ ტრავმა მიიღო და მინდორზე დაახლოებით ორ თვეს ვერ გამოჩნდება. სავიო პრიმერადივიზიონის ბოლო შეხვედრაში, ბეტისელ ხორხე ოტეროსთან ორთაბრძოლისას დაშავდა. „ოტერომ შეხვედრის შემდეგ მომიბოდიშა და მე მას ვაპატიე. დარწმუნებული ვარ, ეს მისთვის გაკვეთილი იქნება. მსგავსი უხეშობისას ხომ შეიძლება მეტოქე ისე დააზიანო, რომ მან თამაში საერთოდ ველარ შეძლოს" — განაცხადა სავიომ. ესპანურმა პრესამ შეხვედრის მთავარი არბიტრიც გააკრიტიკა, რადგან რეფერი ხოსე იგნასიო ხრიმალიმ დამნაშავისთვის მხოლოდ ყვითელი ბარათი გაიმეტა.**

**საფრანგეთის** ჩემპიონატის ლიდერ „მონაკოს" მექსიკელი მცველის, რაფაელ მარკესის სანაკრებო შეკრებაზე გაშვება არ სურს. მექსიკის ნაკრები ჰონგ კონგში დაგეგმილ ოთხი ერის პირველობაზე იასპარეზებს, რომელიც 5 თებერვალს დაიწყება. „ზუსტად არ ვიცი, როგორ მოვიქცევი. კლუბისა და ნაკრების ხელმძღვანელობა, ალბათ, ერთმანეთს შეუთანხმდება" — განაცხადა მარკესმა. „მონაკოს" მცველის გათავისუფლება მაინც მოუწევს, რადგან მექსიკის ნაკრები 12 თებერვლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გასამართ კონკაკაფის ოქროს თასის ორკვირიან ტურნირში ჩაებმება. თავად მარკესს კი ამჟამად მცირე ტრავმა აწუხებს, მაგრამ იმედოვნებენ, რომ იგი უახლოეს დღეებში გამოჯანმრთელდება.

**ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი პოლ სქოულზი ოპერაციის შემდეგ ნელ-ნელა ფორმაში შედის. ხუთშაბათს მან „მანჩესტერის" სათადარიგო გუნდში მთელი 90 წუთი ითამაშა. მანჩესტერელები იმ დღეს „ევერტონის" სარეზერვო გუნდს შეხვდნენ. შეგახსენებთ, რომ გასულ თვეში სქოულზმა გრიჟის ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც თავის კლუბს ბრაზილიაში გამართულ საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ დაეხმარა. „მოხარული ვარ, რომ დღითიდღე ფორმაში შევდივარ. უახლოეს ხანებში ალბათ „მანჩესტერის" ძირითად გუნდშიც გამოვჩნდები — განაცხადა სქოულზმა და აქვე დაამატა — უსიამოვნო შეგრძნებაა, როდესაც თამაში არ შეგიძლია და საკუთარ გუნდს თვალყურს ტრიბუნებიდან ან სულაც ტელევიზორის ეკრანიდან ადევნებ. შემადგენლობაში დაბრუნება ყოველთვის სასიამოვნოა". შესაძლოა სქოულზმა დღეს „მიდლსბროს" წინააღმდეგ მატჩშიც ითამაშოს.**

**ინგლისურმა** „ნიუკასლ იუნაიტედმა" პარაგვაიული „სერო პორტენიოდან" 3,25 მილიონ დოლარად 19 წლის ფეხბურთელი, დიეგო გავილანი შეიძინა. მთავარი მწვრთნელის, ბობი რობსონის განცხადებით, ახალგაზრდა ფეხბურთელმა კლუბთან კონტრაქტი 2003-04 წლის სეზონის ბოლომდე გააფორმა. პირობის თანახმად, გავილანის წარმატების შემთხვევაში „ნიუკასლმა" „სერო პორტენოს" დამატებითი თანხაც უნდა გადაუხადოს.

# რომანცევმა სპარტაკში რუსეთი უხმო

**გუშინწინ** რუსეთის ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის" მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა რესტორან „სპარტაკში" გამართულ პრესკონფერენციაზე ეროვნული ნაკრების სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მთავარი თემა ერთი იყო — მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ნაყოფიერად მომზადება.

სამისოდ რომანცევმა ნაკრების ამხანაგურ მატჩთა კალენდარი დაასახელა. რუსეთი იაპონია-კორეაში მოხვედრისთვის ბრძოლას, პირველ შესარჩევ ჯგუფში 2 სექტემბერს სტუმრად იწყებს შვეიცარიის ნაკრებთან. მანამდე კი, როგორც გითხარით, ამხანაგური მატჩებია.

მაშ ასე, პირველი საკონტროლო-ამხანაგური მატჩი ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს 23 თებერვალს ელით თელ-ავივში ისრაელის ეროვნულ გუნდთან. ხუთი დღის შემდეგ, 28 თებერვალს, გერმანიაში ამ ქვეყნის მეორე ნაკრებს შეხვდებიან. ამის შემდეგ, 26 აპრილს, მოსკოვში აშშ-ს ნაკრებს დახვდებიან. მერე რუსები საკუთარი ქომაგის თვალწინ კიდევ ორჯერ წარსდგებიან, 4 ივნისს სლოვაკეთის წინააღმდეგ ითამაშებენ. 16 აგვისტოს კი უკვე ებრაელები დააბრუნებენ ვალს. გარდა ამისა, რომანცევს ერთი სპარინგიც აქვს დაგეგმილი ინგლისის ნაკრებთან, მაგრამ ალბიონელებთან მატჩი ჯერჯერობით საეჭვოა. ისე თარიღად 31 მაისია დათქმული, „უემბლიზე".

რუსებმა ამხანაგური მატჩები კი დაგეგმეს, მაგრამ ვინ უნდა ითამაშოს ნაკრებში? ამისთვის ოლეგ რომანცევმა იმ კანდიდატთა ვინაობა დაასახელა, რომლებიც ქვეყნის ღირსებას დაიცავენ. შემადგენლობა 32-კაციანია და მასში დებიუტანტების გვარებსაც შეხვდებით.

*მეკარეები: ალექსანდრ ფილიმონოვი (სპარტაკი), სტანისლავ ჩერჩესოვი (ტიროლი, ავსტრია) სერგეი ოვჩინიკოვი (ბენფიკა, პორტუგალია), რუსლან ნიგმატულინი (ლოკომოტივი);*

*მცველები: იგორ იანოვსკი (პსჟ, საფრანგეთი), ალექსეი სოლომატინი, იური დროზდოვი, ალექსეი სმერტინი, იგორ ჩუგაინოვი (ყველა ლოკომოტივი), ალექსანდრ შჩეგოლევი, ვიქტორ ბულატოვი, ევგენი ბუშმანოვი, დმიტრი ხლესტოვი (ყველა სპარტაკი), მაქსიმ დემენკო (ზენიტი), ვიქტორ დაევი (ტორპედო), ევგენი ვარლამოვი (ცსკა), ვიქტორ ონოპკო (ოვიედო, ესპანეთი), ომარ თეთრაძე (პაოკ, საბერძნეთი);*

*ნახევარმცველები: ანდრეი ტიხონოვი, არტიომ ბეზროდნი, იგორ ტიტოვი (ყველა სპარტაკი), დმიტრი ლოსკოვი (ლოკომოტივი), სერგეი სემაკი (ცსკა), ალექსანდრ მოსტოვოი, ვალერი კარპინი (ორივე სელტა, ესპანეთი), ვლადიმირ ბუტი (ბორუსია, დორტმუნდი, გერმანია), დმიტრი ალენიჩევი (პერუჯა, იტალია), დმიტრი ხოხლოვი (სოსიედადი, ესპანეთი);*

*თავდამსხმელები: ალექსანდრ შირკო (სპარტაკი), ოლეგ ტერიოხინი (ლოკომოტივი), ალექსანდრ პანოვი (ზენიტი), ვლადიმირ ბესჩასტნიხი (რასინგი, ესპანეთი).*

როგორც ხედავთ, რომანცევის ყველაზე დიდი თავსატეხი დაცვა ყოფილა, 32 კაციდან 14 მცველია. ნაკრების დებიუტანტები არიან: სპარტაკელი შჩეგოლევი, ზენიტელი დემენკო და ტორპედოელი დაევი.

გასაკვირი კი ის არის, რომ 32 კაცში რომანცევმა ადგილი ვერ გამოუნახა ესპანური „სარაგოსას" მცველს ვლადისლავ რადიმოვს. მწვრთნელმა ეს შემდეგნაირად ახსნა: „მისი არსებობა არ დამვიწყებია, მაგრამ მე ხომ დღეისათვის საუკეთესოებს ვუხმე, ასე რომ..."

ერთი სიტყვით, ოლეგ რომანცევმა რესტორან „სპარტაკში" რუსეთს უხმო.

**გიორგი ვაშაკიძე**



REUTERS ლაიპციგიდან

გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შროიდერმა (შუაში), გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა (მარჯვნივ) და ვიცე-პრეზიდენტმა გერჰარდ მაიერ-ვორფელდერმა ლაიპციგის სტადიონის მშენებლობის პირველი აგური დადეს

# ბუნდესიუბილე: გვაჩუქეთ მსოფლიო!

**ფიფას** პრეზიდენტმა, ზეპ ბლატერმა განაცხადა, რომ გერმანიას 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის დიდი შანსი აქვს. პრეზიდენტმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი ქვეყნის საფეხბურთო კავშირის ორგანიზატორულ უნარსა და გამოცდილებას. მან თქვა:

„ახლოს ვარ იმის გამოცხადებასთან, რომ კანდიდატთა შორის ფავორიტი გერმანიაა. ამ ქვეყნის საფეხბურთო კავშირი მსოფლიოში ყველაზე ორგანიზებულია და მის სიმაღლეზე აჰტომას ბარე ორი ვერ შეძლებს".

ბლატერმა ეს სიტყვები ლაიპციგში, კავშირის საუკუნოვან იუბილეზე სააგენტო SID-ს უთხრა. შეგახსენებთ, რომ გერმანიას ოთხი კონკურენტი ჰყავს, ინგლისი, მაროკო, სამხრეთ აფრიკა და ბრაზილია, რომელთაგან, საკუთარი მრავალგზისი აღიარებით, ფიფას პრეზიდენტი მხარს სამხრეთ აფრიკას უჭერს. პრობლემა ის არის, რომ ბლატერის ფავორიტმა ქვეყანამ შესაძლოა მაშტაბური შეჯიბრების სამასპინძლოდ აუცილებელი მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილოს და ამიტომ მსოფლიო ფეხბურთის მმართველს მყარი ევროპული სათადარიგო ვარიანტი სჭირდება.

თუმცა, გერმანიაში განცხადებულით თუ ვიმსჯელებთ, ბლატერი და მისი ორგანიზაცია 5-6 ივლისის მოახლოებასთან ერთად (5-6 ივლისს ფიფამ კანდიდატებს შორის გამარჯვებული უნდა დაასახელოს) სულ უფრო და უფრო ემიჯნება სამხრეთ აფრიკას.

ფრანც ბეკენბაუერი, გერმანიის პროექტის ლიდერი: „ბრძოლას კარგად ვართმევ თავს და იმ ხალხთან, ვინც საბოლოო ვერდიქტი უნდა თქვას მუდმივ კავშირში გახლავართ".

გერმანიის საფეხბურთო კავშირი 1900 წელს ლაიპციგში, რესტორანში შეკრებილმა ენთუზიასტებმა დააარსეს. დღეს იგი 6,3 მილიონი წევრით მსოფლიოში უმსხვილესი ეროვნული სპორტული ორგანიზაციაა. კავშირის პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა განაცხადა, რომ საუკუნოვანი იუბილეს აღნიშვნა ივლისში, ფიფასთან სასიამოვნო ცნობის შეტყობის შემდეგ უფრო გაუხარდებოდა:

„ვინძლო ივლისში ფიფამ მის ერთგულ წევრს, გერმანიის საფეხბურთო კავშირს, საჩუქარი მიუძღვნას. ჩემი აზრით ყველაზე სერიოზული ბრძოლა სამხრეთ აფრიკასა და გერმანიას შორის გაიმართება. უნდა აღვნიშნო, რომ პოლიტიკური მოტივის გამო სამხრეთ აფრიკას გამარჯვების მართლაც დიდი შანსი აქვს".

კავშირის საუკუნოვანი იუბილის ცენტრალური მოვლენა ქვეყნის კანცლერის, გერჰარდ შროიდერის და პრეზიდენტის, იოჰანეს რაუს მიერ ლაიპციგის ახალი, 120 მილიონ დოლარიანი სტადიონის საფუძველში პირველი ქვის დადება გახლდათ.

GhanaNigeria2000

# აფრიკის თასი

განანიგერია-22იანვარი13თებერვალი

## II ტური

### A ჯგუფი

**განა 2:0 ტოგო**

1:0 აევუ (28), 2:0 ო. ადო (37)

განა: კინგსტონი, დუგბატე, ს. კუფური, ჯონსონი (ბაიდო 82), ედუსეი, ო. ადო (დ. ადო 90), ნიარკო, გიანი, აკონორი, აევუ, პრეკო (ე. კუფური 70)

ტოგო: აგასა, ჩანგაი, ტ. სალუ, აბალუ, სენაია, ასიგნონი, ატსუ (დოტე 85), უაჯა, შერიფ ტურე (იედიბაომა 71), კუბადჯა, ფიავუ (ოიავოლე 50)

გაძევება: დუგბატე (62)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| კამერუნი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| კოტ დივუარი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ტოგო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

*III ტური. 31 იანვარი. განა — კოტ დივუარი; კამერუნი — ტოგო*

### B ჯგუფი

**კონგოს დრ 0:1 სამხრეთ აფრიკა**

0:1 ბარტლეტი (44)

კონგოს დრ: მაიალა, კასონგო, იუვულადიო, ბაკასუ, მუკანდო, კიბვეი (იემვევი 53), მანგიტუგა (ბაგეტა 66), დინზი, ნსილულუ, ბანზა, ნგონგე

სამხრეთ აფრიკა: არენდსე, რადებე, ფიში, ისა, ფორჩუნი, მოშოუ (ბაპელა 69), მკალელე, ნგობე, ტინკლერი, ბარტლეტი (ნდლანია 85), ნომვეტე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამ. აფრიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ალჟირი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| კონგოს დრ | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| გაბონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

*III ტური. 2 თებერვალი. სამხრეთ აფრიკა — ალჟირი; გაბონი — კონგოს დრ*

**მიუხედავად** იმისა, რომ განა უდავო ფავორიტად იყო მიჩნეული, მატჩმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობდა. განელებს ტოგოელებთან ძველი ანგარიში უნდა გაესწორებინათ. აფრიკის თასის წინა გათამაშებაზეც გუნდები ერთ ჯგუფში იყვნენ განთესილნი. ორი წლის წინ ტოგოელებმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს, რაც დღემდე სალაპარაკოდ ჰქონდათ. ის მარცხი განელებს ძალიან ძვირად დაუჯდათ — მეოთხედფინალის საგზური დაკარგეს, ამიტომაც რევანშის ალების წყურვილი ჰკლავდათ. ტოგოელებს სხვა საფიქრალი აწუხებდათ. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მათთვის განუცხადებია, ვიტამინებით და სხვა რამერუმეებით თქვენს მომარაგებას ვერ ვახერხებ და თავადვე რამე გაახერხეთო. ცხადია, უპატრონოდ მიგდებული გუნდი ვერაფერს გააკეთებს. ამას ნახევრად დეტექტიური და ნახევრად სამედიცინო ამბავიც დაერთო. საქმე ისაა, რომ ტოგოელთა მწვრთნელი გოტლიბ გოელერი (ვისაც, სხვათა შორის, ხელფასი რამდენიმე თვეა, არ მიუღია) მატჩის დროს მისთვის განკუთვნილ სკამზე არ იჯდა და არც სარბენ ბილიკებზე შეუმჩნევიათ. აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის წარმომადგენელს უთქვამს, გერმანელ სპეციალისტს მალარია შეეყარაო. გოელერის ჯანმრთელობის მდგომარეობით შეწუხებული (თუ დაინტერესებული) ჟურნალისტები მიდგნენ-მოდგნენ, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნეს. ბოლოს იმ სასტუმროსაც ეწვივნენ, სადაც ტოგოს ნაკრებია დაბინავებული. ჟურნალისტებმა სასტუმროს ადმინისტრატორისგან ასეთი პასუხი მიიღეს: გოელერი გუნდს არ გაჰყოლია, ის ნომრიდან მოგვიანებით გამოვიდა, ტაქსში ჩაჯდა და უცნობი მიმართულებით წავიდაო. ადმინისტრატორს ისიც უთქვამს, იმ კაცს ავადმყოფობის არაფერი ეტყობოდა, თუმცა გვარიანად გაბრაზებული იყოო. აქ გოელერის კვალს ჩამოვშორდეთ და სტადიონზე გადავინაცვლოთ.

მინდორზე მოვლენები იმგვარად წარიმართა, ზემოთაღწერილ სიტუაციას რომ შეეფერება. განელებმა პირველივე ტაიმში მოაგვარეს საქმე. გუშინ, პირველი წრის მიმოხილვაში ვამბობდით, აქამდე გატანილი 21 გოლიდან 19 ევროპაში მოთამაშე ფეხბურთელების ანგარიშზეაო. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. გოლები იმათ შეაგდეს, ვისაც უნდა შეეგდოთ, ანუ ევროპიდან ჩასულებმა. ესენი სპორტინგელი კვამე აევუ და დორტმუნდელი ოტო ადო არიან. სხვაგვარად ვერც მოხდებოდა — სასტარტო შემადგენლობების 22 ფეხბურთელიდან ერთადერთი ტოგოელი მეკარე კოსი აგასა იყო, ვინც საკუთარი ქვეყნის კლუბში თამაშობს.

პირველ ტაიმში „შავი ვარსკვლავების" ორბურთიანმა უპირატესობამ განელი ქომაგები დიდად გაახარა. თუმცა შესვენების შემდეგ მათი აღტაცება სადღაც გაქრა. ტრიბუნებზე სიჩუმე ჩამოწვა, რასაც შიგადაშიგ სტვენის ხმა არღვევდა. ამის მიზეზი განელთა იტალიელი მწვრთნელის, ჯუზეპე დოსენას ის სიტყვებია, რომლებიც მან ფეხბურთელებს ტაიმებს შორის გასახდელში უთხრა: „ტოგოელები ორბურთიან სხვაობას ვერ გაქვითავენ. ამიტომ ძალები შემდეგი თამაშისთვის დაზოგეთ და დაცვაში ჩადექით" 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონის ამ ფრაზამ მეორე ტაიმი უინტერესო გახადა. ამგვარი ტაქტიკის მიუხედავად, ტოგოელთა შეტევებს სიმძაფრე აკლდა. ყველაზე სახიფათო მომენტი მათ 76-ე წუთზე შექმნეს, მაგრამ ლანტამ უაჯას დარტყმულ ბურთს განელი მეკარე რიჩარდ კინგსტონი ადგილზე დახვდა.

აფრიკის თასის გათამაშების რიგით მეცხრე მატჩში მსაჯმა პირველი წითელი ბარათი ამოიღო. გაძევებული განელი ებენ დუგბატე შეიქნა — მან მეტოქეს წიხლი უთავაზა.

ამ გამარჯვების შემდეგ განელებს ოთხი ქულა დაუგროვდათ და ერთი ფეხით მეოთხედფინალში არიან.

იმავე დღეს გამართულმა მეორე შეხვედრამ პირველი მეოთხედფინალისტის ვინაობა გაარკვია. სამხრეთაფრიკელებმა დემოკრატ კონგოელებს მინიმალური ანგარიშით სძლიეს და ექვსი ქულა მიითვალეს. ეს კი ჯგუფიდან გასასვლელად სავსებით საკმარისია. პირველი წრის შემდეგ სამხრეთელ შონ ბარტლეტს ნიგერიელ ვიქტორ იკპებასა და აუგუსტინ ოკოჩასთან ერთად ორი გოლი ჰქონდა გატანილი. კონგოსთან მატჩში ბარტლეტმა მესამე შეაგდო და სანამ დანარჩენები მორიგ თამაშს გამართავენ, ტურნირის ერთპიროვნულ ბომბარდირად იქცა. ხოლო მისი კონგოელთა კარში გატანილი გოლი მართლაც კარგი საცქერი იყო. ბარტლეტი მეტოქის მცველს ლამაზი ფინტით გასცდა, შემდეგ მეკარე ნვენი მაიალას მოტყუებაც არ გასჭირვებია. კონგოელთაგან კი უპირველესად მცველი მიშელ დინზი უნდა გამოვარჩიოთ. „მიუნხენი 1860"-ის ფეხბურთელის თავგანწირვა რომ არა, ანგარიში 0:3 მაინც იქნებოდა. დინზიმ ჯერ გენჩლერბირლიგელი დუმისა ნგობეს, მერე კი სამხრეთელთა კაპიტნის, ლუკას რადებეს დარტყმული ბურთები ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა. არც კონგოელი თავდამსხმელები ყოფილან გულხელდაკრეფილნი. უოტფორდელი მიშელ ნგონგეს კარისკენ გაგზავნილი ბურთი სამხრეთაფრიკელთა ოქსფორდელმა მეკარე ანდრე არენდსემ ფეხითლა მოიგერია. კონგოელთა შეტევები განსაკუთრებით მატჩის მიწურულს გამწვავდა, როდესაც ზედიზედ რამდენიმე კუთხური ჩააწოდეს, თუმცა მეტოქის დაცვის გატეხა ვერ შეძლეს.

ამრიგად, სამხრეთ აფრიკა მეოთხედფინალშია. კონგოელთა ბედს კი მათ გარდა სხვათა შედეგებიც გადაწყვეტს.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS კუმასიდან

კონგოს დ.რ. — ს. აფრიკა 0:1. სამხრეთაფრიკელმა სიაბონგა ნომვეტემ (№17) კონგოელ მიშელ ნგონგეს ფეხებში ბურთი გაუტარა



რონალდო

# რონალდო გაეროში

**ესეც** ასე. მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელმა, მილანის „ინტერისა" და ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ფორვარდმა რონალდომ იმდენი ქნა, არც მეტი, არც ნაკლები, გაეროში ამოყო თავი. მოგეხსენებათ, ბრაზილიელმა სუპერვარსკვლავმა ახლახან პარიზის კლინიკაში მუხლის ოპერაცია გაიკეთა. სანამ ექიმები მას ბურთთან შეხების ნებას მისცემენ, მანამ „კიჭამ" ქველობით გაითქვა სახელი. ჯერ სომალიში ჩავიდა და იქაურ ზანგ გოგო-ბიჭებს მოეფერა, მერე კი ომისაგან გატანჯულ კოსოვოსაც ეწვია. გარდა ამისა, ფეხბურთელმა არც სარეკლამო სააგენტოებთან ურთიერთობა დაივიწყა და „ნაიკთან" სულაც ისეთი კონტრაქტი გააფორმა, რომელიც სხვა ფირმის ნაწარმის აქსესუარის მოზომვასაც კი კრძალავს. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მსოფლიო ალაპარაკდა, ლუის ნაზარიო დე ლიმამ, იგივე რონალდომ, აქტიური საფეხბურთო კარიერა ლამისაა თავად დაისრულაო.

ახლა კი გაერო. საქმე აი, რაშია: თებერვლის პირველ რიცხვებში ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი ოფიციალურად ჩაიბარებს თანამდებობას, რომელსაც სიტყვასიტყვით გაეროს განვითარების პროგრამის კეთილი ნების ელჩი ჰქვია. როგორც ნიუ იორკში ხუთშაბათს გახდა ცნობილი, რონალდო ახალ ამპლუას გულგრილად არ შეხვედრია და თანახმაა, სიღარიბესთან ბრძოლას მთელი თავისი ენერგია მოახმაროს.

გაეროს განვითარების პროგრამის აღმასრულებელმა დირექტორმა მარკ ბრაუნმა, როცა მან ხელი მოაწერა ბრძანებულებას რონალდოს ელჩად დანიშვნის თაობაზე, განაცხადა: „ისეთი საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება, როგორიც რონალდოა, ვფიქრობ, შესაფერისი კანდიდატურაა და ჩვენი სამოქმედო პროგრამის განვითარების დაჩქარებაში მნიშვნელოვნად დაგვეხმარება".

რა თქმა უნდა, საინტერესო თავად ფეხბურთელის აზრიცაა. რას ფიქრობს იგი ყოველივე ამის შესახებ: „ხალხმა უნდა იცოდეს, რომ მათ არასდროს ივიწყებენ. ყველანაირად შევეცდები, როგორმე შევუმსუბუქოთ ადამიანებს მდგომარეობა და მეტიც, შევცვალოთ მათი ღარიბული ცხოვრება".

რონალდოსთვის რომ ქველობა უცხო არაა, ის ზემოთაც გითხარით, სექტემბერში, როდესაც იგი კოსოვოში იმყოფებოდა, საკუთარი ჯიბიდან მოზრდილი თანხა გაიღო ქალაქ გიაკოვეს საშუალო სკოლის აღსადგენად, რომელიც ომისაგან მთლიანად გაპარტახებულიყო.

23 წლის ბრაზილიელი, რომელიც 1996 და 97 წლებში ფიფას ვერსიით ზედიზედ ორჯერ გახდა მსოფლიოს რჩეული ფეხბურთელი, ექიმების რჩევით, კიდევ ოთხ-ხუთ თვეს ვერ ითამაშებს, ხოლო თავად გაეროს განვითარების პროგრამის კეთილი ნების ელჩი დარწმუნებულია, რომ ის დიდ სპორტს კიდევ დაუბრუნდება და უმთავრესი მატჩებიც წინაა. ქომაგსაც ხომ ეს სურს.

**გიორგი ვაშაკიძე**

გიო აზვლედიანის

სვეტი

# ბექზის წიხლი

მესამე წელიწადია, თუ მეტიც, რაც დევიდ ბექემმა სახელი დაიგდო. წლეულს კი ყველა პრესტიჟულ გამოკითხვაში მეორე შეიქნა. საკმაო ხალხის აზრით, ის პირველიც უნდა ყოფილიყო. ამას წინეებზე, ჯორჯ ბესტმა თქვა, მარცხენა ფეხი მაგას არა აქვს, კაცს ეგ ვერ ატყუებს და გოლები ვერ გააქვს, რა ვარსკვლავობა შეყარეთო.

ჯორჯ ბესტის გაქანებისა შვიდი-რვა მოიძებნება მსოფლიო ფეხბურთში. ის ბევრ რამეს იტყვის და არც უნდა გაგიკვირდეს, რომ ბესტმა ბექემი დაიწუნოს. თანაც, როცა ეს მაშინ ითქმევა, ბექემი რომ მაინცდამაინც ცეცხლის ხაზზე ვერაა.

როგორი ფეხბურთელია ბექემი?

ამის გარჩევა შორს წაგვიყვანდა. ერთი ნაღდია, რომ ბექემს, ისევე როგორც ბესტს, სიხარულით მიიღებდნენ მსოფლიოს საუკეთესო კლუბებში, რით ჰგავს ბექემი ბესტს? იოლი და მოკლე საპასუხოა — ბევრით არაფრით. რით არ ჰგავს ბექემი ბესტს? ასევე იოლი საპასუხოა, მაგრამ უფრო ვრცელი (ჩამოსათვლელად ფურცელი არ გვეყოფოდა). ბექემი არაფრით ჰგავს ბესტს, გარდა იმისა, რომ ორივეს მოუგია ჩემპიონთა თასი.

თუმცა, აქ არსებობს ერთი შორეული მსგავსებაც, რომელიც მათ კლუბებს პრობლემებს უქმნიდა.

ბესტი ლოთი იყო, მექალთანე და გიჟმაჟი.

ბექემი ლოთი არ არის, მისი სმა არსად თქმულა. სამაგიეროდ, ბექემი რაღაცით დამძიმებულ კაცს ჰგავს. აქედან, მისი წიხლაობა, რომელსაც, რა დასამალია და ბექზმა უხშირა. ამ შემოდგომაზე მან წიხლების ქნევას უმატა და ასოციაციის სამსჯავრომაც კი გააფრთხილა. ბექემი თითქოს დაწყნარდა, მაგრამ მერე ბრაზილიაში მიაფრინდა ერთ მექსიკელ მცველს და გაამევს კიდეც. იქედან მობრუნებული „მანჩესტერი“ „არსენალს“ შეხვდა და მეორე ტაიმში ბექზმა კვლავ ასწია წიხლი, მსაჯი ლიბერალი შეხვდა, პოლ დარკინს არ უყვარს სასტვენი და ბარათების ფრიალი, ძველინგლისურ სტილს მისდევს.

გამორიცხული არაა, რომ ბექემმა ამ ტურშიც იგივე გაიმეოროს. მთელი მედია ჯეკი ჩანს უწოდებს მსოფლიოს მეორე ფეხბურთელს. ერთმა ამერიკელმა იკვლია, იკვლია და ასე თქვა, ბექემს ისეთივე ინტელექტი აქვს ფეხბურთის ამბავში, როგორიც აინშტაინს ფიზიკის ამბავშიო.

ბექემი სერიოზულად გვაეჭვებს ამ გამოკვლევის სისწორეში. აშკარაა, რომ მის ინტელექტს რაღაც უცნაური სუდარა ეფარება. მისი უხეშობა მხოლოდ უხეშობა არ არის. ეს ცხადია. ასე ყველაფერი იოლი იქნებოდა, ისევე, როგორც ვთქვათ კლაუდიო ჯენტილეს შემთხვევაში. ჩვეულებრივ, ბექემი შუა მოედანში გასწევს ხოლმე თავის წიხლს, უბრალო სათამაშო სიტუაციაშია, მაგრამ ყოველთვის მაშინ, როცა გუნდი პრობლემის წინაშეა. ეს ბავშვური რეაქციაა.

აჰ, რა იოლი იქნებოდა ყველაფერი, ეს ამბავი რომ პოლ გესქოინს სჭირდეს? გახსოვთ, ბექემისებურად რომ დაწიხლა ვინსტონ ბოგარდი „ამსტერდამ არენაზე“? მაშინ ყველაფერი გასაგები იყო. წინა დღით გაზას ცოლიც ეცემა.

ბექზი, კი...

თანაც, ისეთ ფორმაშიც ვერაა, რომ...




ჰასან კაჩლული



ნვანკვო კანუ

# ორი აფრიკელი ერთ ტელევიზორთან

. ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜ აფრიკელ ფეხბურთელებს შესაძლოა ოსტატობა და სახელი არ აკლიათ, მაგრამ ძალიან გახლავან შეყვარებულნი იმათზე, ვინც ფულს უხდის.

მაგალითად ნვანკვო კანუ განვიხილოთ. კანუმ ეროვნულ გნუდში აფრიკის თასზე სათამაშოდ ლონდონის „არსენალს“ შვებულება სთხოვა და შესაბამისად, ორშაბათს, პრემიერლიგის ერთ-ერთ უდიდეს შეხვედრაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ მოედანზე ვერ გავიდა. ამიტომაც ნიგერიელი, რომელიც, მეთოფეებთან სადაცაა ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს და კვირაში 28 ათასს მიიღებს, „ოლდ ტრეფორდზე“ ჩატარებულ შეხვედრას ლაგოსის „შერატონში“ ტელევიზიით ადევნებდა თვალს. მის გვერდით, ინგლისში მოთამაშე კიდევ ერთი აფრიკელი, „საუთჰემპტონის“ მაროკოელი ჰასან კაჩლული მოკალათებულიყო.

„კარგი იყო ერთად ჯდომა და პრემიერლიგის ცქერა. გაცილებით უარესი იქნებოდა ერთმანეთის წინააღმდეგ თამაში“ — კაჩლულს ასეთი შთაბეჭდილება დარჩა.

დიდი მატჩი, როგორც იცით, 1:1 დამთავრდა. ჯერ „არსენალმა“ გაიტანა, მერე კი „იუნაიტედმა“ გაქვითა.

„ძალიან მინდოდა „არსენალი“ დამარცხებულიყო ისევე, ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ლესტერთან“ რომ დამარცხდა“ — გაკენწლა მაროკოელმა გვერდით სავარძელში მჯდომი.

კენწლაში არც კანუმ დაუთმო: „ისეთი თამაში, როგორიცაა „მანჩესტერ იუნაიტედი“ „არსენალის“ წინააღმდეგ დიდი ბიჭებისთვისაა. იმათ კი ვინც „საუთჰემპტონში“ და სხვა აუტსაიდერებში გამოდიან, დიდი ბიჭების თამაშის დროს გაჩუმებას ვურჩევდი“.

ბოლო ტურში „საუთჰემპტონმა“ მართალია „ევერტონს“ 2:0 მოუგო, მაგრამ ვინაიდან ეს 17 მატჩიდან მათი მხოლოდ და მხოლოდ მესამე გამარჯვება გახლდათ, მას 20 გუნდიან ცხრილში მე-17 ადგილი უკავია.

როდესაც ფრედერიკ ლიუნგბერგმა „მანჩესტერის“ კარში გოლი შეაგდო კანუ ნამოხტა და კაჩლულს ენა გამოუყო, მაგრამ არ უშველა. „იუნაიტედის“ ყოველი შეტევის დროს მაროკოელი გოლს ითხოვდა და ხმაურობდა.

კანუ აღიარებს, რომ „ოლდ ტრეფორდზე“, მოედანზე ყოფნას ნატრულობდა. არადა, აფრიკის თასზე მას თითქოს მხოლოდ ნიგერიის ნაკრებზე უნდა ეფიქრა.

„ვუცქერი როგორ დავმარცხდით „ლესტერთან“ პენალტებით, ფეხბურთის ასოციაციის თასზე. ეს საპასუხო შეხვედრა იყო. პირველ მატჩში, „ჰაიბერიზე“ მე ვითამაშე (0:0) მერე კი ესპანეთს, მალაგას გავეშურე, სადაც ნიგერიის ნაკრები აფრიკის თასისთვის ემზადებოდა“. „ლესტერთან“ ნაგება რომ ვნახე, ვერ ვჭამე და საერთოდ საძაგელ ხასიათზე ვიყავი, თუმცა აქ სამშობლოს სახელით გამოსვლა მამშვიდებდა. კიდევ კარგი პირველ დღეს ტუნისს ვაჯობეთ“ — დასძინა კანუმ.

როდესაც ტედი შერინგემმა „იუნაიტედის“ გოლი შეაგდო და „ოლდ ტრეფორდზე“ ანგარიში გაიქვითა ნიგერიელს გული ჩანყდა, მაროკოელი გაიზმორა და ღიმილით განაცხადა:

„ძალიან კარგია თამაში ფრედ რომ დასრულდა. არ მინდა „არსენალი“ ლიდერებში დამკვიდრდეს“ 1:1-მა ლონდონელები „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ლიდსის“ შემდეგ მესამე ადგილზე დატოვა.

# ანელკას სახლს ცეცხლი ეკიდა
## ის კი ტელერეპორტიორებს დასდევდა

ესპანური პოლიცია ერთ მეტად საინტერესო ფაქტს იძიებს. საჩივარი ერთ-ერთი ტელეარხის კორესპონდენტმა და ოპერატორმა შეიტანეს. თუ რა კავშირი აქვს ამას ფეხბურთთან სათაურიდანაც მიხვდებოდით

ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ კი აი, რა მოხდა: მადრიდის „რეალის“ ამჟამად დაშავებული ფორვარდის, ნიკოლა ანელკას სახლს თურმე ცეცხლი გაუჩნდა. ვილაც ინტრიგანმა ანონიმმა მეზობელმა სახანძროს მაგივრად ტელევიზიაში დარეკა. ანელკაზე მონადირე ჟურნალისტებსაც მეტი რა უნდოდათ და ოპერატიულ გადაღებაზე გავიდნენ. შემთხვევის ადგილზე რამდენიმე წუთში, სახანძრო რაზმზე ადრე გაჩნდნენ და კამერა მოიმარჯვეს. ხუმრობა ხომ არ არის, ყველაზე ძვირადღირებული მადრიდელის სახლი იწვოდა...

ანელკას კი, როგორც ირკვევა, მარადონას სინდრომი შეჰყრია... არა, ფეხბურთს მასსავით ნამდვილად ვერ თამაშობს... უბრალოდ, ღიეგოსავით რეპორტიორებს დაერია და კარგა გვარიანად მიჟეჟა, თანაც ამ ყველაფერში მისი ძმა ღიღიე და ვილაც მესამე (ჯერაც დაუდგენელი) პირი ეხმარებოდა. ძნელი მისახვედრი ნამდვილად არ უნდა იყოს, რომ ინციდენტის დროს მასმედიელები დაზარალდნენ. ამის შემდეგ მათ პოლიციას „ნივთმტკიცებაც“ (ერთი-ორი კარგა მოზრდილი ნალილავები) წარუდგინეს.

მართალია, ორი დამნაშავის ვინაობა მთელმა ქვეყანამ იცის, მაგრამ პოლიცია რატომღაც ჯერაც მესამეს ეძებს. მათი წარმომადგენელი იუწყება, ვერ დავადგინეთ, ის მესამე ვინ იყოო...

ალბათ მალე გაიგებენ და ჩვენც ოპერატიულად შეგატყობინებთ.

ანელკას გულშემატკივრებმა კი თავი იმით დაიმშვიდონ, რომ მისი სახლი სულაც არ დამწვარა და ფეხბურთელი უბინაოდ არ დარჩენილა. როგორც შემდგომში გაირკვა, კვამლი მისი სახლის გვერდით მდებარე ავტოფარეხიდან ამოდიოდა. აი, ამ ფარეხმა კი რამდენიმე წუთში ადგილზე მისული სახანძრო რაზმისგან მართლაც ჩაილურის წყალი დალია. ანელკას დიდი მატერიალური ზარალი სულაც არ მიუღია. ჯიბის შეთხელება ალბათ ახლა მოუწევს, პოლიციაში.

ნიკა შუბლაძე

საჭირბოროტო

კითხვა • პასუხი

***— აი, გუნდი, „ბარსელონა“, ნახე, როგორ თამაშობს...***

— ჰა, ამოიდგით ენა? მთელი შემოდგომა ჩავარდნილი არ გქონდა? ლამის ტაშკენტის „პახტაკორთან“ წააგეს.

***— ჰმ, წააგესო. „როტორთან“ მართლა წამგები, ერთი თვით წაფორხილებულ გუნდზე ქორაობს.***

— რეისი კიევი — ბარსელონა.

***— აბა, ამას უყურე.***

— მიყურე, ხო.

***— შენ თუ ვერ გაგირჩევია კიევი რა არის მსოფლიო ფეხბურთისთვის და ბარსელონა რა არის, იყავი ეგრე...***

— აფსუს, კაპელო აგცდათ წელს.

***— მაგ კაპელოსაც მიხედავდა კაცი.***

— ახლა კაპელო რომში ზის და ხელებს იფშვნეტს, როდის გავალ ჩემპიონთა ლიგაში, რომ „ბარსა“ დამეჯახოსო.

***— და ვან გაალი რას აკეთებს?***

— ვან გაალს პასტა გაუთავდა და რვეულში ვერაფერს წერს. თუ ვერ ჩაწერს და იმ „ბარსასაც“ მოეხაზება.

***— ის ვან გაალი არ იყო, კოხტად რო გაისტუმრა კაპელო.***

— ერთი რაღაც შეჩხირა. თანაც კაპელო „ბარსას“ წამალია...

***— კაპელოს წამალი ვინ არის?***

— ეგეთი წამალი ჯერ არ მოუგონიათ.

***— ეს ქვეყანა თქვენი ყოფილა.***

— ჩვენია, არ იცოდი?

***— „ბარსას“ რაღა?***

— „ბარსას“ ესპანეთის ჩემპიონობა.

***— მეტი არაფერი მოუგია, არა?***

— კი, თასების თასს იგებდა ხოლმე, მაგრამ გაუქმდა და რით გიშველო?

***— სხვა არაფერი მოუგია?***

— „სტიაუაზე“ მეტი, არაფერი.

***— მაგ სიმართლით იარე.***

— კაპელოს სიმართლით ვივლი, უფრო სანდოა.

***— და გაზა?***

— გაზა რაღა შუაშია?

***— ხო არი დიდი ფეხბურთელი?***

— დიახ.

***— ეგეთი ხო არ დაბადებულა?***

— იშვიათად.

***— ახლა სად არი?***

— კისლავოდსკში, წყლებზე.

***— ჰოდა, „ბარსა“ არასდროს არ არის კისლავოდსკში, გაიგე?***

— თორე, კაპელო ხო კისლავოდსკშია.

***— „რომა“ მაგისთვის გასეირნებაა. კისლავოდსკია, აბა, რა? კურორტი...***

— გაისად ნახავ, როგორ ისეირნებს „რომა“.

***— იცი, რა, მინახავს ეგეთი სეზონის გუნდები.***

— შენ „რომა“ „ლაციოში“ ხომ არ გერევა?

***— არა. „ლაციო“ ნახევარი სეზონისაა.***

— მერე მიიყვანონ კაპელო, რატომ წვალობენ?

***— ყველა კაპელოს ხო არ მიიყვანს?***

— კი. ყველას ჭირდება თითო კაპელო

# დღიური ძაძებში

**მაგნუს ნორმანს** ერთი პატარა საიდუმლო აქვს — შავი ფერის დღიური, რომელშიც თითოეული მატჩის შემდეგ წერს, რა გააკეთა კარგად, რა — ცუდად და რა სისუსტე აღმოუჩინა მეტოქეს.

23 წლის შვედი მტკიცედ იცავს საიდუმლოს და აცხადებს, რომ თავის შენიშვნებს არავის გაუმჟღავნებს, თუმცა გუშინდელი ნახევარფინალის შემდეგ მათი შინაარსის ამოცნობა ძნელი არ იქნება.

ნაწერი იმით დაიწყება, რომ მომდევნო დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალში ცოტათი ადრე გამოფხიზლებაა საჭირო, კანკალის ან მატჩის წინ გახშირებული გულისცემის შემთხვევაში კი ერთი-ორი წამლის მიღებაც არ იქნებოდა ურიგო.

კუთვნილ ადგილს დაიკავებდნენ დღიურში მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გამოთქმული აზრებიც. „მატჩის ცუდად დაწყება დღეს ნამდვილად არ დამეხმარა... ორი სეტის მანძილზე არაფერი გამომდიოდა, მაგრამ მერე საკუთარი თავი ისევ ვიცანი... ეს მხოლოდ ჩოგბურთის ერთი მატჩი იყო, ცხვირი არ უნდა ჩამოვუშვა, წინ მთელი სეზონია."

როდ ლეივერის სახელობის ცენტრალურ კორტზე გამართული კაცების მეორე ნახევარფინალი ცასა და დედამიწასავით განსხვავდებოდა პირველისგან. თუ ხუთშაბათს ანდრე აგასიმ და პიტ სამპრასმა ეპიკური ხუთსეტიანი შეხვედრა აჩუქეს მაყურებლებს, პარასკევის მატჩი აშკარად ცალკარა იყო და მასში მხოლოდ ერთი ჩოგბურთელი — ევგენი კაფელნიკოვი თამაშობდა.

სოჭელმა ჟენიამ შესანიშნავად ისარგებლა იმით, რომ მისი გამოუცდელი მეტოქე პირველად ასპარეზობდა დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალში და მატჩის დასაწყისში ძალიან ნერვიულობდა. მან ნორმანს გონს მოსვლა არ აცალა, თავიდანვე ნოკდაუნში გაისტუმრა და პირველ-მეორე სეტებში 4:0-ით დაწინაურდა.

კაფელნიკოვი მაჯისმიერი, ზუსტი დარტყმებით მეტოქეს აქეთ-იქეთ დაარბენინებდა და გათამაშებებს არცთუ იშვიათად ბადესთან ეფექტური გასვლით ასრულებდა. რაც შეეხება ნორმანს, ის მხოლოდ დიდი რაოდენობით უნებლიე შეცდომებით იჩენდა თავს და ამ სამარცხვინო 50 წუთის მანძილზე საკუთარი თავის ლანძღვით კმაყოფილდებოდა.

REUTERS მელბურნიდან



მაგნუს ნორმანი თავს უბრაზდება

შვედი ხეირიანად მხოლოდ მესამე ხელის დასაწყისში ათამაშდა, თუმცა გამოღვიძება ცოტა ნაგვიანები აღმოჩნდა. 1:2-ზე მოწოდების დათმობის შემდეგ ნორმანმა თავისი პირველი და უკანასკნელი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა მატჩში და სეტში ანგარიში გაათანაბრა.

„ეს ძალიან უსიამოვნო მომენტი იყო; მართლა გავნერვიულდი. გავიფიქრე, ო, ღმერთო, შეიძლება მატჩი მხოლოდ ახლა დაიწყო-მეთქი" — გაიხსენა მოგვიანებით კაფელნიკოვმა.

მართლაც, ნორმანი შესამჩნევად უკეთ ირჯებოდა და ბევრი შთამბეჭდავი, ხანგრძლივი გათამაშებიდან გამარჯვებულადაც გამოვიდა, მაგრამ, თავისდა სამწუხაროდ, მოწოდება კიდევ ერთხელ დაკარგა და ამჯერად ვალის დაბრუნება ველარ მოახერხა.

საბოლოოდ კაფელნიკოვმა 6:1, 6:2, 6:4 მოიგო სულ რაღაც 90 წუთში და, თუ აქამდე გამარჯვებას ტურნირზე გულგრილად, ბადესთან ნელი ნაბიჯით მისვლით აღნიშნავდა, ამჯერად მუშტი მოიღერა, იყვირა და რატომღაც ავტოგრაფებიც აღარავის დაურიგა.

„სიმართლე გითხრათ, თავადაც მიკვირს ამ მატჩებს ისე იოლად ვიგებ, გაცილებით მძიმე ორთაბრძოლებს ველოდი. შეიძლება ეს ჩემი დამსახურებაა, შეხვედრების დასაწყისში მტკიცედ და სტაბილურად რომ ვთამაშობ" — განაცხადა კაფელნიკოვმა, რომელსაც პირველი წრის შეხვედრაში იენს კნიპშილდთან პირველი ხელის წაგების შემდეგ „ოუფენზე" სეტიც აღარ დაუთმია.

ფინალში ანდრე აგასისთან რუსი გაცილებით მძიმე გამოცდას ელის, თუმცა პიტ სამპრასთან შეხვედრას ისევ მსოფლიოს პირველ ჩოგანთან გაჯიბრება ერჩივნა: „თუ პიტთან ჩემი პირადი შეხვედრების ანგარიშს გადახედავთ (2:10), თავადაც მიხვდებით, რატომ. თუ მისი მოწოდება წესრიგშია, მოგება თითქმის შეუძლებელი ხდება, ანდრესთან კი შანსი მაინც მექნება. მზად ვარ, მას თუნდაც მთელი დღის მანძილზე ვეთამაშო უკანა ხაზიდან."

დაახლოებით იგივე აზრისაა ფინალის შესახებ დამარცხებული ნორმანიც: „ანდრე, რა თქმა უნდა, ფავორიტია, მაგრამ თუ ევგენი დღევანდელივით ითამაშებს, მასაც კარგი შანსი აქვს".

სკანდინაველს არც ის დაუმალავს, რომ ძალიან იმედგაცრუებული იყო საკუთარი თამაშით და კორტზეც იმიტომ დაკარგა მოთმინება: „მე ემოციური პიროვნება ვარ, ძალიან მინდოდა, დღეს მომეგო. იცით, იმდენი ენერგია მქონდა... ყველაფერს გავილებდი, კიდევ ერთი შესაძლებლობა მქონდეს, ყველას ვაჩვენო, რომ სულ მცირე, ამაზე უკეთ შემიძლია თამაში."

**ქალთა წყვილების ფინალი: რენე სტაბსი და ლაიზა რეიმონდი** (1, ავსტრალია და აშშ) — მარტინა ჰინგისი და მარი პირსი (3, შვეიცარია და საფრანგეთი) 6:4, 5:7, 6:4.

მარტინა ჰინგისს მელბურნში 1997 წელს დაწყებული, ერთეულებსა და წყვილებში საერთო ჯამში 45-მატჩიანი მოგებათა სერია შეუწყდა.

ერთეულებში ზედიზედ სამჯერ გამარჯვების გარდა 19 წლის შვეიცარიელს წყვილებშიც ამდენჯერვე მოუგია თან სულ სხვადასხვა პარტნიორებთან — ნატაშა ზვერევასთან, მირიანა ლუჩიჩთან და ანა კურნიკოვასთან ერთად.

მსოფლიოს პირველი ჩოგანი წარუმატებლობამ ისე გაანაწყენა, დაჯილდოების ცერემონიალზე სიტყვის წარმოთქმა იუარა და მეტოქეებიც მოიძულა. „გასახდელში მარტო იმას იმეორებდა, თუ გინახავთ, ასე ცუდად ოდესმე მეთამაშოსო. კი მაგრამ, ჩვენი დამსახურების აღნიშვნა? ძალიან მოსაბეზრებელია, რომ ასეთი ჩოგბურთელები მეტოქის კარგ თამაშს ვერ ამჩნევენ. ვუთხარი, ახლა შენც იცი, ადამიანები როგორ გრძნობენ თავს-მეთქი" — განაცხადა ავსტრალიელმა რენე სტაბსმა.

არადა, მატჩის ბოლოს ჰინგისმა მართლაც ვერაფრით გამოიჩინა თავი. პირსმა მძლავრი დარტყმებით ორი მატჩ-პოინტი გადაარჩინა, რომელთაგან მეორეზე სტაბსი ჯერ ბეკერის სტილში გადახტა, მერე კი კორტზე გაწვა, რათა ბურთს მისწვდომოდა და თავისი ჭრელი ქვედა საცვალი ნახევარ პლანეტას დაანახა. აი, მარტინამ კი მიღებაზე ორი ბავშვური შეცდომა დაუშვა და თავიც დაილუპა.

„ძალიან საწყენია, როდესაც სლემის ტურნირის ფინალში აგებ, თუნდაც ეს წყვილებისა იყოს. თუმცა ხვალ დევენპორტთან თამაში სულ სხვა საქმე იქნება. ახლა კიდევ ერთხელ ვფიქრობ [illegible] ვვარჯიშებ, დღის ასე დასრულება არ მინდა" — აღნიშნა ჰინგისმა.

*ქალების ფინალის ნახვის შესაძლებლობა „ევროსპორტზე" შაბათს, საღამოს 5 საათზე გექნებათ, კაცების ფინალი კი კვირას, იგივე დროს დაიწყება.*

ავთანდილ სვანიძე

## ინტერვიუ მატჩის შემდეგ

# მაჩუქეთ გოლფის ბურთები

მელბურნში ჩასული შარშანდელი ჩემპიონი ევგენი კაფელნიკოვი ყველას უმტკიცებდა, ამჯერად რაიმე წარმატების მიღწევის შანსი არ მაქვს და საკუთარი ტიტულის დაცვაზე არც კი ვოცნებობო. ძნელი სათქმელია, სოჭელ ჟენიას ჟურნალისტების და მეტოქეების გაცურება და ყურადღების მოდუნება უფრო სურდა, თუ საკუთარი თავზე ზეწოლის მოხსნა, მაგრამ მსოფლიოს პირველ ჩოგან ანდრე აგასის კვირას სწორედ ის დაუპირისპირდება.

REUTERS მელბურნიდან



**— ხომ არ გაღელვებთ ის, რომ ანდრესთან მატჩისთვის მოსამზადებლად არასაკმარისად ძნელი ბრძოლები გადაგხდათ?**

— უკვე ექვსი შეხვედრა მოვიგე, არა მგონია, ამაში ცუდი იყოს რამე. ისე ხომ არ იქნება საქმე, რომ მეტოქეს არ ვიცნობდე. მე და ანდრეს უკვე ცხრაჯერ გვითამაშია, სულ ახლახან აშშ-ის ღია პირველობისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალშიც შევხვდით. ასე რომ, ვნახოთ.

**— თუ შეატყვეთ დღეს ნორმანს, რომ ძალიან ნერვიულობდა?**

— დიახ, მაგრამ ამისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. თავიდანვე მზად ვიყავი ხანგრძლივი გათამაშებებისთვის, რადგან ვიცოდი, რომ ის ასე ხშირად ცდება. ძალიან ძნელია, კარიერაში პირველი დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალში მთელი პოტენციალი გამოავლინო. თავადაც კარგად მახსოვს, 1995 წლის როლან გაროსის ნახევარფინალი ტომას მუსტერთან, ფაქტობრივად, იმ მატჩში ხეირიანს ვერაფერს ვაკეთებდი.

**— ევგენი, ნუთუ არ გაოცებთ ის, რომ აგასიმ ზედიზედ მეოთხე დიდი სლემის ტურნირის ფინალს მიაღწია, რაც ბოლო 30 წელია, არავის მოუხერხებია?**

— ეს მართლაც განსაცვიფრებელია. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მან ძალიან მოუმატა შარშან, საკუთარი ძალებისაც უფრო ირწმუნა. მას სპორტში დიდი დრო აღარ დარჩენია, მალე 30-ის გახდება, ამიტომაცაა, რომ თითოეულ მატჩში, თითოეულ ტურნირზე ბოლომდე იხარჯება.

**— თქვენ თქვით, ფინალში კიდევ ერთხელ თამაში ძალიან ამაღელვებელიაო, არადა, ძალიან მშვიდად გამოიყურებით, უემოციოდ თამაშობთ. ასე მხოლოდ თავს გვაჩვენებთ, თუ შიგნით ცეცხლი გიკიდიათ?**

— არა, როდესაც ვთამაშობ, მართლაც არ ვნერვიულობ. თქვენ თავადაც მნახავდით ამ ექვს მატჩში, მოგების შემდეგ პირველად მხოლოდ დღეს გამოვავლინე გრძნობები. ეს იმიტომ, რომ სიამაყე დამეუფლა. როგორი საქმეა — ამხელა გზა გამოვიარე და ისევ ფინალში ვარ. ეს ძალიან მახარებს.

**— რატომ მოხდა ისე, რომ ახალ სეზონს ცუდ ფორმაში და თავდაუჯერებელი შეხვდით? ყველამ იცის, რომ თქვენ ერთ-ერთი ყველაზე მუყაითი ჩოგბურთელი ხართ და ყველაზე მეტსაც თამაშობთ. ჰანოვერში, ნოემბერში თქვით, რომ ერთი თვე დაისვენებდით, თხილამურებზე ივლიდით და გაერთობოდით. რაიმემ ხომ არ შეგიშალათ ხელი?**

— არა, ჩემი ბრალია, რომ სეზონისთვის მოსამზადებლად საკმარისი დრო არ მქონდა. ვარჯიში მხოლოდ 20 დეკემბერს დავიწყე და ეს არ მეყო, მანამდე ხომ 3 კვირის მანძილზე ჩოგანი ხელში არ ამიღია. მაგრამ „ოუფენის" დაწყებამდე „კოლონიალ კლასიკის" საჩვენებელ ტურნირზე ბევრს ვვარჯიშობდი, სამი მატჩიც ვითამაშე რჩეულ მეტოქეებთან და თანდათან მოვმჯობინდი.

**— იქნებ ახლა სწორედ ის გეხმარებათ, რომ ამდენი ხანი დაისვენეთ...**

— იქნებ... იცით, მე ისეთი ჩოგბურთელი ვარ, რომლის დამარცხება პირველ ან მეორე წრეში უფრო იოლია, როცა არცთუ მოწადინებული ვარ. ადრეულ წრეებს გავცდები თუ არა, ჩემი დამარცხება ძნელდება, რადგან უკვე ვიცი, რომ ეს დიდი სლემის ტურნირის მეოთხედფინალი ან ნახევარფინალია. ვიცი, რომ ასეთი შანსი ბევრჯერ არ მოგეცემა და უნდა გამოიყენო, თავი არ უნდა დაზოგო. რა ვქნა, ასეთი ვარ.

**— ადრე თქვით, რომ თქვენთვის მსოფლიოს პირველი და მეორე ჩოგნები სამპრასი და აგასი არიან. თქვენ რა, ყოველთვის ბოდიში უნდა იხადოთ, რომ კლასიფიკაციაში მეორე ხართ?**

— არა, ბოდიშს არავის ვუხდი. თუ წარსულს გადახედავთ, მე ზემოხსენებულ ორ ყმაწვილზე გაცილებით მეტ ტურნირში, მეტ მატჩს ვთამაშობ. დარწმუნებული ვარ, ისინიც აფასებენ იმას, რომ ორი დიდი სლემის ტურნირი მოვიგე, რაც მეც გამომარჩევს სხვა ჩოგბურთელებისგან, მათ იციან, რა ძნელია „მეიჯორის" მოგება, ასე რომ, ვფიქრობ, მათ კლუბში სასურველი სტუმარი ვარ.

**— სხვა ვარსკვლავებისგან განსხვავებით, თქვენ ტანსაცმლის სპონსორი არ გყავთ, მაგრამ ვინმემ საქმიანი წინადადებით რომ მოგმართოთ, დაინტერესდებით?**

— არავინ არ მომმართავს, მერწმუნეთ, არავინ.

**— რატომ? თქვენ ხომ მსოფლიოს მეორე ჩოგანი ხართ.**

— იმიტომ, რომ ადრეც მოუმართავთ, მაგრამ უარით გამისტუმრებია.

**— რატომ?**

— ეს ჩემი ხასიათიდან გამომდინარეობს. წარსულში იმდენად გამიმართლა და იმდენი ფული ვიშოვე, რომ სულაც არა ვარ ვალდებული, რაიმე სხვა შემოსავალზე ვიფიქრო. არ მსურს, ვინმე მიმითითებდეს, ტანზე რა ჩავიცვა. მე ჩოგბურთის სიყვარულის გამო ვთამაშობ, ორთაბრძოლები მომწონს და სხვაზე არაფერზე ვნაღვლობ.

**— თავზე რომ გახურავთ, გოლფის ქუდია?**

— დიახ, ფირმა „მაქსფლის".

**— ეს რას ნიშნავს, ამაში ფულს გიხდიან?**

— ნეტავ, ასე იყოს. გოლფში ხანსორი არ მაწყენდა, რადგან ჯერ კიდევ სწავლის პროცესში ვარ და ძალიან ბევრ ბურთს ვკარგავ.

**— თქვენი მწვრთნელი ლარი სტეფანკი არ გააბეზრა იმან, რომ ქუდებსაც და მაისურებსაც მისგან თხოულობთ?**

— ჰო, ეს „ნაიკის" მაისურა მისია, მაგრამ მე მიყვარს ამ ფირმის ნაწარმის ტარება, მიყვარს „ნაიკი".

**— დარწმუნებული ვარ, ისინი სიამოვნებით გადაგიხდიდნენ 10 მილიონს ამაში.**

— ეს თანხა ცოტა გადაჭარბებულია.

**— გოლფს ხშირად თამაშობთ?**

— ყოველ დასვენების დღეს, ხვალაც ვითამაშებ.

**— რამდენ გოლფის ბურთს გაძლევენ?**

— მე მათ ვყიდულობ. ისინი ძალიან ძვირია, ამიტომაც ვცდილობ, „მაქსფლის" ჩემი ქუდი დავანახო, იქნებ ძვალი გადმომიგდონ-მეთქი.

**— რას იზამთ, თუ ხვალ ცუდი ამინდი იქნება?**

— ცუდი ამინდი რომ იყოს, მაინც გოლფს ვითამაშებ. ხელში ქოლგას მოვიმარჯვებ, საკუთარ ჩანთასაც მოვიგდებ მხარზე და სუფთა ჰაერსაც ჩავისუნთქავ. სასიამოვნოა.

**— ვინ არის საუკეთესო რუსი მეგოლფე?**

— არ ვიცი.

**— დიდი სლემის ტიტულის გარდა თქვენს წლევანდელ მთავარ მიზნად ოლიმპიადის მოგება რჩება?**

— დიახ, რადგან ეს ოლიმპიური თამაშებზე ჩემი ასპარეზობის ბოლო შანსი იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ 2004 წლისთვის უკვე აღარ ვითამაშებ, იმ დროისთვის სპორტს თავს დავანებებ. ასე რომ, ახლა უნდა ვცადო.

# გვარჯილა ჩემპიონატის სასუქიცაა

## ღარიბი ქართული კალათბურთი ნატურალურ მეურნეობაზე გადადის

**საქართველოს** კალათბურთის ფედერაციის ალმასკომის ორაშაბათის გადაწყვეტილებამ მეცხრე საკალათბურთო ჩემპიონატის ბედი ბუნდოვანი გახადა. ვინ მოთვლის, მერამდენედ დაუქნია თითი ფედერაციამ მოვალე კლუბებს და მათ საბოლოო ვადაც დაუთქვა, 28 იანვრამდე, ანუ გუშინდლამდე, ურჩ გადამხდელებს კიდევ მიეცათ ვალების გასტუმრების შანსი. წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი მე-15 ტურის თამაშზე არ დაიშვება, წაგება ჩაეთვლება და 0 ქულა დაეწერება — აცხადებდნენ ფედერაციელები.

შინაური კალათბურთის მამების ამ მუქარანარევმა გაფრთხილებამ ძილი დაუფრთხო კლუბებს, იმ დროისათვის მხოლოდ ოთხი მათგანი გრძნობდა თავს არხეინად — „ბასკო“, სტუ, თსუ და „შევარდენი“. მათ გულდამშვიდებით ცხოვრება ირჩიეს, ამ გუნდებისგან მისალებიც უკვე მიელო ფედერაციას და, ბუნებრივია, მომდურავიც არავინ ჰყავდათ.

დასცხათ, რა დასცხათ დანარჩენებს, ფული გაუხდათ საშოვნი. „აზოტს“ — 9000 ლარი, „ვითას“ — 4160, „გორს“ — 3960, ასკ-ს — 3350, „დინამოს“ — 3100, სსუ-ს — 1580, „მაკაბის“ — 1255, სდასუ-ს — 710.

გუშინდელ დღეს ფედერაციის პრინციპულობა, კლუბთა მარიფათი და ეროვნული ჩემპიონატის ბედი უნდა გაერკვია. მანამდე კი ის მოხდა, რომ სდასუ, სსუ და ასკ ამოიღეს შავი სიიდან, აქაოდა, პირნათელნი არიან, ვალი დაფარესო.

ფედერაციის გენერალური მდივნის აკაკი მეგრელაძის სამუშაო ოთახში ნემსიც ვერ ჩავარდებოდა გუშინ. ვის აღარ ნახავდით იქ: მოდავეებს, მომდურებულებს, მოსეირეებსაც კი. მოცლა არ ჰქონდა გენერალურ მდივანს, ყველა მისგან ელოდა პასუხს, მეგრელაძე კი ერთთავად ამას გაიძახოდა:

— „ამ დილასაც ორჯერ დამირეკა ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი ქათამაძემ და გამაფრთხილა, ვინც ფულს არ მოიტანს, თამაშზე არ დაუშვათო. მე რაღა ვქნა, რით გიშველოთ? პრეზიდენტის ბრძანება ასეთია და ვალდებული ვარ, შევასრულო“.

ძირითადად სამი კლუბი იჭყლიტებოდა. ისრაელურ ტურნეზე მყოფ „მაკაბის“ მესვეურთ შემოეთვლიათ ფედერაციისთვის, ორიოდ დღე გვაცალეთ, კვირას თბილისში დავბრუნდებით და ფულსაც ორშაბათს გაახლებთო. „გორის“ თავკაცებიც შეხმიანებიან მეგრელაძეს და უთქვამთ: თანხა უკვე გადმორიცხულია თქვენს ანგარიშზე და დროის ამბავია, როდის მოვაო. რჩებოდნენ „აზოტი“, „დინამო“ და „ვითა“...

ამასობაში „ვითას“ მფლობელი და, ამავდროულად, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თემურ დათიკაშვილიც გამოჩნდა. მოლოდინით მოცქერალ სახეებს გადახედა, ხელი ჯიბეზე შეივლო და ფული თან მაქვს, ვიხდიო. ჰოდა,

გურამ ცაგარეიშვილის ფოტოები



აკაკი მეგრელაძე: გადაიხადეთ და ითამაშებთ!



ოთარ ხმელიძე პრობლემის მოგვარებას ტელეფონით ცდილობს



თემურ დათიკაშვილმა „ვითას“ დავალიანება დაფარა

„ვითაც“ ითამაშებსო, მიაგება პასუხად გენერალურმა მდივანმა.

რუსთაველთა დელეგაცია აშკარად იგვიანებდა, მალე ამასაც ბოლო მოეღო და ასე ოთხი საათისთვის ოთახში „აზოტის“ მთავარი მწვრთნელი ოთარ ხმელიძე და მისი თანაშემწე, ამირან ხაჩიძე შემოვიდნენ. ხაჩიძემ საგულდაგულოდ დაკეცილი თაბახის ფურცელი გაშალა და მეგრელაძეს გაუწოდა, ჩვენი კლუბის პრეზიდენტის, გიორგი გოგოლაძის წერილობითი თხოვნაა და გაეცანითო. მეგრელაძემ ერთი კი დახედა წერილს, რომლის შინაარსსაც წაუკითხავად ხვდებოდა და უკანვე დაუბრუნა ხაჩიძეს. მეც მყავს პრეზიდენტი და მის ბრძანებას ვასრულებ, ამ საკითხზე პირადად ქათამაძეს მიმართეთ, ბოლო სიტყვა მან უნდა თქვასო — ერთი ამოსუნთქვით ჩაამთავრა ძალაუნებურად გაზეპირებული ფრაზა. წერილში კი იმაზე იყო ლაპარაკი, რომ „აზოტის“ ქარხნის გენერალური დირექტორი, გიორგი გოგოლაძე ვალდებულად თვლიდა თავს ფული გადაეხადა და ამას პირველივე შესაძლებლობისთანავე გააკეთებდა არა უგვიანეს წლის პირველი ნახევრისა. როგორც კი ფული ჩაგვივარდებაო, ირწმუნებოდა კლუბის შეფი.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, რუსთაველები მანამდე ყოფილიყვნენ ქათამაძესთან, რომელსაც მწვრთნელები უარით გამოუსტუმრებია. მათ ახლა გენერალურ მდივანს შესჩივლეს პრობლემებზე და როცა მეგრელაძემ ყველა პასუხისმგებლობა მოიხსნა და ისევ ქათამაძისკენ მიუთითა, ისედაც აღელვებულ მწვრთნელებს ნერვიულობა დაეტყოთ: არაფრის გულისთვის გუნდმა უნდა იზარალოს, ამით ჩვენს ქალაქში საბოლოოდ ჩაკვდება კალათბურთიო — ცხარობდა ოთარ ხმელიძე. საკითხში მეტი სიცხადის შესატანად ხმელიძეს მცირე კომენტარი ვთხოვეთ, რითაც უფრო მკაფიოდ გაცხადდა, თუ რა ფულს ედავება ფედერაცია „აზოტს“:

— „გასულ წელს ფინალის ვერის ბაღში გამართვა იყო დაგეგმილი. ჩვენი გუნდის მეპატრონეებმა მოინდომეს თამაშების სპორტის სასახლეში გადატანა, პირადად მოელაპარაკნენ ფედერაციის პრეზიდენტს და საბოლოოდ შეთანხმდნენ კიდეც. ყოველივე ამის შემდეგ „აზოტს“ დაეკისრა გარკვეული თანხის გადახდა, რალაც ნაწილი დაიფარა, დარჩა 9000 ლარი. ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს, სპორტის სასახლეში თამაში გვიბრძანეს და უარი არ გვითქვამს. ვფიქრობ, ეს საკითხი მათვე უნდა შეათანხმონ, ვინც მონაწილეობდა მოლაპარაკებაში. მე რაღა ვქნა, სახლი რომ გავყიდო, მაგდენ ფულს მაინც ვერ მოვაგროვებ. ყოველივე ამას კი გუნდი შეეწირება. როგორმე რამე უნდა მოვიფიქროთ. რაც შეეხება ჩემპიონატში სამონაწილეო თანხას, 5000 ლარი სეზონის დაწყებამდე გადავიხადეთ, ძველ ვალზეა ლაპარაკი“.

ხმელიძე ნერვიულად მიმოდიოდა ოთახში, ფიქრობდა, გამოსავალს ეძებდა. ერთი რამ აშკარა იყო, მეგრელაძისგან დამამშვიდებელს ველარაფერს მოისმენდა და გადაწყვიტა იქაურობას გაცლოდა. წავედით, ამირან, ისევ ქათამაძე ვნახოთ, გადაწყვეტილებას მის გარდა ვერავინ მიიღებსო და...

ოთხ საათზე მსაჯთა კოლეგიის სხდომა იყო დანიშნული. თავმჯდომარე მურმან ქურიძეს მეთხუთმეტე ტურის შეხვედრათა მსაჯ-კომისრები უნდა გაენაწილებინა. ჯერაც სათუო იყო ორი მატჩის ჩატარება, „აზოტისა“ და „დინამოს“ მონაწილეობით. ქურიძემ გადაწყვიტა, წესისა და რიგის მიხედვით ემოქმედა და რუსთავულ თამაშზე თენგიზ ქიქოძე, „დინამო“ — სტუ-ზე კი როლანდ ხომერიკი მიავლინა კომისრად. ხომერიკი არ ესწრებოდა სხდომას, თენგიზ ქიქოძე კი მკაცრად გააფრთხილეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაეტარებინა თამაში, თუ მატჩამდე „აზოტი“ ფულს გადაიხდიდა. ნება თქვენიაო და ქიქოძემ თავის გზას მიაშურა...

ხალხი ნელ-ნელა შეთხელდა. მეგრელაძის ოთახში სულ რამდენიმე დავრჩით. მეგრელაძემაც საათზე დაიხედა, რა დრო გასულაო და წასვლის თადარიგი დაიჭირა. თითქოს ამას ელოდაო და ტელეფონი აწკრიალდა, ქათამაძის დავალებით რეკავდა მავანი, ყველანი სმენად ვიქეცით.

აზრი გასაგები იყო, ქათამაძემ „აზოტი“ - სდასუ-ს გამართვა შემოთვალა...

მეგრელაძემ ახლა თავად აკრიფა ქათამაძის ტელეფონის ნომერი და მის პირად მდივანს დაუყოვნებლივ პრეზიდენტთან დაკავშირება მოსთხოვა. ხოლო [illegible] უფრო კონკრეტული მიმართულება [illegible] ლო გენერალურმა მდივანმა [illegible] დად ქათამაძე ლაპარაკობდა, მეგრელაძე კი ეთანხმებოდა. უცაბედად ფედერაციის პრეზიდენტთან და, ამავდროულად, „ცეკავშირის“ მოუცლელ თავმჯდომარესთან საუბრის შანსი მომეცა, რაც, ბუნებრივია, ხელიდან არ გავუშვი.

**— რამ გაიძულათ გადაწყვეტილების შეცვლა?**

*— „აზოტის“ ქარხნის ხელმძღვანელობასთან ეს-ესაა შევთანხმდი, რომ მომავალ კვირაში გაფორმდება ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ფედერაცია უახლოეს მომავალში აუცილებლად მიიღებს კუთვნილ 9000 ლარს. მეც დავთანხმდი, რომ გუნდმა ჯერჯერობით ითამაშოს, სხვანაირად მოქცევის უფლებაც არ მქონდა, ქარხნის ხელმძღვანელობამ დამარწმუნა, რომ დღეისოდ მათ ფიზიკურად არა აქვთ ფული.*

**— რა გარანტია არსებობს, რომ მომავალში ექნებათ?**

*— კუთვნილ თანხას სხვა ხერხით მივიღებთ. ქარხანა იმ პროდუქციას გვპირდა, რაც ხელზე აქვს საწარმოს. ისინი გადმოგვცემენ საჭირო რაოდენობის გვარჯილას, რასაც კომერციული ფირმა რეალიზაციას გაუკეთებს. ამ გზით უპრობლემოდ შევძლებთ ამოვიღოთ იმ რაოდენობის თანხა, რაც „აზოტს“ მართებს...*

რუსთაველთა საქმეც ამით ჩაიმოვრდა, მოგვიანებით ხმელიძე და ხაჩიძე ისევ მობრუნდნენ ფედერაციაში, ცხადია, სულ სხვა გუნებაზე იყვნენ. კმაყოფილები ჩანდნენ მწვრთნელები ქათამაძის გადაწყვეტილებით, ერთხანს იხუმრეს კიდეც და გულდამშვიდებულები გაემგზავრნენ რუსთავში.

რა ბედი ეწევა „დინამოს“ — ესღა დარჩა გასარკვევი...

მეგრელაძემ მხრები აიჩეჩა, „დინამოდან“ ჩემამდე არავინ მოსულაო. ამ კლუბზე და მის მომავალზე მეტ-ნაკლები წარმოდგენა თემურ დათიკაშვილის ნათქვამიდან შევიქმენით, მას ტელეფონით ულაპარაკია „დინამოს“ პრეზიდენტ ბაჩო სხიერელთან:

— სხიერელმა გარკვევით მითხრა, რომ ეს თანხა საღამოს ექნება ხელთ, მანამდე არაფრით მომიხერხდაო. არ გამოვრიცხავ, რომ გვიან პირადად ენახოთ იგი და მან ეს ფული გადმომცეს. თუ არაფერი შავდება და შესაძლებლად ჩათვლით, პირდაპირ თამაშზე მოვიტანო, ესეც თქვა სხიერელმა. ვნახოთ, დღის ბოლომდე კიდევ დავუკავშირდებით ერთმანეთს...

ესეც ასე. აწყობილა საქმე და [illegible] მთავარია, რომ ქართული კალათბურთის თავს შეჯარული შავი ღრუბლები დროებით მიმოვფანტეთ. და რა და როგორ, ვისი რა საქმეა. ისე გვარჯილამაც რომ მოგვისწრო, არც ამის დაუნახაობა და უთქმელობა იქნება...

**გიორგი ბიკაშვილი**

---

საქართველოს ჩემპიონატი

# 15 ტური

## ანონსი

29 იანვარი. ვერის ბაღი. 13.00
**ასკ — შევარდენი**

29 იანვარი. ვერის ბაღი. 15.00
**სტუ — დინამო**

29 იანვარი. რუსთავი. 14.00
**აზოტი — სდასუ**

30 იანვარი. ვერის ბაღი. 13.00
**თსუ — ვითა**

30 იანვარი. ბათუმი. 14.00
**ბასკო — სსუ**

**მეთხუთმეტე** ტურს ვინ ჩივის, ჩემპიონატის გაგრძელება გუშინდლამდე ვებერთელა კითხვის ნიშნის ქვეშ იყო მოქცეული. ამ კვირამ მნიშვნელოვნად აწეწა შინაურ კალათბურთში მიმდინარე მოვლენები და ფედერაციის მოვალე გუნდებიც წარმოუდგენლად ღრმა უფსკრულის პირას აღმოჩნდნენ. ფედერაციის მუქარამ, ფულის გადაუხდელობის შემთხვევაში, ჩემპიონატში თამაშს გამოგათხოვებთო, ბევრს დაუფრთხო ძილი, თუმც სამუდამო მიძინებამდე თავი მოიქაჩლეს გუნდებმა და ამგვარად, ჩვენი უსიცოცხლო კალათბურთი გადაურჩა „კლინიკურ სიკვდილს“.

თამაშები იქნებაო, თბილისშიც, ბათუმშიც, რუსთავშიცო... ძმაგებო, გიხაროდენ!

ტურის ცენტრალურ შეხვედრად ერთდროულად ორი მატჩი, „აზოტი“ — სდასუ და თსუ — „ვითა“ შეგვირაცხავს. ძნელი გამოსაცნობია, რომელი შეხვედრა უფრო გაამართლებს გულშემატკივრის მოლოდინს, თუმც პრინციპულობით რომ არცერთი ჩამოვარდება, ამაზე სატურნირო ცხრილში დაბედებული ინტრიგაც მიგვანიშნებს.

წინა ტურში, „მაკაბისგან“ სასახელოდ ძლეული „აზოტი“ შინ დაუხვდება ოთხეულში მოსახვედრად დაგეშილ სდასუ-ს, რომელსაც უკნიდან „ვითასა“ და თსუ-ს გამალებული სუნთქვა ესმის და მოსვენება ეკარგება. ნებისმიერი შედეგის მიუხედავად, მეხუთე ადგილზე მყოფი სდასუ აუცილებლად გადაუსწრებს „მაკაბის“, მაგრამ თუ დამარცხდა, თბილისში კი „ვითამ“ თსუ-ს აჯობა, ახლა ჩემპიონს ჩაუდგებიან კვალში სტუდენტები, რაც საპატიო ოთხეულში ტრიალის შანსს სულ ცოტა ერთი კვირით მოუსპობს ლევან მოსეშვილის გუნდს.

„აზოტისა“ და სდასუ-ს დაპირისპირებები ყოველთვის დაძაბული გახლდათ. ეს გუნდები პირველივე წელს (მას შემდეგ, რაც სდასუ არსებობს) სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეკიდნენ ერთმანეთს. ზედიზედ ორი წელი სწორედ „აზოტი“ და სდასუ-ს შეხვედრები არკვევდა ჩემპიონატის მესამეადგილოსანს. ორჯერვე ხმელიძის გუნდი აღმოჩნდა უფრო ძლიერი. სდასუ-მ მოგვიანებით მაინც აისრულა საწადელი და ბრინჯაო მაინც დაისაკუთრა, თუმც ეს ოდნავადაც ვერ ანელებს რუსთაველებისგან მიყენებულ წყენას — იმხანად უკვე ჩემპიონობაზე, ფინალზე ფიქრობდა „აზოტი“.

რუსთაველ გუნდს ნამდვილად არ უდგას საუკეთესო ხანა. მეცხრე ჩემპიონატში უკვე სამი თამაში დათმო და ბოლო წლებში გათამაშების უცვლელმა ლიდერმა კარგა ხნით დაკარგა გაპირველების შანსი. ჯაფარიძის პორტუგალიაში წასვლის შემდეგ აშკარად გაუჭირდა ვიცე-ჩემპიონს. დღევანდელ მატჩში მიზნის მიღწევას ერთიორად გაურთულებს „აზოტს“ მორიგი დანაკარგი. რევაზ ჩხეიძემ ოდესას მიაშურა, იქაურ „ბიპა მოდაში“ ისინჯება და მოსალოდნელია, იქვე დარჩეს. ბოლომდე არც ზაზა გაბისონია მოშუშებულა, რომელიც ავადმყოფობის გამო თითქმის თვეა ვერ ეშველება გუნდს. მისი თამაშიც ერთობ სათუო ყოფილა.

ერთი სიტყვით, ბევრი საფიქრალი მოეძალა „აზოტის“ მთავარ მწვრთნელ ოთარ ხმელიძეს. რუსთაველი გულშემატკივარი კი ნებისმიერ გუნდთან და ნებისმიერ შემთხვევაში გამარჯვებას ითხოვს საქომაგო გუნდისგან. სდასუ-ც არაა ის გუნდი, ვინმეს იოლად დაეჩაგვრინოს, ეს სტუდენტებმა წინა ტურში სტუ-სთან შეხვედრაშიც დაამტკიცეს.

წარმატების მისაღწევად ხმელიძეს პირველ რიგში სდასუ-ს ლიდერის, ირაკლი ხოშტარიას საწინააღმდეგო მეთოდების მიგნება მართებს. მისი განეიტრალება საქმის ნახევარს ნიშნავს, რაც ხმელიძემაც კარგად იცის და თავიდანვე ამას შეეცდება. თავის მხრივ სდასუ-მაც კარგად იცის თავისი კოზირი და ყველაფერს ისე მოაწყობს, რომ ხოშტარიას მეტი გასაქანი მიეცეს. ბევრი იქნება დამოკიდებული მსროლელებზე — რუსთაველ რამაზ გოგობერიშვილზე და სდასუ-ელ შოთა უძილაურზეც. მატჩის ბედს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მაით სათამაშო მზადყოფნა. არავისზე ნაკლებად გამოცდილია ვიცე-ჩემპიონთა გამთამაშებელი არჩილ ღლონტი და გონივრული ქმედებებით შეეცდება მეტოქისთვის ხაფანგების დაგებას. საბოლოოდ ვის რა გამოუვა, ვინ რას მოახერხებს და მიაღწევს, ამას თავად მატჩი გასცემს პასუხს...

კიდევ უფრო მძიმე დღეშია შვიდგზის ჩემპიონი „ვითა“. ცუდ დროს უწევს ამ გუნდს ექვსეულში შესაღწევად უშუალო მეტოქესთან თამაში. არსებობის ისტორიაშიც ამ კლუბს პირველად ემუქრება ექვსეულის მიღმა დარჩენის საშიშროება. ფავორიტი ულავოდ თსუ-ა. საამატჩოდ ნოდარ ქორქია სრულ შემადგენლობას მოუყრის თავს, „ვითა“ კი ერთბაშად ძირითადის სამ კალათბურთელს მოისაკლისებს. მამუკა ტუღუშვილი დისკვალიფიცირებულია, ნუგზარ კოკოლიშვილი „მაკაბიმ“ ისრაელურ ტურნეზე იახლა, დავით უსტიაშვილი კი შეუძლოდ გრძნობს თავს. სიცხე ჰქონია და ძალზედ ცოტა შანსი ყოფილა მისი სახვალოდ გამოჯანმრთელებისა. უკეთესს, ალბათ, ვერაფერს ინატრებდა თსუ, მოულოდნელად ამ გუნდს კარგი პერსპექტივა გაუჩნდა და მთელს თავის ცოდნასა და უნარს, ვფიქრობთ, ორი ქულის დასაკუთრებას მოახმარს.

გათამაშების ლიდერი ბათუმის „ბასკო“ ამ უქმეებზეც წაიპრაქტიკებს. ცხრილის ბოლო საფეხურზე დამკვიდრებული სსუ რა ზღვისპირელთა ტოლი და სწორია. სტუ დღეს „დინამოს“ დაატყდება რისხვად, არც ამას უნდა წინასწარმეტყველების ნიჭი. კიდევ „შევარდენი“ და ასკ ითამაშებენ ერთმანეთში. ამ მატჩის შედეგი საერთო სურათს ვერ შეცვლის და ინტერესიც შესაბამისია.

„მაკაბი“ და „გორი“ კი ჩვენი ჩემპიონატის მოწინავენი არიან. ისრაელის გზაზე დამდგარმა „მაკაბიმ“ წარმატებით მოითავა საქმე და როგორც მოსალოდნელი იყო, დაამარცხა კიდეც უმაღლესი ლიგის დებიუტანტი. შეგეძლებ იქნებ აღარც ახსოვდა ეგ ამბავი...

**გიორგი ბიკაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთავარი გმირების გამოვლენამდე...

11-13 თებერვალს სან ფრანცისკოს გარეუბან ოკლენდში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 49-ე „ოლ სტარ უიქენდი" გაიმართება, რომელიც კვირას, 13 თებერვალს დაგვირგვინდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფერენციების ნაკრები გუნდების მატჩით. გუნდების შემადგენლობა მომავალი კვირის დასაწყისში გამოცხადდება. შეგახსენებთ, რომ თითოეულ გუნდში 12-12 კალათბურთელია, სასტარტო ხუთეულებს ასახელებენ გულშემატკივართა საყოველთაო გამოკითხვის მიხედვით, ხოლო დანარჩენ წევრებს — ასოციაციის ყველა კლუბის მწვრთნელების გამოკითხვის მიხედვით.

უშუალოდ „ოლ სტარს", ანუ აღმოსავლელთა და დასავლელთა მატჩს, რამდენიმე თავშესაქცევი შეჯიბრება თუ კონკურსი უძღვის წინ, რომლებიც „ოლ სტარ უიქენდის" განუყოფელი ნაწილია. მატჩისგან განსხვავებით, იმ ღონისძიებებში მონაწილეთა ვინაობა უკვე დადგენილია და საშუალება გაქვთ თქვენც შეიტყოთ.

## სამქულიანების კონკურსი

*რეი ალენი (მილუოკი), მაიკ ბიბი, ჰუბერტ დევისი (ორივე ვანკუვერი), ჯეფ ჰორნაჩეკი (იუტა), ალენ აივერსონი (ფილადელფია), დირკ ნოვიცკი (დალასი), ტერი პორტერი (სან ანტონიო), ბობ სურა (კლივლენდი)*

## ჩატენვების კონკურსი

*ვინს კარტერი, ტრეისი მაკგრეიდი (ორივე ტორონტო), სტივ ფრენსისი (ჰიუსტონი), ანტაუნ ჯემისონი (გოლდენ სტეიტი), ლარი ჰიუზი (ფილადელფია), ჯერი სტეკჰაუზი (დეტროიტი)*

## ახალბედათა მატჩი

ამ მატჩში ორი გუნდი მონაწილეობს — ერთი ახალბედათა, ხოლო მეორე იმ კალათბურთელთა, რომლებიც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მეორე სეზონს ატარებენ.

*ახალბედები: ელტონ ბრენდი (ჩიკაგო), სტივ ფრენსისი (ჰიუსტონი), ადრიან გრიფინი (ბოსტონი), ტოდ მაკკალოფი (ფილადელფია), ანდრე მილერი (კლივლენდი), ლამარ ოდომი (კლიპერსი), ჯეიმს პოუზი (დენვერი), ვალი შჩერბიაკი (მინესოტა)*

*მეორეწლიანები: მაიკ ბიბი (ვანკუვერი), ვინს კარტერი (ტორონტო), ანტაუნ ჯემისონი (გოლდენ სტეიტი), რიფ ლაფრენცი (დენვერი), დირკ ნოვიცკი (დალასი), მაიკლ ოლოვოკანდი (კლიპერსი), პოლ პირსი (ბოსტონი), ჯეისონ ვილიამსი (საკრამენტო)*

## ორი-ორზე

ეს გახლავთ ჩვეულებრივი ცალფარა კალათბურთი. საინტერესო ისაა, რომ ყოველ გუნდში თითო ქალი და თითო ვაჟი თამაშობს. გუნდები იმ ქალაქებმა მოავლინეს, რომლებშიც განთავსებულია როგორც ვაჟთა, ისევე ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბები.

*დეტროიტი: გრანტ ჰილი (პისტონზი) და ჯენიფერ აზი (შოკი)*
*ჰიუსტონი: სტივ ფრენსისი (როკიტსი) და სინტია კუპერი (კომეტსი)*
*ლოს ანჯელესი: კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) და ლისა ლესლი (სპარკზი)*
*ნიუ იორკი: ალან ჰიუსტონი (ნიქსი) და ბეკი ჰემონი (ლიბერტი)*
*ფინიქსი: ჯეისონ კიდი (სანზი) და ჯენიფერ გილომი (მერკური)*
*საკრამენტო: ჯეისონ ვილიამსი (კინგზი) და იოლანდა გრიფიტი (მონარქზი)*
*იუტა: ჯეფ ჰორნაჩეკი (ჯაზი) და ნატალი ვილიამსი (სტარზი)*
*ვაშინგტონი: რიჩარდ ჰამილტონი (ვიზარდსი) და შამიკ ჰოლდსკლოუ (მისტიკსი)*

# სერიალი «ჩხუბი» 28 ათასი დაჯდა

„დალასის" და „გოლდენ სტეიტის" ამასწინდელი მატჩისას, გოლდენსტეიტელი მარკ დევისი დალასელ შონ ბრედლის დაეჯახა. ატყდა ჩხუბი, რომლის ბოლოს დევისმა ხელში აიტაცა ბრედლი და იატაკზე დაახეთქა. ორივე მოთამაშე მოედნიდან გააძევეს. აღსანიშნავია, რომ ბრედლის სიმაღლე 229 სანტიმეტრია, დევისი კი მასზე დაახლოებით 30 სანტიმეტრით დაბალია.

მატჩი გაგრძელდა და როცა „დალასის" უკანახაზელი სტივ ნეში ფარქვეშ გარღვევაზე შევიდა, „გოლდენ სტეიტის" ახალბედა ვონტიგო კამინგსმა იატაკზე დააგდო. ნეში წამოდგა და გოლდენსტეიტელზე გაიწია, მაგრამ იგი შეაკავეს, ხოლო კამინგსი თამაშიდან გააგდეს.

მატჩის შემდეგ „დალასის" ფორვარდი გერი ტრენტი „გოლდენ სტეიტის" გასახდელში შევარდა, საშხაპეში კამინგსს მიეჭრა და ჩხუბი დაუწყო. ტრენტმა თქვა, რომ აღაშფოთა კამინგსის საქციელმა ნეშის წინააღმდეგ.

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ განიხილა აღნიშნული ინციდენტი და 28 ათასი დოლარის სანქციები გამოიტანა. ტრენტი დაჯარიმდა 10 ათასით და ერთი მატჩის გამოტოვებით. ერთ მატჩს გამოტოვებს და 7500 დოლარს გადაიხდის დევისი. იმდენივეს გაიღებს კამინგსი, ოღონდ მატჩს არ გამოტოვებს, ხოლო ბრედლის 3 ათასით შეუთხელდება ჯიბე.

საინტერესოა, რომ „დალასმა" ხუთშაბათს დაშავებულთა სიაში შეიყვანა გერი ტრენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ კალათბურთელი, სულ მცირე, ხუთ მატჩს ვერ ითამაშებს. ტრენტი სასჯელს მაინც ვერ გაექცევა: ერთ მატჩს დაშავებულთა სიიდან ამოწერის და გუნდის შემადგენლობაში დაბრუნების შემდეგ გამოტოვებს.

## საბერძნეთი

XVII ტური

ირაკლიონი — პერისტერი 78:83, ირაკლისი — აეკ 62:64, პანათინაიკოსი — პანიონიოსი 82:65, ესპეროსი — დაფნი 69:81, სპორტინგი — მარუსი 72:73, არისი — ნიარ ისტი 90:76, ოლიმპიაკოსი — პაოკ 76:58

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 17 | 14 | 3 | 1272:1109 | 31 |
| პანათინაიკოსი | 17 | 14 | 3 | 1287:1070 | 31 |
| ოლიმპიაკოსი | 17 | 13 | 4 | 1209:1079 | 30 |
| პაოკ | 17 | 11 | 6 | 1248:1182 | 28 |
| პერისტერი | 17 | 10 | 7 | 1255:1227 | 27 |
| პანიონიოსი | 17 | 9 | 8 | 1243:1219 | 26 |
| ირაკლისი | 17 | 8 | 9 | 1194:1159 | 25 |
| ნიარ ისტი | 17 | 7 | 10 | 1252:1369 | 24 |
| დაფნი | 17 | 7 | 10 | 1204:1320 | 24 |
| მარუსი | 17 | 7 | 10 | 1161:1200 | 24 |
| ირაკლიონი | 17 | 7 | 10 | 1244:1236 | 24 |
| არისი | 17 | 7 | 10 | 1205:1215 | 24 |
| ესპეროსი | 17 | 3 | 14 | 1139:1361 | 20 |
| სპორტინგი | 17 | 2 | 15 | 1124:1291 | 19 |

## თურქეთი

XVIII ტური

ბეშიქთაში — ტელეკომი 62:57, დარუშაფაკა — ითუ 98:95, ფენერბაჩე — თოფაში 69:72, გალათასარაი — ტროი 65:74, ქარშიაქა — ეფესი 73:76, მიდონოსე — ქომბასანი 83:61, ოიაქი — ულქერი 57:68.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თოფაში | 18 | 14 | 4 | 1326:1192 | 32 |
| ეფესი | 18 | 14 | 4 | 1365:1266 | 32 |
| ქარშიაქა | 18 | 12 | 6 | 1337:1238 | 30 |
| ბეშიქთაში | 18 | 12 | 6 | 1337:1283 | 30 |
| ულქერი | 18 | 12 | 6 | 1350:1279 | 30 |
| ტელეკომი | 18 | 11 | 7 | 1354:1300 | 29 |
| დარუშაფაკა | 18 | 10 | 8 | 1354:1360 | 28 |
| ფენერბაჩე | 18 | 10 | 8 | 1402:1347 | 28 |
| გალათასარაი | 18 | 9 | 9 | 1349:1309 | 27 |
| ტროი | 18 | 6 | 12 | 1391:1463 | 24 |
| მიდონოსე | 18 | 5 | 13 | 1392:1477 | 23 |
| ქომბასანი | 18 | 5 | 13 | 1255:1301 | 23 |
| ითუ | 18 | 5 | 13 | 1200:1353 | 23 |
| ოიაქი | 18 | 1 | 17 | 1175:1419 | 18 |

რეგულარული ჩემპიონატი

# მელოუნი მესამე არ გახადეს



REUTERS შარლოტიდან

შარლოტი — დეტროიტი. შარლოტელი დერიკ კოულმენი (ბურთით) დეტროიტელ ჯერომ ვილიამსს დაეჯახა

27 იანვარი

**პორტლენდი 85:75 იუტა**
პორტლენდი: ონილი (14)
იუტა: გილიამი (15)

**ვანკუვერი 108:106 ნიუ ჯერსი**
ვანკუვერი: დიკერსონი (29), აბდურ-რაჰიმი (23)
ნიუ ჯერსი: მარბერი (42 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა)

**სან ანტონიო 92:80 მინესოტა**
სან ანტონიო: დანკანი (20 ქულა, 14 მოხსნა, 5 დაფარება), რობინსონი (19 ქულა, 12 მოხსნა)
მინესოტა: გარნეტი (26)

**ჰიუსტონი 110:115 გოლდენ სტეიტი**
ჰიუსტონი: ფრენსისი (25 ქულა, 17 მოხსნა, 14 პასი), მილერი (19 ქულა, 12 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (25 ქულა, 10 მოხსნა), ვ. კამინგსი (23), ბლეილოკი (18 ქულა, 11 პასი)

**დალასი 99:90 კლიპერსი**
დალასი: ნოვიცკი (24), ფინლი (20 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)
კლიპერსი: ანდერსონი (35), ოდომი (20 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი)

**კლივლენდი 102:90 ორლანდო**
კლივლენდი: მიურეი (24), კემპი (20 ქულა, 14 მოხსნა)
ორლანდო: არმსტრონგი (21)

**შარლოტი 117:102 დეტროიტი**
შარლოტი: ჯონსი (25 ქულა, 7 ჩაჭრა), კოულმენი (24), ვესლი (24)
დეტროიტი: სტეკჰაუზი (34), ჰილი (28)

ყველა დიდი გუნდი განიცდის დაღმასვლას წარმატებული პერიოდის შემდეგ და ზოგჯერ ეს ისე სწრაფად ხდება, რომ გრანდი თვალის დახამხამებაში იქცევა საშუალო გუნდად. არც უარესია გამორიცხული. მაგალითისთვის „ჩიკაგო ბულზიც" იკმარებს. იგი ამერიკას აზანზარებდა და მისი გამჩერებელი არავინ მოიძებნა, მაგრამ ჩემპიონის მიწასთან გასასწორებლად ორი თვე საკმარისი აღმოჩნდა. ერთ დროს უძლეველ გუნდიდან ახლა სახელიღა შემორჩა. რეალობა ასეთია — „ჩიკაგო ბულზი" მთელი აღმოსავლეთ კონფერენციის მასშტაბით უსუსტესი გუნდია.

ძველებურად ველარ ბრწყინავენ სხვა ჩიკაგოსდროინდელი ბობოლა გუნდები, ზოგს შემადგენლობა შეეცვალა, ზოგსაც... ლიდერი დაუბერდა. ასეთებს მიეკუთვნება „იუტა ჯაზი". თუმცა, „ბულზისგან" განსხვავებით, „იუტამ" მოახერხა შემადგენლობის შენარჩუნება, რითაც ავტომატურად დარჩა ერთ-ერთ წამყვან გუნდად ლიგაში. სოლტ ლეიკ სიტიში ურჩევნიათ ძველ ბიჭებთან ერთად კიდევ ერთხელ (და მეტჯერ) შეუდგნენ მწვერვალისკენ გზას და იქ ნაკლებად ფიქრობენ შემადგენლობის გადახალისება-გაახალგაზრდავებაზე. „იუტას" მამოძრავებელი ძალა ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე ველარაა ძველებურად მძლავრი. ბოლო ბოლო სტოქტონ-მელოუნის უბერებელი დუეტიც დაბერდა, მათმა გუნდმა ჩავარდნებს უმატა და ერთი ორჯერ თავისი თამაშით შოკში ჩააგდო მოგებებით განებივრებული გულშემატკივარი.

ზედიზედ ორი მარცხი ძირითადად ლიდერის, კარლ მელოუნის უკბილო გარჯასთან იყო დაკავშირებული. მუდმივად სტაბილურმა მელოუნმა ზედიზედ ორი შეხვედრა ჩააგდო, რაც მას არა სჩვევია. მელოუნს კი დიახაც ჰქონდა „პორტლენდთან" მეტი მონდომებით თამაშის საბაბი, თან არაერთი. იუტელს თავი უნდა გამოედო და მოსაგებად ყველაფერი ეღონა თუნდაც იმის გამო, რომ შარშან პლეი ოფიდან სწორედ „პორტლენდმა" გამოაპანღურა მისი გუნდი. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მელოუნს თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში უამრავი ქულა დაუგროვებია და ამ თამაშში თუ 24-ს გაახერხებდა, 30 000 შეუსრულდებოდა. მაშინ კი უილტ ჩემბერლენისა და ქარიმ აბდულ-ჯაბარის შემდეგ იგი მესამე კაცი შეიქმნებოდა, ვინც ეს გმირობა ჩაიდინა. იუტელი თამაშში საშუალოდ 24 ქულაზე მეტს აგდებს და ამდენად ყველა მოელოდა, რომ იგი ამ ზღვარს „პორტლენდთან" თამაშში დაძლევდა, მაგრამ...

მელოუნი ალბათ საბოლოოდ შეიძულებს პორტლენდელ თავდამსხმელ ბრაიან გრანტს, ყოველ შემთხვევაში, ამის მიზეზი მას საკმაოზე მეტი აქვს. პორტლენდელი მელოუნსა და საკუთარ კალათს შორის სალი კლდესავით აღიმართა და პირდაპირ გააწამა მეურვე. საბოლოოდ მელოუნმა ტექნიკურიც მიიღო და საერთოდ იმ დღეს სულ 12 ქულას დასჯერდა. ვერც სხვა ვეტერანი იუტელები ყოჩაღობდნენ. ბებერულმა თეთრმა უკანახაზმა სტოქტონისა და ჰორნაჩეკის შემადგენლობით გუნდს სულ 19 ქულა მოუტანა და ასეთ შემთხვევაში რაღა გასაკვირია, თუ „ჯაზმა" მეტოქეს მთლიანობაში ასე ცოტა ქულა ჩაუგდო.

ისეთი ბობოლა გუნდის ძლევამ, როგორიც „იუტა ჯაზია", როგორც ჩანს, უხეირო „ვანკუვერი" თავის შესაძლებლობებში დაარწმუნა და მან ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა. სიმართლე რომ ითქვას, კანადელებს „ნიუ ჯერსის" ძლევა უფრო გაუძნელდათ, ვიდრე „იუტასი". ამ ბოლო ხანებში გამოცოცხლებული „ნიუ ჯერსი" დიდი შემართებით ატარებს მატჩებს, აღარც ბოლოა დივიზიონში. „ნიუ ჯერსის" ლიდერ სტივენ მარბერის გულში აქვს ამოჭრილი წლევანდელ „ოლ სტარის" მატჩში თამაში. იქამდე ორი კვირა დარჩა. მონაწილე გუნდების საბოლოო შემადგენლობის დასახელებამდე ორიოდე დღელაა და მარბერიც ყველანაირად ცდილობს, თავისი კარგი თამაშით საყოველთაო ყურადღება მიიქციოს. მან „ვანკუვერთან" თავის ოთხწლიან კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, 42 ქულა შეაგროვა, აქედან ბოლო მეოთხედში არც მეტი, არც ნაკლები, 23 მიითვალა. მაგრამ მას და მის გუნდს იმ დღეს გამარჯვება არ ეწერათ. სტუმრებს ყელში დანა იმ შეხვედრაში საუკეთესო „ლათვმა", მაიკლ დიკერსონმა გამოუსვა, როცა საფინალო სირენასთან ერთად ჩააგდო თავისი გუნდის გამარჯვების მომტანი ბურთი.

ორი დასავლელი აუტსაიდერი დიდხანს ეჭიდავა ერთმანეთს ჰიუსტონში. აქ მოულოდნელად იმარჯვა დასავლეთის უსუსტესმა გუნდმა „გოლდენ სტეიტმა". წლევანდელ ახალბედებს შორის უდავოდ საუკეთესო სტივ ფრენსისის წყალობით „ჰიუსტონი" ბოლო წუთებამდე წინ იყო. ფრენსისი მართლაც სასწაულებს ახდენდა და თავისი პირველი სამმაგი დუბლიც გააკეთა. ამასთან მისი 17 მოხსნა და 14 პასი სეზონის (მისთვის აგრეთვე კარიერის) რეკორდებიცაა. თუმცა მასპინძლები თავდაჯერებულობამ და მუკი ბლეილოკმა დაღუპეს, „გოლდენ სტეიტმა" ბოლო წუთებში იოლად დაფარა ოთხქულიანი დეფიციტი, მისმა გამთამაშებელმა კი გამოცდილმა ბლეილოკმა მატჩის დამთავრებამდე 38 წამით ადრე უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო და 115:110 გახადა. ხოლო როცა სულ 12 წამი რჩებოდა, მან ოცი სანტიმეტრით მაღალ მეტ ბალარდის სამქულიანს დააფარა, რითაც ტეხასელებს წარმატების თეორიული შანსებიც მოუსპო.

აღმოსავლურმა დარბაზებმა კი სულ ორ მატჩს უმასპინძლეს და ორგანვე კმაყოფილი დარჩა მასპინძელთა გულშემატკივარი. „კლივლენდმა" იოლად მოუგო კერკეტ „ორლანდოს". ცოტა გაუჭირდა „შარლოტს" „დეტროიტთან", თუმცა ბოლოს გატეხა მეტოქე და 15 ქულა აართვა. ორი თამაშის გაცდენის შემდეგ „დეტროიტს" მოუბრუნდა გრანტ ჰილი. მარბერივით „ოლ სტარზე" ოცნებობს ჰილის თანაგუნდელი ჯერი სტეკჰაუზიც და თავის მეხუთე და საუკეთესო სეზონს ატარებს. სწორედ ამ ორი კაცის იმედად ეწვია „პისტონზი" შარლოტს და იქ მხოლოდ გამარჯვება დაისახა მიზნად. „შარლოტი" სახლში იშვიათად აგებს და ამ სეზონში მისი შინაური მარცხები სულ ცალი ხელის თითებზე ჩამოითვლება. „კრაზანები" ამჯერადაც მედგრად დახვდნენ მომხდურებს და შინ უკმაყოფილონი გაუშვეს. მასპინძლებში განსაკუთრებით გამოირჩა გამთამაშებელი დეივიდ ვესლი. რომელმაც გამოიგლოვა ორიოდე კვირის წინ ავტოკატასტროფაში დაღუპული შარლოტელი და მისი უახლოესი მეგობარი ბობი ფილზი. ფილზის სიკვდილის შემდეგ ვესლის თამაშმა დაკარგა ძველი მომხიბლაობა. იგი იშვიათად ურტყავდა ფარს და ძირითადად სხვათა ასისტენტობით კმაყოფილდებოდა. ძნელი სათქმელია, იქონია თუ არა ამან გავლენა ვესლის თამაშზე — „დეტროიტთან" მატჩს ფილზის სიკვდილის შემდეგ პირველად დაესწრო გარდაცვლილი კალათბურთელის მეუღლე [illegible]. ვესლიმ შეტევაში თავი გამოიჩინა და მეგობრის სიკვდილის შემდეგ საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

ირაკლი ფირაშვილი

# სარბიელი


## სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

29 იანვარი

039 მანჩესტერი-მიდლსბრო 1,2 5,0 9,0

040 მანჩესტერი-მიდლსბრო

0:1 1,7 3,2 3,2

ინგლისი. I დივიზიონი. 29-ე ტური

29 იანვარი

041 ბირმინგემი-სტოკპორტი 1,9 2,9 3,6

042 კრ. პალასი-ჰადერსფილდი 2,5 2,9 2,5

043 გრიმსბი-ქრიუ 1,8 2,9 4,2

044 იფსვიჩი-შეფილდი 1,4 3,5 7,0

045 იფსვიჩი-შეფილდი

0:1 2,0 3,2 2,3

046 პორტსმუთი-ბარნსლი 3,2 2,9 2,1

047 ქუინზ პარკი-ნოტინგემი 1,6 3,0 5,6

048 უოლსოლი-ვულვერჰემპტონი 2,8 2,9 2,3

049 ვესტ ბრომვიჩი-სუინდონი 1,5 3,4 5,6

ინგლისი. II დივიზიონი. 29-ე ტური

29 იანვარი

050 ბლეკპული-ბრენტფორდი 2,5 2,9 2,5

051 ბორნმუთი-სკანთორპი 1,6 3,2 5,0

052 როვერსი-რექსემი 1,3 4,0 7,5

053 როვერსი-რექსემი

0:1 1,9 3,2 2,6

054 ბერი-ბრისტოლი 2,1 2,8 3,3

055 ჩესტერფილდი-მილუოლი 3,5 3,0 1,9

056 ოლდემი-ოქსფორდი 1,7 3,0 4,7

057 რედინგი-კოლჩესტერი 2,1 2,9 3,2

058 სტოკი-ბარნლი 1,9 2,9 3,6

30 იანვარი

059 კარდიფი-ლუტონი (16[15]) 2,4 2,9 2,6

ინგლისი. III დივიზიონი. 29-ე ტური

29 იანვარი

060 ბრაიტონი-დარლინგტონი 2,6 2,9 2,4

061 კარლაისლი-მენსფილდი 2,4 2,9 2,6

062 ჩელტენემი-ჰარტლპული 2,3 2,9 2,8

063 ჩესტერი-ტორკი 3,2 2,9 2,1

064 ექსეტერი-როჩდეილი 2,6 2,9 2,4

065 ჰალიფაქსი-ლეიტონი 1,5 3,5 5,3

066 ლინკოლნი-ნორთჰემპტონი 2,4 2,9 2,6

067 მაკლსფილდი-ჰალი 1,7 3,1 4,4

068 პიტერბრო-პლიმუთი 1,8 2,9 4,2

069 შრიუსბერი-როტერჰემი 3,2 2,9 2,1

070 საუთენდი-სუონსი 2,8 2,9 2,3

071 იორკი-ბარნეტი 2,8 2,9 2,3

იტალია. სერია "ა". მე-19 ტური

29 იანვარი

072 ლეჩე-ვერონა 1,6 3,0 5,6

073 პიაჩენცა-უდინეზე 2,5 2,9 2,5

30 იანვარი

074 ბოლონია-პარმა 2,5 2,9 2,5

075 ფიორენტინა-რეჯინა 1,35 3,8 7,0

076 ფიორენტინა-რეჯინა

0:1 2,0 3,0 2,4

077 იუვენტუსი-კალიარი 1,25 4,4 8,0

078 იუვენტუსი-კალიარი

0:1 1,9 3,0 2,8

079 ლაციო-ბარი 1,3 4,0 7,5

080 ლაციო-ბარი

0:1 1,9 3,2 2,6

081 პერუჯა-მილანი 3,5 2,8 2,0

082 ვენეცია-ტორინო 2,1 2,8 3,3

083 ინტერი-რომა 1,9 2,8 3,8

იტალია. სერია "ბ". მე-21 ტური

30 იანვარი

085 ალძანო-ტერნანა 1,9 2,5 4,4

086 ჩეზენა-სალერნიტანა 2,6 2,5 2,8

087 კიევო-პესკარა 2,0 2,5 4,0

088 ემპოლი-სავოია 1,6 2,7 7,0

089 ჯენოა-ვიჩენცა 2,6 2,5 2,8

090 ნაპოლი-მონცა 1,5 3,0 7,5

091 პისტოიეზე-ფერმანა 1,7 2,6 6,0

092 ტრევიზო-ატალანტა 2,7 2,5 2,7

31 იანვარი

093 კოზენცა-რავენა 2,0 2,5 4,0

იტალია. სერია "ც1/ა". მე-21 ტური

30 იანვარი

094 კარარეზე-კრემონეზე (17[30]) 1,8 2,6 5,0

095 ჩიტადელა-მოდენა (17[30]) 1,5 3,1 7,0

096 კომო-სიენა (17[30]) 2,7 2,5 2,7

097 ლუმეცანე-ბრეშელო (17[30]) 1,9 2,6 4,2

098 ლივორნო-პიზა (17[30]) 2,7 2,5 2,7

099 მონტევარკი-ალბინოლეფე (17[30]) 2,5 2,5 2,9

100 რეჯანა-სანდონა (17[30]) 1,6 2,8 6,5

101 სპალ-ლეკო (17[30]) 1,7 2,6 6,0

102 ვარეზე-ლუკეზე (17[30]) 2,4 2,5 3,0

იტალია. სერია "ც1/ბ". მე-21 ტური

30 იანვარი

103 ანკონა-ბენევენტო (17[30]) 1,4 3,3 8,0

104 ანკონა-ბენევენტო (17[30])

0:1 2,1 3,0 2,3

105 აველინო-ასკოლი (17[30]) 2,4 2,5 3,0

106 კატანია-მარსალა (17[30]) 1,6 2,7 7,0

107 კროტონე-ჯულიანოვა (17[30]) 1,5 3,0 7,5

108 დი სანგრო-არეცო (17[30]) 2,6 2,5 2,8

109 გუალდო-ფ.ანდრია (17[30]) 1,7 2,6 6,0

110 პალერმო-ლოდიჯანი (17[30]) 1,5 3,0 7,5

111 სტაბია-ატლეტიკო (17[30]) 1,6 2,8 6,5

112 ვიტერბეზე-ნოჩერინა (17[30]) 1,6 2,7 7,0

ესპანეთი. I დივიზიონი. 22-ე ტური

29 იანვარი

113 სელტა-ატლეტიკო 1,7 3,0 4,7

30 იანვარი

114 სოსიედადი-რაიო ვალეკანო 2,0 2,9 3,4

115 სარაგოსა-სევილია 1,4 3,5 7,0

116 სარაგოსა-სევილია

0:1 2,0 3,2 2,3

117 რასინგი-ოვიედო 1,9 [illegible] [illegible]

118 ესპანიოლი-ბარსელონა 4,2 2,9 1,8

119 ალავესი-ვალენსია 2,3 2,8 2,9

120 ბეტისი-მალაგა 1,8 2,9 4,2

121 ვალიადოლიდი-დეპორტივო 2,8 2,9 2,3

122 ნუმანსია-მალიორკა 2,3 2,8 2,9

123 რეალი-ბილბაო 1,6 3,0 5,6

ესპანეთი. II დივიზიონი. 24-ე ტური

29 იანვარი

124 უელვა-ლას პალმასი 3,2 2,9 2,1

125 მერიდა-კომპოსტელა 2,0 2,9 3,4

126 ვილიარეალი-ალბაჩეტე 1,6 3,0 5,6

30 იანვარი

127 ატლეტიკო "ბ"-ოსასუნა (1500) 2,1 2,9 3,2

128 ლეგანესი-ესტრემადურა 2,8 2,9 2,3

129 ეიბარი-ხეტაფე 1,9 2,8 3,8

130 ელჩე-ბადახოსი 2,5 2,9 2,5

131 ლევანტე-სალამანკა 2,4 2,9 2,6

132 სპორტინგი-ლოგრონიესი 1,5 3,4 5,6

133 ტოლედო-კორდობა 2,4 2,9 2,6

134 ტენერიფე-ლეიდა 1,8 2,9 4,2

პორტუგალია. მე-19 ტური

29 იანვარი

135 ფარენსე-გიმარაეში 3,0 2,9 2,2

136 ბოავიშტა-კამპომაიორენსე 1,35 3,8 7,0

137 ბოავიშტა-კამპომაიორენსე

0:1 2,0 3,0 2,4

30 იანვარი

138 ამადორა-ლეირია 1,6 3,0 5,6

139 ჟილ ვისენტე-ბელენენსეში 2,0 2,8 3,5

140 სანტა კლარა-მარიტიმუ 2,5 2,9 2,5

141 რიუ ავე-ბრაგა 2,1 2,9 3,2

142 ალვერკა-პორტუ 5,0 2,9 1,7

143 სალგეირუში-ბენფიკა 4,2 2,9 1,8

31 იანვარი

144 სეტუბალი-სპორტინგი 5,6 3,0 1,6

ჰოლანდია. გადადებული მატჩები

29 იანვარი

145 გრააფსხაპი-კამბური 1,7 3,0 4,7

146 სპარტა-ჰერენვენი 3,6 2,9 1,9

ბელგია. მე-21 ტური

29 იანვარი

148 შარლერუა-გენტი 2,8 2,9 2,3

149 გეელი-ლოკერენი 2,5 2,9 2,5

150 სენტ ტრუიდენი-ბეერსხოტი 2,8 2,9 2,3

151 ლომელი-ანდერლეხტი 5,6 3,4 1,5

152 ბევერენი-მეხელენი 2,1 2,9 3,2

30 იანვარი

153 ბრიუგე-აალსტი 1,2 5,0 9,0

154 ბრიუგე-აალსტი 0:1 1,7 3,2

3,2

155 ლიერსი-ჰარელბეკე 1,3 4,0 7,5

156 ლიერსი-ჰარელბეკე 0:1 1,9 3,2

2,6

157 მუსკრონი-ვესტერლო 1,8 2,9 4,2

საბერძნეთი. მე-17 ტური

30 იანვარი

158 კალამატა-აეკ (17[00]) 5,3 3,1 1,6

159 ოფი-არისი (17[00]) 1,6 3,0 5,6

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 160 | პაოკ-ტრიკალა (17$^{00}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 161 | პაოკ-ტრიკალა (17$^{00}$) | | | |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 162 | ქსანთი-იონიკოსი (17$^{00}$) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 163 | პანათინაიკოსი-კავალა (17$^{00}$) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 164 | პანათინაიკოსი-კავალა (17$^{00}$) | | | |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 165 | პანაჰაიკი-ოლიმპიაკოსი (17$^{00}$) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 166 | ეთნიკოსი-აპოლონი (17$^{00}$) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 167 | პროდეფტიკი-პანილიაკოსი (17$^{00}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 168 | ირაკლისი-პანიონისი (17$^{00}$) | 1,7 | 3,0 | 4,7 |

თურქეთი. მე-18 ტური

29 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 170 | ქოჯაელი-გიოზთეფე (15$^{30}$) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 171 | ისთანბული-ანთალია (15$^{30}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 172 | ანკარაგიუჯუ-სამსუნი (15$^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 173 | ბეშიქთაში-გენჩლერბირლიგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 174 | ბეშიქთაში-გენჩლერ. | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

30 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 175 | ალთაი-ბურსა (15$^{30}$) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 176 | დენიზლი-ერზურუმი (15$^{30}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 177 | ტრაბზონი-ადანა (15$^{30}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 178 | გაზიანთეფი-გალათასარაი | 3,8 | 2,8 | 1,9 |

ინგლისი. თასის 1/8 ფინალი

29 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 179 | კემბრიჯი-ბოლტონი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 180 | ქოვენთრი-ჩარლტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 181 | ევერტონი-პრესტონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 182 | ფულემი-ტრანმერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 183 | ჯილინგემი-უენსდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

30 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 184 | ასტონ ვილა-ლიდსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 185 | ჩელსი-ლესტერი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

31 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 186 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

საფრანგეთი. ლიგის თასის 1/8 ფინალი

29 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 187 | მონაკო-სტრასბური | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 188 | ნანსი-სოშო | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 189 | სენტ ეტიენი-რედ სტარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 190 | ბიუვო-სედანი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 191 | შატორუ-პსჟ | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 192 | გენიონი-ტულუზი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 193 | ლიონი-ბორდო | 1,9 | 2,9 | 3,6 |

30 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 194 | ბასტია-მონპელიე | 1,5 | 3,4 | 5,6 |

ჰოლანდია. თასის 1/16 ფინალი

29 ი. ვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 196 | ფეიენოორდი-ალკმაა (17$^{30}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 197 | პსვ-ვიტესი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

შოტლანდია. თასის მე-3 ეტაპი

29 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 198 | სენტ მირენი-აბერდინი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 199 | ჰიბერნიანი-დანფერმლაინი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

30 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 200 | სენტ ჯონსტონი-რეინჯერსი | 7,0 | 3,5 | 1,4 |

აფრიკის თასი

29 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 508 | ტუნისი-მაროკო | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 509 | ზამბია-ბურკინა-ფასო | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 510 | გაბონი-ალჟირი | 4,7 | 3,3 | 1,6 |

31 იანვარი

*511 განა-კოტ დივუარი

*512 კამერუნი-ტოგო

***კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით**

კალათბურთი

29 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 847 | ვაშინგტონი-კლივლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 848 | ორლანდო-ატლანტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 849 | შარლოტი-ფინიქსი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 850 | დეტროიტი-ფილადელფია | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 851 | ინდიანა-მაიამი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 852 | ჩიკაგო-ტორონტო | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 853 | მინესოტა-იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 854 | დალასი-დენვერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 855 | კლიპერსი-ნიუ ჯერსი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 856 | პორტლენდი-სან ანტონიო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 857 | სიეტლი-მილუოკი | 1,3 | 12,0 | 2,8 |

30 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 858 | ნიუ იორკი-საკრამენტო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 859 | ჰიუსტონი-ლეიკერსი | 2,5 | 12,0 | 1,35 |

31 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 860 | ორლანდო-ფინიქსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 861 | მაიამი-დეტროიტი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 862 | მინესოტა-საკრამენტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 863 | დენვერი-ფილადელფია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 864 | ვანკუვერი-მილუოკი | 2,3 | 12,0 | 1,4 |

ჰოკეი

29 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 872 | მონრეალი-ფილადელფია | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 873 | ბოსტონი-ბუფალო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 874 | ტორონტო-ლოს ანჯელესი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 875 | ოტავა-რეინჯერსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 876 | პიტსბურგი-ანაჰაიმი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 877 | ტამპა ბეი-ატლანტა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 878 | ფლორიდა-ედმონტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 879 | დეტროიტი-ნიუ ჯერსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 880 | სენტ ლუისი-კოლორადო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 881 | ნეშვილი-კალგარი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 882 | სან ხოსე-აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |

30 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 883 | ვაშინგტონი-ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 884 | მონრეალი-კაროლინა | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 885 | ვანკუვერი-ჩიკაგო | 1,8 | 4,4 | 2,2 |

31 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 886 | ბოსტონი-ანაჰაიმი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 887 | რეინჯერსი-ნეშვილი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 888 | ატლანტა-პიტსბურგი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 889 | დალასი-ედმონტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 890 | ფინიქსი-დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 891 | ლოს ანჯელესი-აილენდერსი | 1,4 | 4,4 | 3,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, ნაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;

2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;

3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);

4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;

5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;

6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადახაზული ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# დებიუტი ოპოზიციამ მოიგო

სპორტის დეპარტამენტში არანაკლები სიცივე სუფევდა, ვიდრე ჭადრაკის ფედერაციაში. ამიტომ, თუ იმის გამო, რომ პრინციპში სალაპარაკოც ბევრი არაფერი იყო, ჭადრაკის ფედერაციის გამგეობის (იგივე პრეზიდიუმის) გასვლითმა სხდომამ ალმასკომის ამასწინანდელ თავყრილობაზე ბევრად მცირე ხანს გასტანა. გამგეობის წევრები 12 საათზე შეიკრიბნენ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის კახი ასათიანის ოფისში და ორიოდ საათში საკმაოდ აჩქარებით დატოვეს შენობა. გარეთ, თუმცა ულონო მზე ანათებდა, შედარებით თბილოდა და სწორედ აქ დავუხვდით რიგგარეშე ყრილობის ბედზე მოთათბირეებს. გამგეობის სხდომის საბოლოო შედეგი გუშინვე გამცნეთ, ახლა კი გავიმეორებთ: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა ორი თვის შემდეგ, ამა წლის 5 აპრილს შედგება. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ზურაბ აზმაიფარაშვილის თავდაპირველი ვარიანტი 1 აპრილი ყოფილა, მაგრამ ოპოზიციას, შეიძლება იმიტომაც, რომ ქართულ ჭადრაკში არსებული დღევანდელი მდგომარეობა სულაც არაა სასაცილო, ყრილობის ოთხიოდე დღით გადატანა მოუთხოვია და თავისი გაუტანია. თარიღის ოთხი დღით გადაწევის უფრო მყარ არგუმენტად ის გვესახება, რომ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი ყრილობამდე მინიმუმ ორი თვით ადრე უნდა იქნეს წარდგენილი და 1 აპრილამდე ორ თვეზე მეტი აღარც დარჩა.

ახლა მკითხველი უეჭველად იკითხავს, აზმაიფარაშვილი ალმასკომის სხდომაზე რომ ყრილობის თარიღად ნოემბერს მოითხოვდა, იმ ვარიანტზე ხელი რად აიღოო? როგორც თავად პრეზიდენტმა გვითხრა, ჯერ კიდევ ალმასკომის სხდომაზე, როცა იხილა, რომ ოპოზიციის მხარდამჭერნი უმრავლესობას შეადგენდნენ, მიიღო გადაწყვეტილება, პროცედურების ამოწურვისთანავე განეცხადებინა, რომ თავადაც ეთანხმება მათ წინადადებას (თუმცა ამ წინადადებამ ხმების საჭირო, ორი მესამედი ვერ მიიღო), მაგრამ მაშინ პროცედურა ბოლომდე ვერ მივიდა, ოპოზიციამ სხდომა ადრე დატოვა, ამიტომ პრეზიდენტმა განცხადება პრინციპულად არ გააკეთა. აზმაიფარაშვილმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ფედერაციის წესდება ნონსენსებს შეიცავს და ამით ოპოზიციას მანიპულირების საშუალება ეძლევა. შემდეგ პრეზიდენტმა უფრო მკაცრი ტონი აიღო და მძაფრად გააკრიტიკა მაია ჩიბურდანიძე. მას შემდეგ, რაც ჩვენი ექსჩემპიონი ალმასკომის ბოლო სხდომაზე ოპოზიციის რიგებში აღმოჩნდა, ურთიერთობა მასსა და აზმაიფარაშვილს შორის სერიოზულად გამწვავდა. პრეზიდენტის თქმით, ჩიბურდანიძე ერთი მათგანია, ვისაც მარტო თავისი მატერიალური კეთილდღეობა აინტერესებს (მკითხველმა შესაძლოა იცის, რომ ეს მარტო აზმაიფარაშვილს არ უთქვამს. ამაზე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემაც თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში). პრეზიდენტს არც ოპოზიციის დანარჩენი წევრები უქია მაინცდამაინც და ბოლოს პათეტიკური დასკვნაც გააკეთა, როცა ერთი ქართული ლიტერატურული შედევრის მიბაძვით თავისი თავი ყვავებდასეულ დაჭრილ ძერას შეადარა; და კიდევ: გადაწყვეტილად ვერაფრით დავადგინეთ, ბოლო ბოლო რა იყო ქართულ ჭადრაკში აღმოცენებული ამ ხანგრძლივი კონფლიქტის საფუძველი — აზმაიფარაშვილის აღებული კურსი, რომელიც, ოპოზიციის თქმით, ქართულ ჭადრაკს უფსკრულისკენ მიათრევს? მაგრამ კონფლიქტი ხომ ჯერ კიდევ მის არჩევამდე დაიწყო? ან იქნებ სუფთა ადამიანურ ურთიერთობებზეა ლაპარაკი, აზმაიფარაშვილს ხომ ზოგიერთები ამასაც უჩივიან. ... ან იქნებ დიდი პოლიტიკა, რომელიც დიდ ჭადრაკში ჩაერთო? ან კიდევ, თუმცა ამაზე, ცხადია, არავინ ლაპარაკობს, ის არცთუ თბილი, მაგრამ მაინც პრეზიდენტის სავარძელი და აქედან გამომდინარე გარკვეული პრივილეგიები, ცოტაოდენი ფულიც ბვეყნის ბიუჯეტიდან...

ფართო საზოგადოებისთვის სრული სიმართლე ალბათ ბოლომდე უცნობი დარჩება.

გამგეობის სხდომის შემდეგ კომენტარი გააკეთა ნანა ალექსანდრიამაც, რომელმაც შენიშნა, რომ გამგეობას ჯერ კიდევ ალმასკომის სხდომამდე შეეძლო რიგგარეშე ყრილობის დანიშვნა, რომ არა პრეზიდენტის სიჯიუტე. ქალბატონ ნანას თქმით, გამგეობის ეს უფლება დაფიქსირებულია ცვლილებაში, რომელიც ფედერაციის წესდებაში გასული წლის 23 თებერვალს შეიტანეს. „რაც შეეხება ალმასკომს, იგი მართლაც მოძველდა და უფუნქციოდ დარჩა, ამიტომ უნდა გაუქმდეს. იარსებებს მხოლოდ პრეზიდიუმი და ყრილობა“ — განაცხადა ალექსანდრიამ, ხოლო კითხვაზე, ჰყავს თუ არა ოპოზიციას პრეზიდენტობის კანდიდატი, უარყოფითად გვიპასუხა. როგორც გავარკვიეთ, კანდიდატების წარდგენის საბოლოო ვადა 5 თებერვალია და ალბათ სულ მალე ოპოზიციის რჩეულის ვინაობასაც დავადგენთ.

# გარი გავარდა



გარი კასპაროვი

გავარდნას სპორტში ორგვარი გაგება აქვს: ცუდი, როცა, ვთქვათ, ჯგუფიდან გავარდნაზეა ლაპარაკი და კარგი, როცა მავანი ველომრბოლი ან მოჭადრაკე წინ გაიჭრება და დანარჩენებს უკან მოიტოვებს. მოჭადრაკეში გარი კასპაროვი ვიგულისხმეთ, რომელმაც ხსენებული ქმედება ჰოლანდიაში, ვიიკ-აან-ზეეს მე-18 კატეგორიის სუპერტურნირის IX და X ტურებში ჩაიდინა. ცოტა არ იყოს, მოსაბეზრებელი შეიქნა ბოლო ხანების ელიტარულ ტურნირებზე საუბარი; მთელი წელია, ყოველი მათგანი ტყუპისცალივით მსგავსი სცენარებით მიმდინარეობს: თავიდან თითქოს გაჩაღდება ბრძოლა, ნახევარ ქულასაც ოქროს ფასი ადევს, შემდეგ სადღაც ეკვატორზე, კასპაროვი ერთს ჩაისუნთქავს და დაფეთებულივით წინ რომ გავარდება, ვიღას ახსოვს მერე პირველობა, დანარჩენები იმის ცდაშიღა არიან, როგორმე საპრიზო ადგილს მაინც გამოჰკრან ხელი და თუ ჩემპიონს ორ ქულაზე ნაკლებით ჩამორჩებიან, ეს მთლად უკეთესი!

მოკლედ, ვიიკ-აან-ზეეშიც კასპაროვი აკეთებს იმას, რასაც წინა ვიიკ-აან-ზეეში, ლინარესში, დორტმუნდსა თუ სარაევოში აკეთებდა, ანუ ცა ქუდად მიაჩნია და დედამიწა — ქალამნად. ამიტომ ერთი შეხედვით მართლაც გაუგებარია, რად შეჭმუხნულა ფოტოზე იმგვარად, თითქოს მჟავე კიტრს სჭამდეს. დაღრეჯით ყოფნის საბაბს ვერ იძლევა ის ერთი ამოსუნთქვით მოგებული პარტია, რომელიც ჩემპიონმა IX ტურში ტიმანთან ითამაშა. ასაკში შესული ექსპრეტენდენტი სამშობლოში, დიახაც, ყოჩაღად თამაშობს და ახალგაზრდებს ტოლს არაფერში უდებს, თუმცა კასპაროვთან საკმაოდ მალე, 36-ე სვლაზე ასწია ხელები. მეტოქეებმა შოტლანდიური პარტია გაითამაშეს და მე-14 სვლაზე კასპაროვმა თავისივე აღმოჩენილი თეორიული სიახლე გამოიყენა, რამაც ინიციატივა მოაპოვებინა. პარტიის ბოლოსთვის ჭადრაკში კარგად ჩაუხედავი კაცი იფიქრებდა, ეგ არის, გავიდა ლაზიერში ტიმანის პაიკიო, მაგრამ ჩემპიონის უეჭველად ადრევე ჩაფიქრებულმა ტაქტიკურმა დარტყმამ ყველაფერს წერტილი დაუსვა. ბევრად მეტი დრო და 65 სვლა დახარჯა კასპაროვმა მომდევნო ტურში, ბოსნიელი პრედრაგ ნიკოლიჩის დასამარცხებლად, სადაც იგი შავებით თამაშობდა. პარტია საყურებლად და გასარჩევად საინტერესო გამოდგა, რადგან მოჭადრაკეებმა პოზიციურ ბრძოლას ტაქტიკური არჩიეს. გაცვლათა სერიის შემდეგ უპირატესობა კასპაროვს დარჩა და იგი ენდშპილშიც ზედმეტი პაიკით გადავიდა. ამ პაიკთან ბრძოლამ თვით თეთრი მეფის ჩარევა მოითხოვა და იგი საკუთარი ფეხით გაემართა ლაზიერის ფრთისკენ. როცა თეთრებმა აბეზარი შავი პაიკი მოსპეს, დაფაზე მატერიალური წონასწორობა აღდგა, ის კი არა, ნიკოლიჩს კუ ჰყავდა კასპაროვის მხედრის პირისპირ, რაც საერთოდ მცირე უპირატესობის ნიშანია, მაგრამ რად გინდა: კასპაროვის მეფე თავისივე სახელობის ფრთაზე უკვე ერთპიროვნულ ბატონად ქცეულიყო და თეთრი პაიკების გაჟლეტას ეშურებოდა. იზამდა კიდეც, მაგრამ ნიკოლიჩი ზედმეტ სისხლისღვრას მოერიდა და დანებდა. ზედიზედ ორი გამარჯვებით კასპაროვმა მყარად იპყრო ლიდერის სავარძელი. დანარჩენი ფავორიტები თვლემა-თვლემით ანუ ყაიმებით მოძრაობენ და სულ უფრო ზრდიან ექსბაქოელისგან თავიანთ ჩამორჩენას. თუ რაიმე დაუჯერებელი არ მოხდა, კასპაროვმა ეს ტურნირიც უნდა მოიგოს, ფინიშამდე ხომ მხოლოდ 3 ტური დარჩა.

**დავით გულუა**

**სატურნირო ვითარება**

| | |
|---|---|
| 1 კასპაროვი | 7,5 |
| 2-3 კრამნიკი, ლეკო | 6,5 |
| 4-5 ანანდი, პიკეტი | 6,0 |
| 6-7 მოროზევიჩი, ადამსი | 5,5 |
| 8 ტიმანი | 5,0 |
| 9 ნიკოლიჩი | 4,5 |
| 10-11 შორტი, ლპუტიანი | 4,0 |
| 12 ი. პოლგარი | 3,5 |
| 13 კორჩნოი | 3,0 |
| 14 ვან ველი | 2,5 |






REUTERS ფოტო

რუსეთი — შვედეთი. რუსი ალექსანდრ ტუჩკინი შვედ მათიას ფრანცენისთვის ბურთის „მოპარვას“ ცდილობს

# შემაგინებ? გაგიტან!




ხორვატიაში, ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატზე დასრულდა ჯგუფური ტურნირი და ნახევარფინალისტებიც გაირკვნენ. დღეს ზაგრებში საფრანგეთი რუსეთს დაუპირისპირდება, შვედეთი კი ესპანეთს.

ბოლო ტურში მასპინძელთა ნაკრებმა ვერ შეძლო ფრანგების ძლევა და ახლა მხოლოდ მეხუთე ადგილისთვისღა შეებრძოლება მეზობელ სლოვენიას. არადა ხორვატებს რომ მოეგოთ, ესპანეთს ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით აჯობებდნენ და ნახევარფინალშიც გავიდოდნენ.

საფრანგეთი-ხორვატიის მატჩის ფრანგ ხელბურთელებზე საშინელი ზეწოლა უძღოდა წინ. ფრანგებს ესპანელებთან შეთქმულებაში სდებდნენ ბრალს, თითქოს მოგებაზე თამაში დანაშაული იყო. მატჩის წინა ღამეს კი ისინი შეურაცხმყოფელი შეძახილებით რამდენჯერმე გაალვიძეს და პოლიცია რომ არა, შეიძლება საერთოდ არ მიეცათ ძილის საშუალება ხორვატ გულშემატკივრებს.

ახლა, დროა მატჩზეც ვთქვათ, შეხვედრის დასაწყისში მასპინძელი ხელბურთელები თავიანთი ქომაგებივით აგრესიულები იყვნენ — ჯერ რიჩარდსონს ჩაარტყეს მუხლი, მერე კი დინარს კინაღამ ნეკნები ჩაუმტვრიეს. რომ იტყვიან წამალმა გასჭრა და ხორვატია 2:0 დაწინაურდა. თუმცა ფრანგები ცემა-ტყეპამ ვერ შეაშინა და მე-16 წუთისთვის ანგარიში თანაბარი იყო — 4:4. 22-ე წუთზე კი მათმა კაპიტანმა რიჩარდსონმა ზედიზედ ორი გოლი გაიტანა და თავისიანები პირველად დააწინაურა — 8:7.

საფრანგეთი კარგად უძალიანდებოდა მეტოქესა და მის გადარეულ ქომაგებს, რომლებიც უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ დანიელ კონსტანტინის შეგირდებს. გამორჩეულად ტომით სერბ გოლიჩს „ამკობდნენ“. თუმცა მან რკინის ნებისყოფა გამოავლინა და მთელი მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა. მისი სროლის შემდეგ ფრანგებმა ორბურთიან უპირატესობას მიაღწიეს — 12:10. ხორვატებმა ერთი ბურთი მალევე გაქვითეს და შესვენებამდე გათანაბრებაც შეეძლოთ, მაგრამ სარაჩევიჩმა მარტინის 7-მეტრიანი საჯარიმო ვერ გაუტანა.

მეორე ტაიმიც პირველივით [illegible] ბული გამოდგა. მასპინძლებმა [illegible] ფრით შეძლეს მეტოქის ჯობნა. [illegible] 53-ე წუთისთვის ისინი ისევ ორ [illegible] აგებდნენ და ფრესაც გაჭირვებით [illegible] აღწიეს.

„დაუჯერებელია, ისე კარგად [illegible] მაშობთ. ასე თუ გავაგრძელეთ... ახლა რუსულ დათვს უნდა ვძლიოთ. ეს საკმაოდ ძნელი იქნება, რადგან, თუ არ ვცდები, რუსეთი ერთადერთი გუნდია, ვისთვისაც ოფიციალურ ტურნირებში არასოდეს მოგვიგია.“ — თქვა ფრანგთა მთავარმა მწვრთნელმა დანიელ კონსტანტინიმ.

ხორვატთა მოთამაშე სლავკო გოზულამ კი აღიარა, რომ მეტოქემ მათ აშკარად აჯობა და ფრე მშვენიერი [illegible] დეგია თამაშიდან გამომდინარე.

ამ მატჩამდე ცოტა ხნით ადრე კი ესპანეთმა გერმანიას ძლივს მოუგო და შვედეთის ხახაში ჩავარდა. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებმა ბოლო ტურის შეხვედრაში რუსებს საკმაოდ იოლად აჯობეს, მაგრამ სლავთა ერთ-ერთი საუკეთესო ხელბურთელი იგორ ლავროვი დაიქადნა, რევანშს ფინალში ავიღებთო. თუმცა დანარჩენი სამი ნახევარფინალისტი გუნდები ამ დაპირების ასრულების სასტიკი წინააღმდეგნი იქნებიან.

**გაიოზ თალაკვაძე**

**დარჩენილი მატჩების განრიგი**

29 იანვარი

ნახევარფინალები

**საფრანგეთი — რუსეთი**

**შვედეთი — ესპანეთი**

მატჩი მე-5 ადგილისთვის

**ხორვატია — სლოვენია**

მე-7 ადგილისთვის

**ნორვეგია — დანია**

მე-9 ადგილისთვის

**გერმანია — პორტუგალია**

მე-11 ადგილისთვის

**უკრაინა — ისლანდია**

30 იანვარი

მე-3 ადგილისთვის

ფინალი

**ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი**

A ჯგუფი

**ნორვეგია 19:16 უკრაინა**

**ესპანეთი 27:25 გერმანია**

**საფრანგეთი 26:26 ხორვატია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 127:110 | 9 |
| ესპანეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 128:120 | 8 |
| ხორვატია | 5 | 3 | 1 | 1 | 122:114 | 7 |
| ნორვეგია | 5 | 1 | 1 | 3 | 106:114 | 3 |
| გერმანია | 5 | 0 | 2 | 3 | 110:119 | 2 |
| უკრაინა | 5 | 0 | 1 | 4 | 104:120 | 1 |

B ჯგუფი

**პორტუგალია 26:28 დანია**

**რუსეთი 25:28 შვედეთი**

**სლოვენია 27:26 ისლანდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 143:115 | 10 |
| რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 128:120 | 8 |
| სლოვენია | 5 | 2 | 0 | 3 | 129:131 | 4 |
| დანია | 5 | 2 | 0 | 3 | 126:134 | 4 |
| პორტუგალია | 5 | 2 | 0 | 3 | 123:133 | 4 |
| ისლანდია | 5 | 0 | 0 | 5 | 121:137 | 0 |

# ჭიდაობას რა უნდა? ფულის გადახდა უნდა!

ჭიდაობაში რატომღაც ასეა — ბერძენ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ტურნირები უფრო არე იმართება, ვიდრე „თავისუფლებისა“. ასეა ეს ევროპის ჩემპიონატზეც, მსოფლიოზეც და სალიცენზიო ტურნირებზეც. „ბერძენ-რომაელებმა“ სეზონის პირველი სალიცენზიო ტურნირი გასულ შაბათ-კვირას ჩაატარეს რომში და ახლა „თავისუფლების“ ჯერი დადგა. ისინი დღეს და ხვალ მინსკში იჭიდავებენ.

საქართველოს ნაკრები ბელარუსში გუშინწინ აფრინდა. მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ გოჩა კოკიტაძე (54), ოთარ თუშიშვილი (58), დავით პოლოსიანი (63) და ალექსანდრე მოდებაძე (მძიმე) იახლა თან, რადგან მეტის საყვანი ფული არ ჰქონდა. მათ საკუთარი ხარჯით დაემატნენ დამაზ გეგეშიძე (85) და რევაზ მინდორაშვილი (76). გახსენებთ, რომ ლიცენზიები უკვე მოიპოვეს ემზარ ბედინეიშვილმა (69) და ელდარ კურტანიძემ (97). ამიტომ ისინი ამ რანგის ტურნირებში ვერ იჭიდავებენ.

ნაკრები მინსკში კი წავიდა, მაგრამ შეიძლება ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (FILA) ტურნირზე არ დაუშვას. საქმე ისა, რომ ჩვენს ფედერაციას არ გადაუხდია FILA-ში შარშანდელი საწევრო გადასახადი — 2800 შვეიცარიული ფრანკი. თურმე ამის გამო „ბერძენ-რომაელებსაც“ შექმნიათ პრობლემები რომში. საბოლოოდ იქ ქართველებისთვის ჭიდაობის უფლება კი მიუციათ, მაგრამ მკაცრადაც გაუფრთხილებიათ, თუ მინსკში ფულს არ ჩამოიტანთ, ჩვენი ეგიდით ჩატარებული ტურნირები უთქვენოდ ჩაივლისო. ეს თანხა ვერც ახლა გამოიძებნა, გუნდი კი მაინც წავიდა და, როგორც ნაკრების მეორე მწვრთნელმა გია გალდავამ გვითხრა, თან საგარანტიო წერილი წაიღო. შინაარსი, ვფიქრობ, ყველასათვის გასაგებია — ცოტაც გვაცალეთ და აუცილებლად გადავიხდითო.

გალდავასავე თქმით, ისინი საწევროს ყოველთვის ევროპის ჩემპიონატზე იხდიდნენ და წლეულს ამიტომ არ აჩქარებულან. ფედერაცია იმედოვნებს, რომ FILA გულმოწყალებას გამოიჩენს და ჩვენი ფალავნები მინსკში მაინც იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**



# ეს ორია ქვეყანაში?!

შვიდკაცას მსოფლიოს სერიის რიგით მეოთხე ტურნირს ურუგვაის ქალაქი მარ დე პლატა მასპინძლობდა. თექვსმეტი გუნდი 4 ჯგუფად იყო დაყოფილი. A ჯგუფი: ურუგვაი, გერმანია, კანადა, ფიჯი; B ჯგუფი: აშშ, პერუ, საფრანგეთი, ახალი ზელანდია; C ჯგუფი: სამხრეთ აფრიკა, ესპანეთი, ბრაზილია, არგენტინა; D ჯგუფი: ავსტრალია, ჩილე, პარაგვაი, სამოა.

შეჯიბრის პირველ დღეს არანაირი სენსაცია არ მომხდარა, ყველა ფავორიტმა იოლად გაიკაფა გზა მეოთხედფინალისკენ. ყველაზე ცუდად პერუს ნაკრებმა ითამაშა. მან სამივე შეხვედრა წააგო და თან ერთი ქულაც კი ვერ გააკეთა (0:17 აშშ-სთან, 0:53 ახალ ზელანდიასთან და 0:58 საფრანგეთთან).

ფინალში ყველასთვის „მოულოდნელად“... ფიჯი და ახალი ზელანდია გავიდნენ. ამ გუნდებს ალბათ გადაწყვეტილი აქვთ მსოფლიოს სერიის ყველა ტურნირის ფინალში თვითონ ითამაშონ და სხვებს მხოლოდ მესამე ადგილისთვის ბრძოლა დაუტოვონ. ორივემ ფინალამდე ზედმეტი გართულებების გარეშე მიაღწია. სხვა ტურნირებისგან განსხვავებით ერთი ტრადიცია მაინც დაირღვა — სამხრეთ აფრიკამ ნახევარფინალს ვეღარ მიაღწია და ახალზელანდიელებმა მის ნაცვლად ავსტრალია დაამარცხეს. ფინალში ფიჯიმ იმარჯვა და ახლა მას ახალ ზელანდიის ორ-ორი გამარჯვება დაუგროვდათ.

**მეოთხედფინალი**

ახალი ზელანდია - კანადა

სამხრეთ აფრიკა 5:22 ავსტრალია

არგენტინა 5:10 ფიჯი

ფიჯი 47:7 საფრანგეთი

**ნახევარფინალი**

ახალი ზელანდია 25:6 ავსტრალია

სამოა 12:28 ფიჯი

**ფინალი**

ფიჯი 26:14 ახალი ზელანდია

**მსოფლიოს სერიის საერთო ჩათვლა**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ახალი ზელანდია | 72 ქულა |
| 2. | ფიჯი | 72 |
| 3. | სამოა | 42 |
| 4. | სამხრეთ აფრიკა | 36 |
| 5. | ავსტრალია | 36 |
| 6. | კანადა | 16 |
| 7. | საქართველო | 12 |
| 8. | არგენტინა | 8 |
| 9. | საფრანგეთი | 8 |
| 10. | ტონგა | 6 |





REUTERS მანჩესტერიდან

ჯულიუს ფრენსისი და მაიკ ტაისონი

# ჩახედე მეტოქეს თვალებში

ხუთშაბათს მანჩესტერში ჩაფრინდა მაიკ ტაისონი, რომელიც დღეს ბრიტანეთის ჩემპიონ ჯულიუს ფრენსისს უნდა შეხვდეს იქაურ რინგზე.

ტაისონმა და ფრენსისმა აწონვის რიტუალი ჩაატარეს და როგორც წესია, თვალებშიაც ჩახედეს ერთმანეთს. შემდეგ მაგიდას მიუსხდნენ და ასევე, წესისამებრ, ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

„რინგზე მე ნადირი ვარ“, მოჰყვა ტაისონი. „თავზეხელაღებული ვხდები. აქ საომრად მოვედი. დანდობა არ იქნება.“

ჩანს, ფრენსისი ხვდებოდა, რომ ტაისონი ასეთებს მოჰყვებოდა და ნერვები არ აიშალა — წინ ჯიბის მაგნიტოფონი დაიდო, ყურებში მისი სასმენები გაიკეთა და მუსიკას მიანდო თავი.

მერე ორი სიტყვა მიუგდო ჟურნალისტებს:

„მე ჯულიუს ფრენსისი ვარ და მოგებას ვაპირებ. მისტერ ტაისონი თავის გზაზე წავა“.

ტაისონის ბანაკმა მოჩვენებითი ალმაყალის წამოწყებაც სცადა. მუჰამედ ალის ყაიდაზე გასახურებლად მაიკის ჩანთისმთრეველმა და ძმაკაცმა სტივ „ნიანგო“ ფიჩმა დარბაზში შემოსვლისას ყვირილი ატეხა:

„გზა! გზა! მაიკ ტაისონი მოდის! პატივი ეცით“. მერე ფრენსისისკენ გაიშვირა ხელი. „ნუ გეშინია! ორ დღეში ფეხზე იქნები. ყოფნა, არყოფნა საკითხავი აი ეს არის“.

ფიჩს ქაქანი ფრენსისის მწვრთნელმა მარკ როუმ შეაწყვეტინა. მარკმა ადრევე აუღო ალღო ამ სხვისი იმით მობლატავე ელემენტს.

„ძალიან უზრდელი ხარ“, უთხრა ხმამაღლა, „გუშლამ რაღაცაში ჩასველებულხარ. გნახავ, აქედან გარბოდე.“

კონფლიქტი ტაისონმა აღარ დაუშვა და მშვიდი ლაპარაკით ჩადგა შუაში.

ეს იყო და ეს. დღეს კი ბრძოლაა, რომელიც როგორც ვარაუდობენ, ორ წუთს თუ გასტანს.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



28 იანვარი

**ჩიკაგო — კოლორადო 6:4**

2:1 2:1 2:2

1:0 ლერუ 0'57 (1); 2:0 დაზე 5'22 (19); 2:1 ფორსბერგი 19'34 (10); 2:2 დრური 30'22 (15); 3:2 ამონტე 35'14 (23); 4:2 გილმორი 38'51 (19); 5:2 მაკამონდი 46'54 (10); 5:3 მილერი 49'46 (1); 6:3 ამონტე 54'34 (24); 6:4 ოზოლინში 59'14 (13)

**ნეშვილი — ლოს ანჯელესი 2:6**

1:3 1:2 0:1

0:1 რობიტაილი 1'56 (21); 1:1 ჩელბერგი 12'03 (16); 1:2 რობიტაილი 18'50 (22); 1:3 ტუომაინენი 19'06 (8); 1:4 სმოლინსკი 29'46 (13); 1:5 კორკამი 32'21 (2); 2:5 ჩელბერგი 34'34 (17); 2:6 ლაპერიე 50'49 (15)

**პიტსბურგი — ატლანტა 4:1**

2:0 1:0 1:1

1:0 იაგრი 4'47 (35); 2:0 ბრაუნი 14'00 (6); 3:0 როსჟივალი 28'00 (4); 3:1 სილვესტრი 54'41 (13); 4:1 ლანგი 59'09 (14)

**რეინჯერსი — ტორონტო 3:4**

1:1 1:2 1:1

0:1 პოგლუნდი 13'39 (22); 1:1 ფლერი 14'36 (12); 1:2 ადამსი 23'39 (4); 1:3 ტომასი 24'26 (10); 2:3 მაკლინი 25'57 (10); 3:3 იორკი 41'07 (15); 3:4 ტომასი 59'00 (11)

**კაროლინა — ფინიქსი 2:4**

1:1 1:3 0:0

0:1 ილონენი 6'10 (5); 1:1 ჟელინა 11'09 (7); 1:2 გრინი 24'43 (17); 2:2 კოვალენკო 27'32 (10); 2:3 ალატალო 29'07 (6); 2:4 ტკაჩუკი 31'07 (21).

**ფილადელფია — ფლორიდა 4:2**

3:1 0:0 1:1

0:1 ბურე 1'19 (35); 1:1 განი 7'55 (10); 2:1 ლინდროსი 11'22 (18); 3:1 რეკი 16'25 (19); 3:2 უიტნი 59'34 (21); 4:2 ტერიენი 59'51 (2)

# ერიდეთ ფილადელფიის კოშკებს!



REUTERS პიტსბურგიდან

ატლანტელმა რუმან დ. პიტსბურგელი ტაილერ რაიტი ყინულზე დასცა

ადრე ფილადელფიაში ერთი „კოშკი“ იყო, ახლა მას მეორე მიემატა. ჩრდილოამერიკელ ჟურნალისტებს არაორიგინალურობას ვერ დასწამებ. „მფრინავთა“ რიგებში ახალი მოთამაშის, კეიტ პრიმოს გამოჩენისთანავე მათ ფილადელფია „ორი ტყუპი კოშკის“ გუნდად მონათლეს. ერთი თვით პრიმოა, მეორე კი, აღნაგობითა და თამაშის მანერით მისი მსგავსი ერიკ ლინდროსი.

ამრიგად, ხუთშაბათს შედგა სეზონის ერთ-ერთი მთავარი მეამბოხის კეიტ პრიმოს დებიუტი ფილადელფიაში და მას თამამად შეიძლება ერთობ შთამბეჭდავი ვუწოდოთ.

ისე, კეიტის პირველი გასვლა ყინულზე მასპინძელთათვის არცთუ სასარგებლო გამოდგა. თავის პირველ ცვლაში იგი დიდხანს შეყოვნდა მეტოქეთა ზონაში, რასაც ფლორიდელთა სწრაფი კონტრშეტევა და „რუსული რაკეტის“, პაველ ბურეს გოლი მოჰყვა. ასე სწრაფად გაშვებულმა გოლმა „მფრინავები“ გააბრაზა და პირველი მესამედის დარჩენილ დროში ისეთი ფილადელფია ვიხილეთ, როგორიც „ორი კოშკის“ პატრონ გუნდს ეკადრება.

გამუდმებული ძალისმიერი პრესინგის ქვეშ მოქცეული ფლორიდელები შედრკნენ და სულ რაღაც 9 წუთის განმავლობაში 3 გოლი გაუშვეს. აქედან მესამე ლინდროსმა გაიტანა. ასისტობა ძველმა პარტნიორმა ჯონ ლერმა გაუწია.

ამისთვის კი მაყურებელმა უკვე სხვა ფილადელფია იხილა, ისეთი, რომელსაც ლიდერების შემთხვევაში მეტოქის ცდა შევიწროება შეუძლია. თუმცა ფლორიდელები რომ შარში გაეხვივნენ, ჯერ თავს უნდა დააბრალონ. პირველი პერიოდის მიწურულს ერთბაშად ორ ფილადელფიელი — ადამ ბარტი და ... ჰალი დაშავდნენ. თანაც ორივე შემთხვევაში „პანტერებმა“ იუხეშეს და მსაჯებს ეს გამოეპარათ. დაშავებულებმა გადაწყვიტეს, ფლორიდელებს სამაგიეროდ დაეხაჯათ.

ცხადია, საქმე პრიმომ მოამზადა. ცხრათვიანი ... ენების შემდეგ ფორვარდმა ფორმა ოდნავ კი დაკარგა, მაგრამ ძალ-ღონე არა. რაკილა პრიმომ გოლით ან პასით ვერ გამოიჩინა თავი, გადაწყვიტა, ჩხუბში გამორჩეულიყო და ფლორიდელ ტოდ სიმპსონს ეძგერა. მაგრამ მაყურებლები ყველაზე მეტად მაინც ლინდროსმა გააოცა. ტვინის შერყევის გამო ოთხი თამაშის გამოტოვების შემდეგ ერიკს თითქოს თავი უნდა აერიდებინა ძალისმიერი თამაშისათვის, მაგრამ...

„მფრინავთა“ კაპიტანმა არც ამჯერად უღალატა ჩვეულებას და რამდენიმე მეტოქის ბორტზე მიჭყლეტის შემდეგ, მატჩის მიწურულს სიმპსონსაც დაეჯახა და ადამ ბარტის განაწყენებისთვის გვარიანადაც უთავაზა.

სხვა დროს და სხვა ვითარებაში პიტსბურგის ლიდერი იარომირ იაგრი ალბათ დასვენებას ამჯობინებდა, მაგრამ კონკურენტების წარმატებების გამო უფრო რეს სიტუაციაში აღმოჩენილ „პინგვინებს“ დახმარება სჭირდებათ, რათა კონფერენციაში ის მერვე ადგილი მაინც შეინარჩუნონ, რომელზედაც ამჟამად არიან. იარომირის თქმით, ტრავმა კიდევ აწუხებს, მაგრამ არც ისე, რომ ყინულზე გასვლაში ხელი შეუშალოს. ... ოდა, კაპიტანმაც თანაგუნდელები პირადი მაგალითით გაამხნევა. ჩეხმა ანგარიში გახსნა და 35 გოლით ბურეს გაუტოლდა. მისმა თანაკლუბელებმა კი მეორე მატჩში გაარკვიეს ყველაფერი, ატლანტას შანსი აღარ დაუტოვეს და იაგრიც ბოლო მესამედში ნაკლებად დაიტვირთა.

ფინიქსელებს ისე მობეზრდათ ხამი დღის განმავლობაში როლის სასტუმროში ყურყუტი და ფილმების ცქერა, რომ ერთი სული ჰქონდათ, საქმეში ჩაბმულიყვნენ. გუშინ ამის შესაძლებლობაც მიეცათ. 26 იანვრისთვის დაგეგმილი და დიდთოვლობის გამო ხუთშაბათისთვის გადატანილი მატჩი კაროლინასთან მათ დიდი მონდომებით ჩაატარეს და მიკა ალატალო (1+1) — იუკა ილონენის (1+1) ფინური დუეტის ძალისხმევით მოიგეს კიდეც. ამასობაში კიდევ ერთი მატჩი გადაიდო. ორშაბათს იმავე კაროლინასთან შეხვედრის შემდეგ მონრეალმაც ვერ შეძლო როლიდან გაფრენა და ბოსტონში გამგზავრება.

ზედიზედ 7 მოგების შემდეგ წააფორხილა რეინჯერსმა. ისე, ნიუიორკელები ერთ ქულას მაინც გამოჰკრამდნენ ხელს, მაგრამ... წინა მატჩის ერთ-ერთი გამორჩეული ერიკ ლაკრუა ბოლო წუთებზე უხეშობის გამო გააძევეს და ამ დღეს სტუმართა შორის საუკეთესო სტივ ტომასისა (2 გოლი) და იონას ჰოგლუნდის (1+2) დუეტმა ტორონტოს გამარჯვება მოუტანა.

ოთხი წამყვანი მოთამაშის, მათ შორის ჯო საკიკის გარეშე მოასპარეზე კოლორადოს ერთადერთმა ჩიკაგოელმა ოლსტარელმა, ტონი ამონტემ (2+2) აჯობა, ხოლო ლოსანჯელესელმა ლუკ რობიტაილმა დუბლით ნეშვილი დაამარცხა და თავისი გუნდის რვამატჩიან წარუმატებელ სერიას სტუმრად ბოლო მოუღო.

**სამველ ლარიბიანი**

## ბელგია

XXI ტური

სტანდარდი 5:1 გენკი

## ჰოლანდია

თასის მერვედფინალი

ვალვაიკი 2:0 ეინდჰოვენი (II)

როდა 1:0 აიაქსი

ჰელმონდ სპორტი (II) 1:2 ტილბურგი

ნაიმეგენი 1:0 ექსელსიორი (II)

დორდრეხტი (II) 1:0 რუსენდალი (II)

## იტალია

სერია B

XXI ტური

ბრეშა 0:1 სამპდორია

## თურქეთი

XVIII ტური

ვანი 1:2 ფენერბაჰჩე

## აფრიკის თასი

ნიგერია 0:0 კონგო

ეგვიპტე 1:0 სენეგალი

კამერუნი 3:0 კოტ დივუარი



REUTERS ბერლინიდან

# ტელეკომი მოდის

განთქმულ ველოგუნდ „ტელეკომს“ ამას წინათ 2000 წლის სეზონის პრეზენტაცია გაუმართავს. ბერლინში დიდი ველომხედარი, ტელეკომელთა ლიდერი იან ულრიხიც ყოფილა და გერმანიაში ცნობილ მომღერალ უდო ლინდენბერგთან ერთად გაქიმვია ფოტოგრაფებს.



REUTERS ჰავანიდან

# ესეც აქ ყოფილა

დიეგო მარადონა კვლავ ჰავანის ახლო, „ლას პრადერას“ სანატორიუმში წამლობს თავის ნარკოტიკულ სხეულს და კვლავ ფოტოგრაფებთან აქვს საქმე. მაგრამ ნახეთ ვინ გამოჩნდა მის გვერდით? ესაა გილერმო კოპოლა, დიეგოს მენეჯერი, ძმაკაცი და მესაიდუმლე, ნარკოტიკების შენახვისთვის გასამართლებული კაცი.

# ბილ-კანდიდატი

ცოტაც და ამერიკაში საპრეზიდენტო მარათონი დაიწყება. დემოკრატიულ პარტიაში ასარჩევადაა საქმე. ვინ იქნება მთავარი კანდიდატი? ახლანდელი ვიცე-პრეზიდენტი ელ გორი თუ სენატორი ბილ ბრედლი. ჩვენ ხმას ბრედლის მივცემდით. რათა? იმათა, რომ წარსულში ენბიეის ვარსკვლავი იყო. ახლა კი, ნახეთ როგორ ეთამაშება ნიუ ჰემპშირელ მოწაფე გოგონებს?



REUTERS ნიუ ჰემპ[illegible]იდან



REUTERS კუმასიდან

# განური განდაგანა

წლეულს განა და ნიგერია ერთობლივ მასპინძლობენ აფრიკის ერთა საფეხბურთო თასს. ეს ფოტო განის პატარა ქალაქ კუმასშია გადაღებული. მტვრიან ქუჩაზე საზოგადოება ზეიმობს. კუმასიდან სამასი კილომეტრის მოშორებით, დედაქალაქ აკრას სტადიონზე, განის ნაკრებმა ტოგოელებს შეუგდო გოლი. ჰოდა, კუმასშიც ზეიმობენ.

# იცინე, იცინე...

მელბურნი. ქალთა წყვილების ფინალი. მეწყვილენი, მარტინა ჰინგისი და მარი პირსი მოწინააღმდეგის ფეხის მოქცევას და მისი გავის გამოჩენას დიდად გაუხალისებია. სხვა არც რამ ჰქონდათ სასიხარულო. ამ კაბა წამოხდილმა ავსტრალიელმა გოგომ, რენი სტაბსი რომ ჰქვია და მისმა ამერიკელმა მეწყვილემ ლიზა რაიმონდმა განთქმული შვეიცარიელი და მოხდენილი ფრანგი დაამარცხეს და ჩემპიონები შეიქნენ.





REUTERS მელბურნიდან

# როცა დიდი გავიზრდები

ატლანტის „ჯორჯია ბოულზე“ 30 იანვარს ოცდამეთოთხმეტე სუპერბოული გაიმართება. ამერიკული ბურთაობის ამ უდიდეს დღეს ერთმანეთს „ტენესი ტიტანზი“ და „სენტ ლუის რემზი“ შეასკდებიან. სამზადისი კი დაწყებულია. ნახეთ, „რემზის“ რაგვარი სამოსი მოურგია რვა წლის მარტინ გრეიდის.



REUTERS ატლანტიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli